# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 4 თებერვალი 2008 №023 (3247) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 31:3 ქართველი ლელოების ახალი სახე და სახეები



# ჩვენი რაგბი და ჩვენი ფეხბურთი

## მომხდარი და მოსახდენი: პორტუგალია და ესტონეთი პორტუგალიამდე



27 მაისი, 2008. ტალინი
ამხანაგური მატჩი
**ესტონეთი VS საქართველო**



ლევან ცქიტიშვილი ახლა თბილისშია, სახლში სიცხიანი წევს და, შესაძლოა, ლატვიასთან ზეგინდელ ამხანაგურ მატჩშიც ვერ ითამაშოს.
არადა, სულ რამდენიმე დღის წინ საქართველოს ნაკრების ლიდერთაგანის მომავალი სულ სხვაგვარად მოჩანდა: ინგლისური „ბირმინგემის“ მწვრთნელი ალექს მაკლიში ამბობდა, ცქიტიშვილი ჩვენთან ვარჯიშობს და კონტრაქტის გაფორმებამდე არც არაფერი გვაკლიაო. სანამ ამას იტყოდა, მაკლიში გიორგი ნემსაძეს, შოთა არველაძეს და ზურაბ ხიზანიშვილსაც ესაუბრა და მათგან ცქიტიშვილზე, ცხადია, საუკეთესო რეკომენდაციები მიიღო.
ხოლო რა მოხდა 31 იანვარს, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს, ესეც ვიცით: ინგლისის შრომის დეპარტამენტმა, ორგანიზაციამ, რომელიც მწვრთნელთა სურვილებზე წინ რიცხვებს აყენებს, ქართველ ნახევარმცველს მუშაობის უფლება არ მისცა. რიცხვები კი იმდაგვარი იყო, რომ არც ფეხბურთელის სანაკრებო მატჩების რაოდენობის საჭირო პროცენტს ჰყოფნიდა და არც თვითონ ნაკრების საჭირო ადგილს ფიფას რეიტინგში.
ამ ორი პრობლემიდან პირველი მოგვარებადი გახლდათ: იმის დასაბუთებას, რომ ცქიტიშვილმა ტრავმების გამო გამოტოვა ეროვნული გუნდის თამაშები, ბევრიც არაფერი უნდოდა, აი, საქართველოს ადგილი ფიფას რეიტინგში კი „ბირმინგემს“, ცქიტიშვილს და შრომის დეპარტამენტს შორის გადაულახავ ბარიერად აღიმართა.
ერთი სიტყვით, უცნაურობა გრძელდება. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ისევ უგუნდოდაა...



ბაჩო კიკილაშვილის ფოტო

# რიცხვთა თეორია
## ბირმინგემმა ცქიტიშვილი გაასაჩივრა

— „ბირმინგემში“ გადასვლის მცირე იმედი კიდევ დამრჩა — გვითხრა გუშინ ლევან ცქიტიშვილმა — საქმე ისაა, რომ კლუბის იურისტებმა შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. ჩემი საკითხის განხილვა ხვალ ან ზეგ იგეგმება და ვნახოთ, როგორ იქნება საქმე.
— როგორც ვიცით, „ბირმინგემმა“ ერთხელ უკვე გაასაჩივრა შრომის დეპარტამენტის გადაწვეტილება...
— დიახ, ასე იყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ახლაც ძალიან მცირეა იმის შანსი, მუშაობის უფლება მივიღო.
— საშველი რა არის?
— არაფერი... თბილისში ჩამოვედი და აქ ვარ. ტემპერატურა მაქვს და, შესაძლოა, ლატვიასთანაც ვერ ვითამაშო.
— ზაფხულამდე უგუნდოდ უნდა იყო?
— ვერაფერს გეტყვი... თუ მოხდა სასწაული და ბრიტანეთის შრომის დეპარტამენტმა გადაწყვეტილება შეცვალა, ხომ კარგი, წავალ „ბირმინგემში“, თუ არა და...
— სანაკრებო მატჩების ზუსტად რამდენი პროცენტი დაგაკლდა, ბრიტანელებმა მუშაობის უფლება რომ არ მოგცეს?
— პროცენტები პრობლემა არც იყო, ეს საქმე მოგვარდებოდა, ტრავმები მქონდა და სანაკრებო მატჩებიც ამის გამო გამიცდა. ეს ყველაფერი საქმის განხილვისას გაითვალისწინეს, მაგრამ შემდეგ მსოფლიოს რეიტინგში საქართველოს ადგილს დახედეს და მუშაობაზე უარიც ამიტომ მითხრეს. საქართველო რეიტინგში 70-ე ადგილზე მაინც რომ ყოფილიყო, ახლა „ბირმინგემის“ ფეხბურთელი ვიქნებოდი.
— კონტრაქტი გამზადებული იყო?
— კონტრაქტს მხოლოდ ჩემი ხელმოწერა აკლდა. აბსოლუტურად ყველაფერზე მორიგებულები ვიყავით და შრომის დეპარტამენტის პასუხს ველოდით.
— თავად ესწრებოდი საქმის განხილვას?
— არა, იქ მწვრთნელი და იურისტები იყვნენ.
— ახლაც თუ არაფერი გამოვიდა, არის ვარიანტი, რომ „ბირმინგემს“ .ზაფხულში მაინც შეუერთდე?
— ჯერ ამის თაობაზე ბირმინგემელებს არაფერი უთქვამთ, თუმცა, შესაძლოა, ასეც მოხდეს...

**კობა ინასარიძე**

# დღეს-ხვალ-ზეგ: ვაკისკენ ნუ დაიზარებთ
## სანაია ვერ ჩამოვა. მუჯირი?

**2006-07 წლებისა** არ იყოს, წლეულსაც მატჩებდატვირთული იქნება საქართველოს ნაკრები. მუნდიალის შესარჩევ ციკლს რომ თავი დავანებოთ, კლაუს ტოპმიოლერის გუნდს ისეთი ამხანაგურები ელის... მარტო პორტუგალიასთან გაჯიბრება რად ღირს.
და ნუ დაიზარებთ 6 თებერვალს „მიხეილ მესხზე“ მისვლას — ნაკრები ამხანაგურების სერიას იწყებს, მეტოქე კი ტოპმიოლერისეული გუნდისთვის უცნობი, მაგრამ ზოგადად საქართველოს ნაკრებისთვის ნაცნობი ლატვიაა, რომელსაც, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობა ჩამოჰყავს თავისი მარის ვერპაკოვსკის-ალექსანდრ კოლინკოს ჩათვლით.
ჰერ კლაუსი დღეს შეკრებს გუნდს და 18 საათზე „მიხელ მესხზე“ ავარჯიშებს. რამდენიმე ლეგიონერი გუშინვე თბილისში გახლდათ, რაკილა ამ უქმეებზე თავიანთ კლუბებში მატჩი არ ჰქონდათ, „უცხოელთა“ უმეტესობა კი დღეს ჩამოვა.
მათე ლვინიანიძე, ზურაბ მენთეშაშვილი და ამირან სანაია — ტრავმირებულთა ეს სამეული უკვე დააკლდა ტოპმიოლერის გუნდს, მათ ნაცვლად კი რიგის „სკონტოს“ ზაალ ელიავაა გამოძახებული.
ჯერჯერობით გაურკვეველია, ჩამოვა თუ არა დავით მუჯირი. როგორც მოსკოვის „ლოკომოტივის“ ოფიციალური ვებგვერდი წერს, მალხაზ ასათიანი ნაკრებში უკვე გამოეგზავრა, ხოლო მუჯირი ესპანეთში დარჩა და შაბათს ინდივიდუალურად ივარჯიშა.
ალექსანდრ სტარკოვსის ლატვია თბილისში დღეს ჩამოვა და ჩვენების ნავარჯიშევს „მიხეილ მესხზე“ გამართავს პირველ წვრთნას.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველომ წელი ესტონეთით დახურა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ დაასრულა მოლაპარაკება ესტონელებთან და გადაწყდა, რომ ამხანაგური მატჩი 27 მაისს ბალტიისპირეთში გაიმართება.
ესტონელებთან მატჩით სფფ-მ წლევანდელ ამხანაგურ მატჩებზე მუშაობა დაასრულა.
ნაკრები 25 მაისს გაფრინდება ტალინში, მატჩის მეორე დღეს კი პორტუგალიაში ჩავა, სადაც მორიგ ამხანაგურ მატჩს ითამაშებს იქაურ ნაკრებთან.
შეგახსენებთ, რომ ამათ გარდა ჩვენები ამხანაგურად 6 თებერვალს ლატვიელებს უმასპინძლებენ, 26 მარტს ჩრდილოეთ ირლანდიას, 20 აგვისტოს უელსს და 19 ნოემბერს რუმინეთს სტუმრად შეხვდებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ამხანაგური მატჩი. 18 ნოემბერი. 1998. თბილისი. „ეროვნული“. 28 000 მაყურებელი
**საქართველო 3:1 ესტონეთი**
1:0 აშვეთია (65), 2:0 ჯანაშია (72), 3:0 აშვეთია (85), 3:1 არბეიტერი (88)
საქართველო: გრიშიკაშვილი (ლომაია 76), ბალაშვილი, თარხნიშვილი (ზ. ფოფხაძე 64), დიდავა, გ. ჩხაიძე (ზ. ჯელაძე 72), რევაზიშვილი (ლუდუშაური 62), კიკნაძე, ალექსიძე, დ. ჯანაშია, აშვეთია, კ. კვეტენაძე (დ. მუჯირი 56)
მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი
გაფრთხილება: ჯანაშია, ჩხაიძე
მსაჯი: მ. მალაღურაძე (საქართველო)

ამხანაგური მატჩი. 11 ივნისი. 2000. ტალინი. „კადრიორგი“. 1 200 მაყურებელი
**ესტონეთი 1:0 საქართველო**
1:0 ო. პიიროია (17)
საქართველო: გრიშიკაშვილი, სილაგაძე, ხიზანიშვილი, თ. სიჭინავა (რეხვიაშვილი 71), კობიაშვილი, ყაველაშვილი (დემეტრაძე 56), ნემსაძე, ა. არველაძე (ჩალაძე 62), ქეცბაია (ალექსიძე 62), ქინქლაძე (რ. არველაძე 71), შ. არველაძე
მწვრთნელები: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი
გაფრთხილება: ალექსიძე, ჩალაძე
მსაჯი: ს. კალდმა (ესტონეთი)

გიო ახვლედიანის სვეტი

# კვირის საკითხავი

რომ მიმოვიხედოთ, ამ კვირის ყველაზე კარგი ამბავი არის შაბათის ამბავი, როცა საქართველომ მოყინულ „მიხეილ მესხზე“ რაგბიში დაამარცხა პორტუგალია. ეს იყო ჩვენი ახალი მწვრთნელისთვის და ბევრი ბიჭისთვის პირველი სერიოზული თამაში და რაც გამოვიდა, გამოვიდა, რაგბიმ როგორც იცის, ისე, სულით და გულით და ბევრი ოფლისღვრით.
ახლა წინ არის რუმინეთი და იმედები ბევრი, რახან საქართველომ სულ წინ უნდა იაროს, რაგბიში უკან სვლა არ არსებობს. ჩემი სამოყვარულო ფიქრით, ახლა დგება ჯერი, რომ რუმინეთი უნდა გავიხადოთ ისეთივე „ბულკად“, როგორც რუსეთი გავიხადეთ.
ვიცი, რომ რაგბიში „ბულკიც“ ძალიან მწარეა და იმას იოლად ვერ გადასანსლავ, თუნდაც ათჯერ გყავდეს გადასანსლული, მაგრამ ნაბიჯი კი ეს არის.
შაბათს, ჩვენს ჯგუფზე ზემოდან მაყურებელმა იტალიამ კი წააგო, მაგრამ იმდენი ოფლი აღვრევინა ირლანდიას, რომ ჩვენ უეჭველად უნდა გავეჩვიოთ რუმინელების დამარცხებას.
ფართო სარაგბო ცხოვრების გაშლა ამას მხოლოდ წაადგება და ის ათასი რამეც, რაც ყველას უთქვამს აქამდე. ეს ისედაც საუცხოო სანახავი იქნება, რომ ასეთ მიწაზე სარაგბო ნაციასა ვქმნით და შევიქმნებით.
პორტუგალიას საქართველო მალევე იქ შეხვდება, რაც გამოცდაა და პორტუგალიასვე საქართველო ხვდება ფეხბურთშიც, ამხანაგურად.
ეს კარგი ტესტი იქნება.
ალბათ ყველაზე გამორჩეული, რაც ბოლო დროს ჰქონია ჩვენს ნაკრებს. სადაც პორტუგალიურ უბრალო კლუბებს ოდესმე გადაჰყრიან ქართული კლუბები, ყოველთვის გასჭირვებიათ. ადრე ასე იტყოდნენ ხოლმე, რა ფეხბურთსაც ჩვენ ვთამაშობთ და ვაწვებით, იმის მამები სწორედ პორტუგალიელები არიანო, თუმცა, მგონი, ჩვენ ახლა აღარ მივდევთ ამ ფეხბურთს. ყოველ შემთხვევაში, ნაკრებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს: ამხანაგურია და იმისთვის არის, რომ რაღაცები დაინახო და გამოცდილება მიიღო. ჩვენი ყმაწვილებისთვის, ლევან ყენიას თამადობით, ეს საუცხოო რამ იქნება. ჩვენი უფროსი მოთამაშეებისთვის კი შემოწმებადაც გამოდგება. შემოდგომიდან ხომ ციკლი იწყება.
იმ კვირაში საინტერესო და დასაფიქრებელი იყო „ლივერპულის“ ქომაგთა ერთობის განცხადება — კლუბს ჩვენ, „ენფილდის“ ხალხი ვიყიდით და სახალხო სააქციო საზოგადოებად ვაქცევთ, ისევე, როგორც „ბარსელონა“ და სხვა ესპანური კლუბები არიანო.
ეს ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა: „ლივერპულის“ ფანებმა მთელი მსოფლიოდან თანდათან მილიარდი დოლარი რომ შეაგროვონ და ამერიკელებს კლუბი აართვან, კუნძულებზე თანდათან მისაბაძად შეიქნება.
ოღონდ, ეს არ არის ჩვენი საკითხი. ჩვენ ჯერ სულ სხვა რამეები გვაქვს მოსაგვარებელი...

# გიორგი განუგრავა მთავარ ბოლესლავს დღეს შეუერთდება



**გიორგი განუგრავამ** „ბოლესლავის“ სარეზერვო გუნდში მორიგი ტესტ-მატჩი ჩაატარა და საგოლე პასი მიითვალა. ამჯერად ბოლესლაველებმა ჩეხეთის ქვედალიგელ „ჰლავიცეს“ 2:1 სძლიეს, 19 წლის ქართველმა კი 90 წუთი იბურთავა — საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ.

„ბოლესლავის“ ძირითადი გუნდი კვიპროსული შეკრებიდან დღეს დაბრუნდა და გიორგიც მას შეუერთდება.

შეგახსენებთ, რომ კვიპროსზე ჩვენიანი სავიზო პრობლემების გამო ვერ გაემგზავრა.

**ილია ნანოგაშვილი**

# მაკარიძემ სალატვიოდ მუხლი მოირჩინა

**გიორგი მაკარიძეს** მუხლი აწუხებდა და გვითხრა, კვირაზე მეტია, არ მივარჯიშია, შესაძლოა, ლატვიასთან სანაკრებო ამხანაგური მატჩიც გამოვტოვოო.

გუშინ რომ შევეხმიანეთ, 17 წლის მეკარე იმედიანად გველაპარაკა — მართალია, ვარჯიში არ დამიწყია, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ და, სავარაუდოდ, 6 თებერვალს თამაშს შევძლებო.

მაკარიძე დღეს ნაკრებში ივარჯიშებს.

რაც შეეხება გიორგის საკლუბო მომავალს, სიახლე არაფერია.

**ილია ნანოგაშვილი**

# დინამომ არკაში გაიარ-გამოიარა



გიორგი მერებაშვილი

**წინა** უქმეებზე თბილისის „დინამომ“ ანთალიაში კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ჩვენების მეტოქე პოლონური „არკა“ იყო — „დინამომ“ 2:0 მოიგო და, როგორც გავიგეთ, კიდევ მეტიც უნდა გაეტანა.

*ლორია, შ. კაშია, გ. კაშია, კრუშკო, დობეში (გველესიანი 78), ხმალაძე, შ. გრიგალაშვილი (სპასოევიჩი 60), მ. ხუციშვილი (ნერგაძე 85), გ. მერებაშვილი, დიღმელაშვილი (ვაწაძე 83), აკირემი* — ასეთი იყო „დინამოს“ შემადგენლობა „არკასთან“ მატჩში.

ჩვენების ორივე გოლი გიორგი მერებაშვილმა „გააკეთა“ — მან ჯერ აკირემის გაატანინა ფაქტობრივად ცარიელ კარში, ხოლო შემდეგ ილია სპასოევიჩს.

თავად მერებაშვილს, ხმალაძესა და ხუციშვილსაც შეეძლოთ პოლონელთა კარის ამოვსება, მაგრამ მეკარემ ამის საშუალება არ მისცა.

„არკასთან“ ტრავმების გამო არ უთამაშიათ ნედ ზელიჩს, გულვერდ თომაშვილსა და დავით ოდიკაძეს. ესენი მთელი დატვირთვით ჯერაც ვერ ვარჯიშობენ, თუმცა გამოჯანმრთელების პირას არიან და დანარჩენებს მალე შეუერთდებიან.

„დინამოს“ ბანაკს გუშინ შოთა გრიგალაშვილი გამოაკლდა და თბილისში გამოემგზავრა — ის ლატვიასთან 6 თებერვლის სანაკრებო მატჩისთვისაა გამოძახებული.

მომდევნო ამხანაგურს კი „დინამო“ ხვალ უკრაინულ „კარპატისთან“ გამართავს.

**ქობა ინასარიძე**

# ზესტაფონის ბრაზილიური სიმძიმე: გოცირიძე გააძევეს, გელაშვილი დაშავდა

**თურქეთში** მყოფი „ზესტაფონი“ წარმატებით აგრძელებს „ბელეკის თასზე“ თამაშს. ტურნირის მეორე ტურში იმერლები ბრაზილიის სან პაულუს შტატის გუნდ „პტაკს“ შეხვდნენ და 4:0 მოუგეს.

ეს გუნდი ტურნირში მას შემდეგ ჩასვეს, რაც რუმინულმა „ჩაჰლაულმა“ მონაწილეობაზე უარი თქვა.

მთელი მატჩის მანძილზე იმერლები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ და ეს ანგარიშშიც აისახა. მე-12 წუთზე ჟილვან ვიეირამ ფლანგიდან ჩააწოდა და ბექა გოცირიძემ ანგარიში გახსნა. 24-ე წუთზე „ზესტაფონის“ ახალწვეული ნიკა გელაშვილი მეკარესთან პირისპირ გადიოდა, თუმცა სამხრეთამერიკელი მცველი ეუხეშა და მსაჯმა მოედნიდან გააძევა, მაგრამ ეს გაძევება გელაშვილისთვის ვერაფერი სანუგეშოა — იმერული კლუბის პრესსამსახურის ცნობით, ტრავმა საკმაოდ მძიმეა.

მეორე ტაიმში „ზესტაფონმა“ კიდევ უფრო გააძლიერა დაწოლა — 57-ე წუთზე ალექსი ბენაშვილის დარტყმული ბრაზილიელთა მეკარემ უხერხულად მოიგერია და ვიეირამ თანამემამულე არ „დაინდო“ — 2:0.

ცოტა ხანში მოედანზე რიცხობრივი თანაფარდობა აღდგა — უხეში თამაშისთვის გოცირიძე გააძევეს.

ფეხბურთელთა რაოდენობა კი გათანაბრდა, სამაგიეროდ, ანგარიშში სხვაობა ზესტაფონელთა სასარგებლოდ გაიზარდა — 74-ე წუთზე გოგი ფიფიამ, ხოლო 83-ე წუთზე როინ ონიანმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს და გუნდს დიდი ანგარიშით მოაგებინეს — 4:0.

„ზესტაფონმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *რ. კვასხვაძე, საჯაია (ს. თოდუა 61), შ. ღონღაძე, უ. ლობჟანიძე, ვიეირა, ბენაშვილი (ბახტურიძე 74), ხიდეშელი (დაუშვილი 46), რ. ონიანი, ბიტოო (ფიფია 46), ბ. გოცირიძე, გელაშვილი (ნ. კვასხვაძე 24).*

„ზესტაფონი“ მორიგ მატჩს ხვალ კორეულ „ჟეჟუ იუნაიტედთან“ გამართავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ოლიმპი მგლებს ვერ მოერია

**საქართველოს** ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა“ გუშინ ორი ტესტ-მატჩი გამართა ზუგდიდის „მგლებთან“. პირველ თამაშში, სადაც ანატოლი პისკოვეცმა მეტწილად ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიყვანა, რუსთაველებმა 0:2 წააგეს, მეორედ კი 1:1 ითამაშეს. აქვე ვთქვათ, რომ ზუგდიდელთაგან პირველ მატჩში დუბლი გოგოხიამ შეასრულა, მეორე შეხვედრაში კი ქირიამ გაიტანა. ოლიმპელთა ერთადერთი გოლი ნიკა ყრუაშვილმა შეაგდო.

„ოლიმპი“ პირველ მატჩში: *დოლიძე, ორბელაძე, მახვილაძე, აკუასავა, ჯოჯუა, ხუბუა, მგელაძე, სებისკვერაძე, სტეფანიშვილი, ბარბაქაძე, ზ. მეტრეველი.*

„ოლიმპი“ მეორე მატჩში: *მერლანი, სილაგაძე, ჭიჭვეიშვილი, მგელაძე, კახელიშვილი, გეწაძე, ლაბაძე, აფრიამაშვილი, ლ. მეტრეველი, ვ. კვარაცხელია, ყრუაშვილი.*

**ილია ნანოგაშვილი**

# ბათუმი ქობულეთში გადადის ველით დინამოს და ზესტაფონს

„**ბათუმი**“ საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრისთვის ურეკში ემზადება და საკონტროლო თამაშებსაც ატარებს. ზღვისპირელები შაბათს უმაღლესი ლიგის დებიუტანტ ზუგდიდის „მგლებს“ გაეჯიბრნენ და 2:2-ზე დაშორდნენ.

ბათუმელთაგან ბეჟანიძე და ტუღუში გამოირჩნენ, ზუგდიდელთა გოლები კი ლერი ხოხონიშვილს და მეკარე მანუჩარ ივარდავას (პენალტით) ეკუთვნით.

შემადგენლობები ასეთი იყო:

*ბათუმი: თოთლაძე, ვ. კუნჭულია, გალოგრე, თედორაძე, მაკარიანი, ოქრუაშვილი, ცანავა, დემურაძე, კაკალაძე, ბეჟანიძე, ტუღუში.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ჩელებაძე, ლ. მახარაძე, გ. მახარაძე, ა. ბაჯელიძე.*

*მგლები: ივარდავა, ზ. ექონია, ჟვანია, კაკაბაძე, დ. ქირია, გაბედავა, ვართაგავა, ზ. ჯანაშია, წურწუმია, ხოხონიშვილი, კრასოვსკი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: გ. ქირია, გ. ექონია, კუტალია, გოგოხია.*

ბათუმელები სამეორეწრეოდ გაძლიერებასაც ეშურებიან და უკვე დაიმატეს ახალციხის „მესხეთიდან“ გამოცდილი ნახევარმცველი გიორგი თურმანიძე, ვინც ადრე „ზესტაფონში“ თამაშობდა. ლაპარაკია ხუთი დინამოელით გაძლიერებაზეც და ერთ-ერთი, სავარაუდოდ, მეკარე სოსო გრიშიკაშვილი იქნება.

სხვა სიახლეებზე მწვრთნელმა ავთანდილ კუნჭულიამ გვიამბო: „მეორე წრისთვის გაძლიერებას სერიოზულად ვფიქრობთ და ერთ ექსზესტაფონელსაც დავიმატებთ, თუ ის უცხოეთში ვერ მოეწყობა. მეორე წრეში ისევ „ადელზე“ ვითამაშებთ, მომავალი სეზონიდან კი ალბათ ქობულეთში გადავინაცვლებთ. იგეგმება ახალი, 22-ათასიანი სტადიონის მშენებლობა ანგისას სტადიონის ადგილზე.“

და ერთიც: 6 თებერვალს „ბათუმი“ ქვეყნის ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს“ შეხვდება.

**ლექსო მაისურაძე**

# ჩხეტიანის კონტრაქტი და ბოლქვაძის გოლი

## სიმურგმა ცხინვალი დახუთა

**ორი** დღეა, აზერბაიჯანში სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნა და პირველი „ქართული“ ტრანსფერიც შედგა — ჩემპიონატის ლიდერ „ოლიმპიკთან“ კონტრაქტი გააფორმა ქუთაისის „ტორპედოს“, „ბორჯომის“ და „ამერის“ ყოფილმა ნახევარმცველმა გივი ჩხეტიანმა, ვინც ბოლოს ავსტრიულ „ჰარტბერგში“ იყო.

როგორც „ოლიმპიკის“ მწვრთნელი ასკერ აბდულაევი ამბობს, ქართველს როგორც ნახევარდაცვაში, ისე დაცვაში შეუძლია თამაში და მისი შემატება გუნდს ძალიან წაადგება.


„სიმურგის“ თავკაცი რომან პოკორა და დავით ბოლქვაძე

და ერთიც: უკვე ოფიციალურად გადაწყდა, რომ სეზონის ბოლომდე ზაქათალის „სიმურგში“ ითამაშებს ამერელი დავით ბოლქვაძე. 27 წლის ფეხბურთელი საქართველოში შეკრებაზე მყოფ აზერბაიჯანელებს უკვე შეუერთდა და გუშინ, ცხინვალის „სპარტაკთან“ მატჩში გოლითაც გამოირჩა — „სიმურგმა“ კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი 5:0 დაამარცხა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვიტელებმა სპარტაკს ოთხი გოლი აკმარეს

**დღეს** „ვიტ ჯორჯია“ თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება და მეორე წრისთვის მზადებას ბელეკში გააგრძელებს.

თურქეთში წასვლამდე ვეტერინარებმა მესამე საკონტროლო მატჩი გამართეს და ისევ მოიგეს — „ვიტ ჯორჯიამ“ ამჯერად თბილისის „სპარტაკი“ დაამარცხა — 4:0.

„ვიტ ჯორჯიას“ რეგიონალლიგის გუნდთან არ უნდა გასჭირვებოდა და ასეც მოხდა.

ანგარიში 36-ე წუთზე გიორგი დათუნაიშვილმა შორეული დარტყმით გახსნა, 6 წუთში ვასილ ლუჭაშვილმა მეორე ბურთი გაიტანა და ტაიმიც ასე მორჩა.

მეორე ტაიმში ნესტორ მუმლაძემ მოედანზე ახალი თერთმეტეული შეუშვა, თუმც თამაშის სცენარი ამით არ შეცვლილა — „ვიტ ჯორჯია“ დიდ უპირატესობას ფლობდა და რამდენიმე საგოლე მომენტი ქარს გაატანა, მატჩის ბოლოს კი ორჯერ მაინც შეაგდო.

მე-80 წუთზე გიორგი ბერიაშვილმა ინდივიდუალურად კარგად ითამაშა და ანგარიში გაასამა, ხუთ წუთში კი მორიგი გოლი ვიტელთა ახალწვეულმა ბაჩანა ცხადაძემაც შეაგდო — 4:0.

„ვიტ ჯორჯიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ლუჭაშვილი, სახოკია.*

*შეცვლაზე შევიდნენ: მიქაბერიძე, პირველი, ადამაძე, კასრაძე, მაისაშვილი, ინჯგია, ვასაძე, კვალინაძე, ლიპარტია, ბ. ცხადაძე, ბერიაშვილი.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პაოკ-მა იმედაშვილი ველარ მოასწრო



**ქართველი** მცველი დავით იმედაშვილი 30 იანვარს ჩავიდა ბერძნულ პაოკ-ში და, ფაქტობრივად, ღლენახევარში უნდა გადაწყვეტილიყო მისი კონტრაქტის საკითხი. 31-ში, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს იმედაშვილმა პაოკ-ის ორმხრივ მატჩში გოლიც გაიტანა, თუმც ტრანსფერი მაინც ვერ შედგა.

როგორც დავითის ოჯახში გვითხრეს, პაოკ-ს კიევის „დინამოსთან" შეთანხმება ველარ მოუსწრია და ჩვენიანიც გამოუშვია. იმედაშვილი სწორედ კიეველებს ეკუთვნის.

რაღაც უცნაური ამბავი გამოვიდა: თუ ფეხბურთელი ფანჯრის დახურვამდე ერთი დღით ადრე მიგყავს, ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ უნდა დაიტოვო. საქმე კი სხვაგვარად წავიდა — იმედაშვილი ახალი კლუბის ძებნაშია.

**ილია ნანოგაშვილი**

# ისევ მუჯირი და კრილიას სევდა

**რუსულ** პრესაში არა და არ წყდება დავით მუჯირის თემა — სამარის „კრილია სოვეტოვიდან" მოსკოვის „ლოკომოტივში" გადასულ ქართველ ფეხბურთელს რუსმა ჟურნალისტებმა უამრავი წერილი მიუძღვნეს და საქმეში მონაწილე ათას მხარეს თუ ექსპერტს სთხოვეს კომენტარი.

ვერ გეტყვით, რა ურთიერთობა ჰქონდა მუმუს „კრილიას" ახალ თავკაც ლეონიდ სლუცკისთან, თუმც ფაქტია, მწვრთნელი ამ ტრანსფერმა ძალიან შეაშფოთა და თავიდან გულისწყვეტით თუ ლაპარაკობდა, ახლა ბრაზიან კომენტარებს არიგებს...

„როცა ეს მითხრეს, არ დავიჯერე — უთხრა სლუცკიმ გაზეთ „ტვოი დენს" — არაბულ შეკრებაზე დავითს პირისპირ ვესაუბრე და სამომავლო გეგმები გავაცანი. მე მას პირდაპირ ვუთხარი, რომ მჭირდებოდა და ისიც ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა. გადაკვრითაც კი არ მიუნიშნებია, რომ სხვა გეგმები ჰქონდა... უკან დაბრუნებულები ერთმანეთს თბილად დავშორდით, მერე კი ასეთი უსიამოვნო ამბავი მოხდა. მისი გამორთული ტელეფონი ძალიან გვანერვიულებდა, მაგრამ თურმე საქმე სხვა რამეში ყოფილა..."

სლუცკიმ ისიც თქვა, რომ მუჯირის წასვლამ გეგმები შეუცვალა და უახლოეს მომავალში თავდამსხმელისა და ნახევარმცველის შეძენას აპირებს, მუმუ კი „ლოკომოტივთან" ერთად ემზადება ესპანეთში...

**კახა ზალამბერიძე**



სანდრო გურული და მიშელ ფრანკუარი

# გურულმა ლილი აწვალა
## ტრაბზონი და გენკი ჩაიშალა

**სანდრო** გურულმა ძალიან მაგრად ითამაშა „ლილთან", მაგრამ მისმა „ლიონ დუშერმა" 0:1 დათმო და საფრანგეთის თასს გამოეთიშა.

ძნელიცაა, მეოთხედივიზიონელმა გუნდმა იმ გუნდს სძლიოს, რომელიც ბოლო ოთხ წელიწადში ორჯერ იყო ჩემპიონთა ლიგაში და, „ლიონი" რომ არ ჩავთვალოთ, „საფრანგეთის" ერთ-ერთ სტაბილურ კლუბად ითვლება.

გურულმა მარჯვენა ნახევარმცველად ითამაშა და მატჩის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ ფლანგზე მაგრად აწვალა „ლილის" მიშელ ფრანკუარი.

ფრანგულ პრესაში კი 22 წლის გურულზე ცალკე მასალაა, სადაც წერია, რომ ბათუმში დაბადებული შემტევი ამ ზაფხულს კლუბს გამოიცვლის და არ არის გამორიცხული, საფრანგეთის პირველ დივიზიონში ვიხილოთ.

„არ მინდა, ბევრი დრო დავკარგო. ვიცი, რომ ჩემით კარგი გუნდები არიან დაინტერესებულნი" — ამბობს სანდრო.

და ერთიც: როგორც შევიტყვეთ, დეკემბერში გურულით თურქული „ტრაბზონსფორი" და ბელგიური „გენკი" იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ კლუბმა მისი გაშვება არ ისურვა.

**ილია ნანოგაშვილი**

# სკონტომ ელიავა გამოუშვა

**ლატვიური** „სკონტო" თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა და თან ორი ქართველი იახლა — დავით გამეზარდაშვილი და ვლადიმერ დვალიშვილი. გუნდთან ერთად არ არის ზაალ ელიავა, რომელიც სწორედ ლატვიელებთან მატჩისთვის ნაკრებშია გამოძახებული.

ამავე მიზეზით „სკონტოს" არ გაჰყოლიან ვიტალი ასტაფიევსი, ალექსეი ვიშნიაკოვსკი, ანდრეის პერეპლოტკინსი და ალექსანდრს ცაუნია — ისინი ლატვიის ნაკრებს თბილისში ჩამოჰყვებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჯაკობიამ ცხადაძეს გაუტანა

**პოლტავის** „ვორსკლას" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა ლაშა ჯაკობიამ და თავის გუნდს აზერბაიჯანულ „სტანდარდთან" მატჩი მოაგებინა.

ჯაკობია თამაშში 46-ე წუთზე ჩაერთო და საკმაოდ იაქტიურა. 90-ე წუთზე კი ოთხი აზერბაიჯანელი მცველი მოატყუა და „სტანდარდის" მეკარეს მატჩის ერთადერთი გოლი ახლო კუთხეში გაუტანა.

ქართველი ფეხბურთელის ამ გოლმა პირველი მარცხი აგემა ბაქოური კლუბის მწვრთნელ კახა ცხადაძეს. მანამდე „სტანდარდმა" ორი მატჩი გამართა და ორივე დიდი ანგარიშით მოიგო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ფარცვანია კიევიდან კვიპროსზე

**კიევის** „დინამო 2" კვიპროსზე გაემგზავრა შეკრებაზე, სადაც ერთი ქართველიც იახლა.

ლაპარაკია 18 წლის თემურ ფარცვანიაზე, რომელიც კიეველთა თავკაც იური კალიტვინცევს „თანამეგობრობის თასზე" წასაყვან სიაშიც ჰყავდა და ბოლოსლა ამოშალა.

ფარცვანია კიევის „დინამოს" ბავშვთა სკოლის აღზრდილია, საქართველოს მოქალაქეობა აქვს და ამპლუით ცენტრალური მცველია, თუმც კვიპროსულ სიაში ნახევარმცველად წერია.

**ილია ნანოგაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

# ხიზანიშვილი ძირითადში საუკეთესოდ დაბრუნდა
## გერმანია ქართულად განახლდა

**ევროპის** წამყვან ქვეყნებში ჩემპიონატები თანდათან გახურდა და ქართველ ლეგიონერებსაც საქმე მიეცათ.

გასულ უქმეებზე ჩვენებურებმა ინგლისის, იტალიის, გერმანიის, შვეიცარიისა და კვიპროსის ჩემპიონატებში ითამაშეს და არცთუ ურიგოდ.

ინგლისურ პრემიერლიგაში ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა „ბლექბერნის" მცველი ზურაბ ხიზანიშვილი.

„ევერტონთან" (0:0) შეხვედრაში მან სრულად ითამაშა და 45-ე წუთზე ყვითელი ბარათიც მიიღო, თუმც ამას ხელი არ შეუშლია, ინგლისელ ჟურნალისტებს ჩვენებური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაესახელებინათ.

„ბლექბერნი" 39 ქულით მე-8 ადგილზეა.

გერმანიის ბუნდესლიგაში მეორე წრე განახლდა და ჩვენებურთაგან პირველი მოედანზე ალექსანდრე იაშვილი გამოჩნდა. მისმა „კარლსრუემ" გამარჯვებით დაიწყო — 2:0 სძლია „ნიურნბერგს" და ევროსაგზურის ზონასთან ტრიალებს.

იაშვილი სასტარტოში იყო და მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე შეცვალეს.

ლევან კობიაშვილის „შალკემ" კი 4:1 გადაუარბინა ჩემპიონ „შტუტგარტს". კობიმ სრულად ითამაშა და აქტიურიც გახლდათ.

შვეიცარიის ჩემპიონატში კი მარცხიანად შეხვდა მეორე წრეს სანდრო იაშვილის „თუნი" — 0:1 მეორე ადგილზე მყოფ „ციურიხთან".

ჩვენებური ავადმყოფობს და განაცხადშიც არ ყოფილა.

კვიპროსის ჩემპიონატში სეზონის მეშვიდე გოლი მიითვალა ლევან ქებაძემ, მისმა „ეთნიკოსმა" კი 3:1 დაამარცხა „დოჰა".

ჩვენებურმა ბოლო წუთზე მესამე გოლი გაიტანა.

ლიდერი კი თემურ ქეცბაიას „ანართოსისია", რომელიც სტუმრად 0:0 ეთამაშა „ალკის".

ფამაგუსტელთა შორის კლიმენტი წიტაიშვილი ძირითადში იყო და 70-ე წუთზე შეცვალეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ფიორენტინა 1:0 | 90 | | 17 | 0 | 5 |
| ლევან მჭედლიძე | ემპოლი | ს | ინტერი 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 19 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ევერტონი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 10 | 0 | 8 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | შტუტგარტი 4:1 | 90 | | 5 | 1 | 5 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | შ | ნიურნბერგი 2:0 | 88 | შეცვალეს | 13 | 0 | 6 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | შ | აუგსბურგი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ოსნაბრიუკი 1:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 5 |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი | შ | აახენი — დღეს | | | 9 | 0 | 17 |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი | შ | აახენი — დღეს | | | 9 | 0 | 17 |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი | შ | აახენი — დღეს | | | 0 | 0 | 17 |
| დავით სირაძე | პადერბორნი | ს | ოფენბახი 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 9 | 0 | 18 |
| **ესპანეთი. პრიმერადივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე | შ | რასინგი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 20 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი | ს | ციურიხი 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 13 | 1 | 9 |
| **კვიპროსი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | ალკი 0:0 | 70 | შეცვალეს | 3 | 1 | 1 |
| ლევან მაღრაძე | აპოლონი | შ | აპოელ 2:2 | 90 | | 10 | 0 | 4 |
| ლევან ქებაძე | ეთნიკოსი | შ | დოჰა 3:1 | 90 | 1 გოლი | 15 | 7 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ერთი ბრინჯაო ბულგარეთიდან




[illegible] ფოტო

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრები ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირ „სტანჯას თასზე“ მონაწილეობდა. ტურნირი საკმაოდ დიდი ხანია ტარდება და უკვე 59-ედ უმასპინძლა მოკრივეებს. რინგზე სულ 19 ქვეყნის 110 სპორტსმენი გავიდა. ჩვენი ქვეყნის სახელს პლოვდივში რვა მოკრივე იცავდა.

თენგიზ მესხაძის ბიჭებმა მხოლოდ ერთი კინკილა მედალი აიღეს — მძიმეწონოსანმა ბექა ლობჟანიძემ ნახევარფინალში კუბელ რობერტ ალფონსო აჩეასთან 4:15 წააგო და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

მანამდე კი პირველ დღეს მსუბუქი წონის მოკრივეებმა იჩხუბეს. ნიკოლოზ იზორიამ (54 კგ) ინგლისელ ტომას სკალტერთან მესამე რაუნდში წააგო. კონსტანტინე კუპატაძე (60კგ) ქულებით 17:23 დამარცხდა ყაზახ მირეი აქშალოვთან. გიორგი ნაკანმა (75კგ) საწყისი გამოსვლა თურქ სავამ კაიასთან დათმო. სამწუხაროდ, სამედლოდ ვერც დავით წიკლაურმა (81კგ), კობა ფხაკაძემ (57კგ), ლევან ღვამიჩავამ (64კგ) და კახა ჟვანიამ (69კგ) გაიწიეს.

ნაკრები თბილისში დღეს დაბრუნდება და უკვე 7-ში უკრაინაში მოსამზადებელ შეკრებაზე გაემგზავრება, სადაც „ალუშტას“ ოლიმპიურ ცენტრში იქაურ ნაკრებთან ერთად ერთობლივ წვრთნებს გაივლის. თვის ბოლოს კი რომის საერთაშორისო ტურნირია, სადაც საპეკინო ლიცენზიებიც გათამაშდება. უკრაინაშიც და მერე რომშიც თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სწორედ ეს რვა კაცი წავა.

**ლექსო მაისურაძე**



# მორგენშტერნის იაპონური დუბლი




**გენერალური** კლასიფიკაციის ლიდერის, ავსტრიელი ტომას მორგენშტერნის წყვილი გამარჯვებით დასრულდა თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი ორდღიანი ეტაპი, რომელიც გასულ უქმეებზე იაპონიის ჩრდილოეთი კუნძულის, ჰოკაიდოს მთავარქალაქ საპოროში გაიმართა.

ტრამპლინზე, რომელმაც შორეულ 1972 წელს ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა, მორგენშტერნი ორივე ჯერზე შეუდარებელი და სხვებზე გაცილებით აღმატებული იყო. თანაც, იაპონიაში არ ჩავიდნენ საერთო ჩათვლაში ავსტრიელის უახლოესი მდევრები, ფინელი იანე აჰონენი და მორგენშტერნის თანამემამულე გრეგორ შლირენცაუერი. მათ არყოფნაში ტურინის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონს კონკურენცია გვარსახელითა და წარმომავლობით ლამის აჰონენმა, იანე ჰაპონენმა გაუწია, თუმც ისეთი ვერა, მორგენშტერნს დისკომფორტი რომ ეგრძნო.

ამ წყვილი გამარჯვებით ავსტრიელს, ვისი გვარიც ქართულად რომ ვთარგმნოთ, დილის ვარსკვლავს მივიღებთ, უკვე იმხელა უპირატესობა აქვს საერთო ჩათვლაში, რომ თუ ვის დარჩება მსოფლიოს თასის გამარჯვებულის საგო დიდი ბროლის გლობუსი, სამკითხავო, უკვე აღარ არის.

**ოთარ მხეიძე**

**მსოფლიოს თასი. საპორო. იაპონია. 2-3 თებერვალი**

| | |
|---|---|
| **პირადი. HS 134** | |
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 261,6 ქულა (125,5 მ და 131,5 მ) |
| 2. იანე ჰაპონენი (ფინეთი) | 249,9 (120,5 და 130,0) |
| 3. მარტინ კოხი (ავსტრია) | 249,3 (123,5 და 127,5) |
| 4. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 242,9 (118,5 და 129,5) |
| 5. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 238,5 (119,5 და 125,5) |
| **პირადი. HS 134** | |
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 288,7 ქულა (135,0 მ და 139,0 მ) |
| 2. იანე ჰაპონენი (ფინეთი) | 272,5 (128,5 და 134,0) |
| 3. ანდერს ბარდალი (ნორვეგია) | 264,3 (127,0 და 131,5) |
| 4. ბიორნ ეინარ რომორენი (ნორვეგია) | 258,4 (130,0 და 125,5) |
| 5. დენის კორნილოვი (რუსეთი) | 253,6 (132,5 და 122,0) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 1455 ქულა |
| 2. იანე აჰონენი (ფინეთი) | 845 |
| 3. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 839 |
| 4. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 825 |
| 5. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) | 618 |



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# სებასტიანი და სებასტიენი

## ალონსოს ფანებმა ჰემილტონს წამები დააკარგვინეს



ლუის ჰემილტონს ესპანეთში მტრების გარდა მოკეთეებიც ჰყავს

**მსოფლიოს** წლევანდელი ჩემპიონატის პირველ ეტაპამდე, ავსტრალიურ დიდ პრიზამდე თვენ-ნახევარზე ნაკლები დროღა დარჩა და ფორმულა 1-ის პილოტებს მოცლა არ აქვთ. პარასკევს ბარსელონაში მორიგი ტესტები გაზურდა, რომელიც გუშინ საღამოს დასრულდებოდა.

კატალონიური სატესტო სერია რვა გუნდმა დაიწყო — „მაკლარენმა“, „უილიამსმა“, „ჰონდამ“, „BMW-ზაუბერმა“, „რედ ბულმა“, „ტორო როსომ“, „რენომ“ და „ფორს ინდიამ“.

„ფერარის“ არყოფნაში პირველ დღეს ყველაზე სწრაფი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, „მაკლარენის“ ინგლისელი ლუის ჰემილტონი იყო, რომელმაც კატალონიურ წრეს წუთსა და 22,263 წამში შემოუქროლა და ნახევარ წამზე მეტით აჯობა თავის ყოფილ თანაგუნდელს, „რენოში“ დაბრუნებულ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს. მესამე „BMW-ზაუბერის“ პოლონელი რობერტ კუბიცა იყო, ხოლო მეოთხე შედეგი, ბევრისთვის მოულოდნელად, „ფორს ინდიას“ ვეტერანმა იტალიელმა ჯანკარლო ფიზიკელამ აჩვენა.

ტესტების მეორე დღე იმით დაიწყო, რომ ტრიბუნებზე შეკრებილმა ქომაგებმა ჰემილტონს გვარიანად აგინეს, აქაოდა, შარშან შენს გამო „მაკლარენში“ ალონსო დაიჩაგრაო. ალონსოს ფანები იმდენად აგრესიულები იყვნენ, რომ „მაკლარენის“ წარმომადგენელთა მოთხოვნით, საქმეში ტრასის უსაფრთხოების თანამშრომლები ჩაერივნენ.

ძნელი სათქმელია, ამის ბრალი იყო თუ სხვა რამის, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ ჰემილტონმა შაბათს მხოლოდ მესამე შედეგი აჩვენა და რაც ყველაზე მოულოდნელი იყო, ინგლისელზე წინ ტოროროსოელი თითქმის სეხნიები, გერმანელი სებასტიან ფეტელი და ფრანგი სებასტიენ ბურდე აღმოჩნდნენ. მეოთხე, ჰემილტონის ფინელი თანაგუნდელი ჰეიკი კოვალაინენი იყო, მეხუთე კუბიცა, ალონსო მეექვსე შედეგით დაკმაყოფილდა და ესპანელის უკან მისი ბრაზილიელი თანაგუნდელი ნელსონ პიკე უმცროსი აღმოჩნდა.

„ტორო როსოს“ პილოტთა ბარსელონური წარმატება ნამდვილად მოულოდნელია და ეს, პირველ რიგში, ამერიკული „ჩემპ კარის“ (ყოფილი „კარტი“) სერიის ოთხგზის გამარჯვებულ ბურდეზე ითქმის, ვისაც ავსტრალიაში საპირველფორმულო დებიუტი ექნება. თავად ბურდე აცხადებს, რომ კმაყოფილი დარჩება, თუ თანაგუნდელის დონეზე შეძლებს გამოსვლას. „ფეტელს უკვე აქვს საპირველფორმულო გამოცდილება. მან იცის, რა უნდა გააკეთოს და თავის საქმეს კარგადაც აკეთებს. თანაგუნდელი შენი პირველი მეტოქეა — მას ხომ ისეთივე მანქანა აქვს, როგორიც შენ და, აქედან გამომდინარე, ჩემთვის პირველი ორიენტირი სწორედ ფეტელია. ტესტებზე ჩვენი შედეგები თითქმის ერთნაირია და თუ პირველ ეტაპზეც შევძელი ფეტელის დონეზე გამოსვლა, ეს უკვე კარგი იქნება“ — განუცხადა ბურდემ ფორმულა 1-ის ოფიციალურ საიტს.

**კახა ლომაძე**

ქვერცითი
QUARTZITE

ევროპის ერთა თასი

## საქართველო 31:3 პორტუგალია

თბილისი. 2 თებერვალი. «მიხეილ მესხი». 16 საათი

**საქართველო:** ყიასაშვილი, ჩხიკვაძე, კაჭარავა, გიგაური, ხამაშურიძე, კვირიკაშვილი, აბუსერიძე (კაპ); ბასილაია, ურუშაძე, უჩავა, სუთიაშვილი, დათუნაშვილი, ქუბრიაშვილი, დადუნაშვილი, შველიძე
შეცვლაზე შევიდნენ: ბარკალაია, მალალურაძე, სამხარაძე, ნატრიაშვილი, ფეიქრიშვილი, მაისურაძე
სათადარიგო: ჩხაიძე
ნლ: კაჭარავა, ხამაშურიძე, დადუნაშვილი, გიგაური, ბასილაია; ვგ: ყიასაშვილი, კვირიკაშვილი (2)
სინბინი: დადუნაშვილი
**პორტუგალია:** გასპარი, ესტევეში, მელუ, მირა, ფორუ, კებრალი, მაგალიანეში; აგიარი, კორეია (კაპ), მურე, აკოშტა, კუნია, სევერინო, ადუარტე, ჟირაუ
შეცვლაზე შევიდნენ: მირანდა, ბ. დუარტე, კადოში, გ. დუარტე, ფიალიუ, ლიბეირუ, ფრაგატეირუ
ნს: კებრალი
მსაჯი: დე სანტისი (იტალია)

# ცხრილის თავში და მთავარი: ხვალინდელი უკვე ჩანს!

## პორტუგალიამ ხელებში გრძნობა დაკარგა



**ავსტრალიელმა** ტიმ ლეინმა და ჩვენმა ვეტერანებმა — ვიქტორ დიდებულიძემ და ლევან ცაბაძემ ლონიერი გამარჯვებით დაიწყეს საქართველოს ნაკრების წვრთნა. შესამჩნევად გადახალისებულმა „ლელოებმა" შაბათს „მიხეილ მესხზე" ერთა თასის შარშანდლიდან გადმოტანილ თამაშში მისხალი შანსი არ მისცეს პორტუგალიელებს.

აქედანვე ვთქვათ, ეს იყო ყველაზე სუსტი პორტუგალია, რომელიც მათ მწვრთნელს, დოქტორ ტომაშ მორაეშს თბილისში ჩამოუყვანია, ანაც ლისაბონში დაუხვედრებია ჩვენებისთვის. მსოფლიოს თასის შემდეგ მან მთლიანად გაახალისა თავისი რაზმი და ამ თამაშისთვის მხოლოდ 5 ისეთი მორაგბე იახლა, ვინც საფრანგეთში აომა. ამათგან მხოლოდ ორს უწევდა ნაკრებში ხშირი თამაში — კაპიტან ჟოაო კორეიასა (2) და ტიაგუ ჟირაუს (8), სხვანი კი...

მაგრამ პორტუგალიელთა სიძაბუნე სულაც ვერ აკნინებს ქართველთა გამარჯვებას. ტიმ ლეინმა და მისმა გუნდმა იოლად ჩააბარეს პირველი გამოცდა. საპორტუგალიო 22 კაცში 12 იყო მსოფლიოს თასზე ნათამაშები ქართველი, ხუთი კი სულაც პირველად გამოდიოდა ეროვნულ ნაკრებში და თითოეული მათგანი ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ქართულ რაგბის მართლაც ღრმა რეზერვი აქვს. შერკინების შემკვრელმა დიმიტრი ბასილაიამ (8) დებიუტი ლელოთიც დაიმშვენა. ყველაზე სასიამოვნო კი ის იყო, რომ, ახალი თავკაცის შეგონებით, „ლელოთა" უკანა ხაზი თამამად, ლაღად და რაც მთავარია, გონივრულად უტევდა და თუ ეს ძლიერ მეტოქესთან, მაგალითად, რუმინეთთან, ან თუნდაც კლოდ სორელის რუსეთთან გამოუვიდა, იქნებ შეიცვალოს კიდეც სტერეოტიპული შეხედულება, რომ ქართველთა დამრტყმელი ძალა შერკინებაა, ხაზი კი მას დიდად ჩამოუვარდება.

ხაზს ჭკვიანურად უძღვებოდა აბუსერიძე-კვირიკაშვილის დუეტი. დაცვაში საიმედონი, შეტევაში კი მეტოქისთვის ნამდვილი თავსატკივარნი იყვნენ ცენტრები — რევაზ გიგაური და დავით კაჭარავა. გრძელი ფრთის გარემარბმა, გამოცდილმა ბესიკ ხამაშურიძემ პირველ ტაიმში ორი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ლელოთი გამოასწორა. მოკლე ფრთის გარემარბმა, რუსეთში 13-კაცა რაგბის მოთამაშე ირაკლი ჩხიკვაძემ კი სწორედ იმით გაგვახსენა თავი, რითაც ჩილესთან ტესტში დაგვამახსოვრა — ერთხელ მეტოქე მოიერიშე ისე შებოჭა, რომ იმ საწყალს ერთ წამში ალბათ მთელმა ცხოვრებამ გაურბინა თვალწინ, ემანდ აქ, ამ მოედანზე არ მოვკვდეო. ოღონდ პორტუგალიელი ჩილელზე ბევრად იოლად გადარჩა.

დიდი ნაკრების ახალი სახეა მცველი ირაკლი ყიასაშვილი, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატში ჩუბინი დამრტყმელის სახელი აქვს და პორტუგალიასთანაც დარტყმა დაევალა, მაგრამ ჩანს, ნერვიულობდა და სანაკრებო დებიუტში პირველ ტაიმში ვერც ერთი შორეული დარტყმა ვერ გაიტანა. მეორე ტაიმში მისგან ეს საქმე მერაბ კვირიკაშვილმა გადაიბარა და ორი გარდასახვა შეაგდო, მატჩის ბოლოს კი თავისი საქმე დაუთმო ასევე დებიუტანტ 10 ნომერ ლაშა მალაღურაძეს, რომელმაც ასევე რიგიანად ითამაშა.

ნაკრებს აკლდნენ გამოცდილი ხაზელები — ირაკლი გიორგაძე, ირაკლი მაჩხანელი, მალხაზ ურჯუკაშვილი და თუნდაც გიორგი შკინინი, მაგრამ მათი არყოფნა სულ არ ეტყობოდა გუნდს, იქნებ პირიქითაც ახლებმა ახალი შემართებით იბურთავეს.

თამაში კი იმით დაიწყო, რომ ჩვენები საკუთარ ნახევარზე დაჯარიმდნენ და კაბრალმა კარში დაარტყა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა და ამის შემდეგ სტუმრები იშვიათად გრძნობდნენ მას საკუთარ ხელებში. მე-7 წუთზე ჩვენმა კაპიტანმა აბუსერიძემ სტუმრებს ხაზი გაუჭრა, შემდეგ ფეხით დარტყმითაც მოიგო მანძილი. ჩვენმა დღერეფანმა სტუმრებს აუტში აჯობა, მიეძალა და აიძულა, დაჯარიმებულიყო. ყიასაშვილის კიდიდან დარტყმული ასცდა კარს და პორტუგალიელთა ლელოში ჩაეშვა. სტუმრებმა ვერ მოახერხეს მისი დაჭერა და დასწრებაზე კაჭარავამ კურიოზული ლელოთი დასაჯა ისინი, ყიასაშვილმა კი ახლოდან გარდასახა — 7:0.

მეორე ლელო ულამაზესი გამოვიდა — ქართველებმა მარაო გაშალეს, პირველიდან ბოლო კაცამდე ჩაუთამაშეს ბურთი მათ გამცილებელ და თვალისგამყოლებელ, მაგრამ ვერაფრის გამკეთებელ პორტუგალიელებს და ბოლოს ხამაშურიძემ შებოჭილმა დაამიწა.

სტუმრებმა ბევრით ვერაფრით უპასუხეს მასპინძლებს, ტაიმის ბოლოს კაბრალმა საჯარიმო გაიტანა და ამით დაიწყო და დამთავრდა სტუმართა ქულიანი შეტევა.

მეორე ტაიმი ქართული შერკინების ძალისმიერი ლელოთი დაიწყო, რომელიც დადუნაშვილმა დადო. შემდეგ ჩვენმა ხაზმა დაბნეულობისთვის კიდევ ერთხელ დასაჯა სტუმრები — კაჭარავამ ფეხით შეაგდო ბურთი მათ ჩათვლის მოედანში, გიგაურმა ყველას მიასწრო და თავისი პირველი სანაკრებო ლელო ჩაიწერა.

მეხუთე ლელო კი ბასილაიას პირადი დამსახურებაა, რომელმაც ძალისმიერი გარღვევით მიმოფანტა მოწინააღმდეგენი და ანგარიშსაც წერტილი დაუსვა — 31:3.

მოკლედ, ქართველებმა პირწმინდად აჯობეს ნაკრებს, რომელთანაც ბოლო წლებში ბევრი დავიდარაბა გადახდენიათ. ასე გაინავარდებენ თუ არა ისინი სხვა ძლიერ მეტოქეებთან, ეს სულ მალე გამოჩნდება, მთავარი კი ისაა, რომ ამ დღევანდელ გუნდში ნაკრების ხვალინდელი დღე ჩანს.

**ირაკლი ფირაშვილი**



პირველი ლელო გიორგი კაჭარავამ დადო

## ნამატჩევს

***ტომაშ მორაეში,*** პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „სიმართლე გითხრათ, ასეთ სხვაობას არ ველოდი. დღეს ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს ჩვენზე დიდი რეზერვი და პოტენციალი გააჩნია. ქართველებს გულით ვულოცავ დამსახურებულ გამარჯვებას. ჩვენ კი ახალი გუნდის კეთებას ვიწყებთ და იმედია, მალე ისევ დავიბრუნებთ ბრძოლისუნარიანობას".

***ტიმ ლეინი,*** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „თავიდანვე ვთქვი, სამ დღეში უცნობი გუნდის ათამაშებას ვერ შევძლებდი. თანაც დღეს ბევრი დებიუტანტი გვყავდა, ვისაც მე კი არა, ნაკრებშიც არ იცნობდნენ. ბიჭებმა მოლოდინს გადააჭარბეს, დღეს უკვე დავინახე, რომ ასარჩევად მაქვს საქმე. თუ დააკვირდით, რამდენიმე ახალი კომბინაციაც გავითამაშეთ, ძირითადად ხელახელ თამაშისას, რაც ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. იყო ხარვეზებიც, ბიჭებმა ჩემს ჩანაფიქრს რამდენჯერმე გადაუხვიეს, მაგრამ ეს იმის ბრალი იყო, რომ სიახლეები ბოლომდე ვერ აითვისეს. თუმც ესეც დროის ამბავია, პორტუგალიამდე მხოლოდ სამი დღე გვქონდა მოსამზადებლად, რუმინეთამდე კი კიდევ ხუთდღიანი შეკრება გვექნება და ნელ-ნელა გუნდი ჩამოყალიბდება".

**ევროპის ერთა თასი 2007-08**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 5 | 4 | 0 | 1 | +131 | 8 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +71 | 6 |
| ესპანეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +23 | 6 |
| პორტუგალია | 5 | 2 | 0 | 3 | -28 | 4 |
| ჩეხეთი | 6 | 0 | 0 | 6 | -277 | 0 |

9 თებერვალი. თბილისი
**საქართველო — რუმინეთი**

## ექვსი ერი 2008

**ირლანდია 16:11 იტალია**

ირლანდია: დემპსი, ტრიმბლი, ბ. ოდრისკოლი (კაპ), დარსი, მერფი; ოჰარა, რედანი, ლამი, დ. უოლესი, ესტერბი, ოკელი, ოკალაჰანი, ჰეიესი, ბესტი, ჰორანი
*სათადარიგონი:* ჯეკმანი, ბარკლი, მ. ოდრისკოლი, ჰეისლიფი, სტრინგერი, ფ. უოლესი, კარნეი
1ლ: დემპსი; 1გ; ოჰარა 3ს: ოჰარა
იტალია: ბორტოლუსი, რობერტსონი, კანალე, მი. ბერგამასკო, კანავოსიო; მასი, ტრავაგლი; პარისე (კაპ), მა. ბერგამასკო, სოლი, დელ ფავა, დელარი, კასტრო ჯოვანი, ჯირალდინი, ლო ციცერო
*სათადარიგონი:* ფესტუჩია, პერუჯინი, ნიეტო, რეატო, ძანინი, მარკატო, გალონი
1ლ: პარისე, 2ს: ბორტოლუსი

**ინგლისი 19:26 უელსი**

ინგლისი: ბელშევი, საქეი, ტინდალი, ფლუდი, სტრიტლი; უილკინსონი, გომარშალი; ნერევეი, მუდი, ჰასქელი, ბორდვიკი, შოუ (კაპ), ვიკერი, რეგანი, შერიდანი
*სათადარიგონი:* მეირსი, სტივენსი, კეი, რისი, ვიგლეშ ვორდი, სიპრიანი, ვაინიკოლო
1ლ: ფლუდი, 1გ: უილკინსონი, 3ს: უილკინსონი, 1ა: უილკინსონი
უელსი: ბერნი, შ. უილიამსი, პარკერი, ჰენსონი, მ. ჯონსი; ჰუკი, ფილიპსი; რ. ჯონსი (კაპ), მ. უილიამსი, ტომასი, გოუგი, ვეინ-ჯონსი, გ. ჯონსი, ბენეტი, ა. ჯონსი
*სათადარიგონი:* რისი, ჯენკინსი, ევანსი, პოპჰემი, კუპერი, ს. ჯონსი, შანკლინი
2ლ: ბერნი, პილიფსი, 2გ: ჰუკი, 4ს: ჰუკი

**შოტლანდია 6:27 საფრანგეთი**

შოტლანდია: ლამონტი, უოლკერი, დელკუა, ჰენდერსონი, ვებსტერი, პარქსი, ბლერი; ქოლამი, ბარკლი, უაიტი (კაპ), ჰამილტონი, აჰინესი, მიურეი, ფორდი, იაკობსენი
*შეცვლაზე შევიდნენ:* ტომსონი, კერი, მაკლოვადი, ბრაუნი, კუზიტერი, პატერსონი, საუზვილი
1ს: პარქსი; 1ა: პარქსი
საფრანგეთი: ემონსი, მალზუ, მარტი, ტრაი, კლერკი, ტინ დიუ, ელისალდე; ვერმიულენი, დუზატუარი, უდრაოგო, ჟაკე, ნალე (კაპ), ბრუნე, პო, ფურე
*შეცვლაზე შევიდნენ:* მა, შარჟევსკი, მელა, ბონარი, პარა, სკრელა, რუჟრი
3ლ: კლერკი (2), მალზუ; 3გ: ელისალდე (2), სკრელა; 2ს: ტრაი



უელსელებმა ჯონი უილკინსონი და მისი ინგლისი ააყირავეს

# ცუდი ირლანდია და დაცემული ინგლისი

**ექვსი** ერის პირველივე ტურში სენსაცია მოხდა. თვიქნემში უელსმა ინგლისთან 40 წუთის განმავლობაში თავი „მოიმკვდარუნა" და შემდეგ ერთბაშად დაარცხრა ნაადრევ გამარჯვებაში დარწმუნებულ მეტოქეს. უელსელთა მთავარმა მწვრთნელმა უორენ გატლანდმა მეორე ნახევარში აშკარად დაჩაგრა თავისი ოპონენტი ბრაიან ეშტონი და დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება გამოაცხო.

მატჩის დასაწყისი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. ინგლისელთა უპირატესობა ჯარიმებში აისახა, ჯონი უილკინსონი კი, რა თქმა უნდა, უშეცდომოდ არტყამდა. ტაიმის ნახევრისთვის „ვარდები" 9:3 იგებდნენ. 22-ე წუთზე ტომით ტონგელმა ლესლი ვაინიკოლომ შეტევა დაიწყო და ტობი ფლუდმა ლელოთი დაამთავრა. შესვენებამდე უილკინსონმა ქულათა მარაგი კიდევ შეავსო და „ვარდები" 19:6 დააწინაურა. უელსელთაგან ჯარიმა ჯეიმს ჰუკმა გაიტანა.



ბრაიან ოდრისკოლმა იტალია დააწიოკა

შესვენებაზე გატლანდმა შეცვლები განახორციელა, გუნდი დაქოქა და მოედანზე შეუშვა. რაც შემდეგ „დრაკონებმა" „ვარდებს" დამართეს, ალბათ კარგა ხანს არც ბრაიან ეშტონს დაავიწყდება და არც მის მოწაფეებს. უელსელები ბურთს უფრთხილდებოდნენ, ყველანაირად ცდილობდნენ, რომ უპირატესობა მოეპოვებინათ, რასაც მალევე ლი ბერნის ლელო მოჰყვა. უხერხული პოზიციიდან ჰუკმა გარდასახვაც მიაყოლა.

ბოლო ლელომდე ჰუკმა ორი ჯარიმა კიდევ მოინაგრა, საბოლოო წერტილი კი მაიკ ფილიპსმა დასვა. ჯეტინ ჯენკინსმა ბურთი მოიხელთა, ორი კაცი ჩამოიცილა და თავის ცხრა ნომერს უპასა, ფილიპსმა კი „ოვალს" მოწინაალმდეგის ხაზს მიღმა მიუჩინა ადგილი.

ამ თამაშის საუკეთესო მობურთალის გამორჩევა საკმაოდ ძნელია. მთლიანად გუნდმა ბრწყინვალედ იბრძოლა, რაც უორენ გატლანდის დამსახურებაა. ინგლისელთა რიგებში შეცვლაზე კი შევიდა არაერთგზის ნაქები დენი კიპრიანი, მაგრამ ახალგაზრდა ვარსკვლავმა თავის სადებიუტო შეხვედრაში ვერ გაამართლა.

ირლანდიამ კი საკუთარ კედლებში ეფექტურად ვერა, მაგრამ მაინც დასცა „სკუადრა აძურა". მართალია, „სამყურებმა" მოიგეს, მაგრამ ისინი საკუთარმა 72000-მა გულშემატკივარმა მოედნიდან სტვენით გააცილა. ედი ოსალივანს პოსტზე თუ დაიტოვებენ, რამე ახლის მოფიქრება მოუწევს, თორემ თვითმხილველები და მიმომხილველები ამბობენ, რომ ტურნირის 125 წლიან ისტორიაში ასე ცუდად ირლანდიას არასდროს უთამაშიაო.

მატჩში ანგარიში ირლანდიელებმა გახსნეს. რონან ოჰარამ ჯარიმა გაიტანა. ოჰარას მომდევნო ფეხით თამაშს ლელოც მოჰყვა. მისი ჩაკიდებული ბურთი ენდრიუ ტრიბლიმ დაიჭირა და მაურო ბერგამასკოს დაბრკოლება გადალახა. შემდეგ ტრიმბლიმ გირვან დემპსის გადააწოდა და მასაც ლელოს გატანა აღარ გასჭირვებია. „სამყურებმა" გარდასახვაც გამოიყენეს. პირველ ნახევარში იტალიელებმა კი მხოლოდ დევიდ ბორტოლუსის ჯარიმით უპასუხეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში ოჰარამ კიდევ შეაგდო ჯარიმა, მაგრამ ამ დროისთვის მასპინძლები კაცნაკლულები იყვნენ და ამიტომ მოუწიათ დაცვაში ჩადგომა. „ლურჯების" კაპიტანმა სერჯო პერისემ შერკინების დახმარებით ლელო დადო. ბორტოლუსიმ გარდასახვა გააფუჭა, სამაგიეროდ, მალევე ერთი ჯარიმა კიდევ გაიტანა და იტალიელთა საბოლოო ქულათა მარაგს მოუყარა თავი. ბოლო წუთებზე ოჰარას საჯარიმომაც კი ვერ მოულბო გული ირლანდიელთა უკმაყოფილო ქომაგთ. ვნახოთ, შემდეგი ტური ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს და ოსალივანის ბედიც ალბათ მაშინ გადაწყდება.

**ზურაბ მიგრიაული**

### საქართველოს რაგბის კავშირის განცხადება

საქართველოს რაგბის კავშირი აცხადებს, რომ 2008 წლის 24 თებერვალს 12 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტის" დარბაზში ტარდება საქართველოს რაგბის კავშირის საერთო კრება (ყრილობა) შემდეგი დღის წესრიგით:

1. რაგბის კავშირის პრეზიდენტის 2007 წლის ანგარიშის მოსმენა;
2. კავშირის წესდების ახალი რედაქციის მიღება;
3. კავშირის პრეზიდენტის არჩევა;
4. კავშირის გამგეობის არჩევა;
5. კავშირის 2008 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და მისი პრიორიტეტების განსაზღვრა;
6. სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები.

კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ რაგბის კავშირში.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატთა კავშირში წარდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 19 თებერვლის 16 საათი (კანდიდატების წარდგენა დაიშვება მხოლოდ კავშირის წევრთა მიერ). ამასთან, სასურველია, კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატმა ყრილობამდე წარმოადგინოს რაგბის კავშირის განვითარების 4-წლიანი გეგმა.

კენჭისყრაში მონაწილე წევრებმა რაგბის კავშირში უნდა წარმოადგინონ მარეგისტრირებელი ორგანოს საბუთი წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თაობაზე.

კენჭისყრაზე დაიშვება რაგბის კავშირის ნამდვილი წევრიდან მხოლოდ ერთი წარმომადგენელი — პრეზიდენტი (დირექტორი) ან მისი მინდობილობით, ნებისმიერი სხვა პირი.



**ფედერაციის თასი. ევრო-აფრიკული ზონის I ჯგუფი. ბუდაპეშტი. უნგრეთი. 30 იანვარი — 3 თებერვალი**

# საქართველო ზონაში დაქვეითდა

**პლეი აუტი**
**პოლონეთი 3:0 საქართველო**

1:0. ურსულა რადვანსკა — თათია მიქაძე 6:1 6:0
2:0. აგნეშკა რადვანსკა — ოქსანა კალაშნიკოვა 6:4 6:4
3:0. იანსი, როსოლსკა — ქვაცაბაია, მიქაძე 6:1 6:1

**თავს** ზემოთ ძალა რომ არ არის, კარგად გამოჩნდა ბუდაპეშტში, სადაც ფედერაციის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის პირველი ჯგუფის მატჩები ისე დასრულდა, რომ საქართველოს ნაკრებმა მატჩს ვინ კითხულობს, ერთი კონკრეტული შეხვედრის მოგებაც ვერ შეძლო — ბელარუსთანაც, შვედეთთანაც, სლოვენიასთანაც და პოლონეთთანაც მშრალი ანგარიშით წააგო და ერთწლიანი აღზევების შემდეგ, ისევ ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში დაქვეითდა.

ეს ყველაფერი მოსალოდნელი იყო, რადგანაც კაპიტან ლალი ზერეკიძეს უნგრეთში, ფაქტობრივად, მესამე შემადგენლობა ჰყავდა — მიზეზთა და მიზეზთა გამო, რეიტინგის მიხედვით ექვსმა საუკეთესო ჩოგბურთელმა ნაკრებს უგანა.

ზერეკიძის გუნდის შანსი ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩი იყო თავიანთი ლიდერის, კატარინა სრებოტნიკის გარეშე მოთამაშე სლოვენიელებთან და ეკა გორგოძემ და ოქსანა კალაშნიკოვამ ბოლომდე იბრძოლეს კიდეც რანგით გაცილებით მაღლა მდგომ მეტოქეებთან, მაგრამ...

სლოვენიასთან მარცხის შემდეგ პლეი აუტში პოლონეთი გვერგო და პოლონელებს კი აგნეშკა რადვანსკა ჰყავთ, რომელმაც სეზონის პირველ სლემტურნირზე, ავსტრალიის ღია პირველობაზე, მეოთხედფინალს უწია. აგნეშკამ ორ სეტში მოუგო კალაშნიკოვას, ხოლო მეორე რადვანსკამ, რომელსაც ურსულა ჰქვია, კიდევ უფრო იოლად დაჯაბნა საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი თათია მიქაძე და ისევე, როგორც წინა მატჩებში, წყვილთა შეხვედრას ამ ჯერზეც დაეკარგა ინტერესი.

საქართველოს ჩემპიონატი

# საქართველოს ჩემპიონატი
## სუპერლიგა. XI-XII ტურები

# ველური მკვლელი

## დავით ბარბაქაძემ რუსთაველები მეორედ გაამწარა

**2 თებერვალი. ვერის ბაღი**

**მაკაბი 79:99 ავიამშენი**

*18:26 18:22 27:23 16:28*

მაკაბი: ი. ბერიშვილი (11), სორდია (15), ვაშაკიძე (5), ს. შერმადინი (14), გ. შერმადინი (27 ქულა, 20 მოხსნა); პირველაშვილი (1), კოლუაშვილი (6), ჯიქია

ავიამშენი: ნიკოლაძე (12), ტულუში (15), ნინიაშვილი (4), მინაშვილი (13), მათიაშვილი (22); კვიმსაძე (12), ხოშტარია (14), ბერაია (4), იმნაძე (3)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ გელოვანი

**ვითა 63:87 ენერჯი-ინვესტი**

*21:17 11:30 12:16 19:24*

ვითა: ნ. ნოზაძე (2), მარკოიშვილი (13), მ. ბერიშვილი (19), ბეჟანიშვილი (3), ბერძენიშვილი (15); გვიმრაძე (7), წივწივაძე (4), ძიძიგური, გასიტაშვილი, ცერცვაძე

ენერჯი-ინვესტი: ლეჟავა (8), ბოისა (5), ჭოჭუა (16), სტეფანოვი (7), ბაბიაშვილი (15); გოგობერიშვილი (11), ტუჯანი (8), დიდია (7), ცეკვავა (5), ლიპარტელიანი (3), ჩიტაშვილი (2), დანელიანი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით არეშიძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**დინამო 73:87 თსუ**

*6:24 24:22 21:21 22:20*

დინამო: გულისაბედაშვილი (18), ჟილენტი (10), ლაფანაშვილი (16), ახალკაცი (16), ათანელაშვილი (2); მაისურაძე (6), ნანიტაშვილი (5), სიგუა, ფაიქრიძე

თსუ: არწივიძე (3), ხეცურიანი (9), ფანჩულიძე (18), კეიდია (4), ყველაშვილი (5); ბარბაქაძე (26), დ. ბერიშვილი (13), ტყეშელაშვილი (9), კობრეიძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**3 თებერვალი. ვერის ბაღი**

**ავიამშენი 76:89 დინამო**

*18:28 17:23 12:19 29:19*

ავიამშენი: ტულუში (12), ნიკოლაძე (14), ხოშტარია (13), იმნაძე (4), სუხიშვილი (5); მინაშვილი (7), მათიაშვილი (14), კვიმსაძე (5), ნინიაშვილი (2)

დინამო: ჟილენტი (15), გულისაბედაშვილი (24), ლაფანაშვილი (19), ახალკაცი (9), ათანელაშვილი (13); მაისურაძე (4), წერეთელი (4), ფაიქრიძე (1), ნანიტაშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, გურამ მიქელაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**ენერჯი-ინვესტი 76:78 თსუ**

*20:18 26:24 12:14 18:22*

ენერჯი-ინვესტი: ჩიტაშვილი (13), ლეჟავა (15), ბოისა (9), სტეფანოვი (13), ბაბიაშვილი (5); ჭოჭუა (8), გოგობერიშვილი (4), ცეკვავა (4), ტუჯანი (2)

თსუ: არწივიძე, ხეცურიანი (8), ფანჩულიძე (16), კეიდია (11), ტყეშელაშვილი (7); დ. ბერიშვილი (14), ბარბაქაძე (13), ყველაშვილი (4), ბ. ნოზაძე (2), ლოსაბერიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ გელოვანი

**ვითა 91:86 მაკაბი**

*21:23 21:11 23:31 26:21*

ვითა: მარხვაშვილი (17), მარკოიშვილი (17), ბეჟანიშვილი (14), მ. ბერიშვილი (18), ბერძენიშვილი (5); წივწივაძე (5), გვიმრაძე (12), ნ. ნოზაძე (3), ძიძიგური

მაკაბი: ი. ბერიშვილი (16), სორდია (7), პირველაშვილი, ს. შერმადინი (15), გ. შერმადინი (16); კორკოტაძე (10), ვაშაკიძე (2), კოლუაშვილი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

კომისარი: მურმან ქურიძე



ავიატორი ზვიად ბაბიაშვილი სტუდენტებმა ფარქვეშ შებოჭეს

**დავით ბარბაქაძეს** თიკუნი „ველურაა“. ახლა ამ მეტსახელს თავისუფლად შეიძლება მივამატოთ „მკვლელი“. სხვისა არ ვიცით და, რუსთაველებისთვის ბარბაქაძე ნამდვილი მკვლელია. ტერმინი „ქილერი“ მხოლოდ, მეტადრე ამერიკული კალათბურთის ქომაგებში მიღებულია და მას იმ მოთამაშეებს ეძახიან, რომლებსაც გადამწყვეტი ბურთების ჩაგდებაში ხელი და ნერვები გაწაფული აქვთ. დავით ბარბაქაძე კი ის მოთამაშეა, ვის ნასროლსაც ბოლო ათ დღეში ყველაზე ძლიერი ქართული კლუბი „ენერჯი-ინვესტი“ ორჯერ შეეწირა.

გავიხსენოთ, რა მოხდა 23 იანვარს სპორტის სასახლეში საქართველოს თასის ნახევარფინალის ტოლფას მატჩში: რუსთაველები ქულით უგებდნენ თსუ-ს, დამთავრებამდე წამნახევარი რჩებოდა, თუმც გვერდიდან შემოტანილი ბურთი ბარბაქაძემ სირენის თანხლებით ქვემოქართლელთა კალათში მოათავსა და...

გუშინ კი ვერის ბაღში ეს გუნდები უკვე სუპერლიგის ეგიდით ხვდებოდნენ და უაღრესად საინტერესო მატჩის დასრულებამდე 10 წამით ადრე ბარბაქაძემ ბურთი მეტოქის პერიმეტრს მიღმა მიიღო. „ენერჯი-ინვესტი“ ამ დროს 76:75 იგებს და საკუთარი ფარის დაცვას კბილებით ცდილობს. ბარბაქაძე დგას, აქეთ-იქით იყურება, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, ბურთი ვის გადააწოდოს — თსუ-ს ყველა მოთამაშე რუსთაველებს საიმედოდ ჰყავთ ამოკეტილი.

თავად „ველურაც“ შეზღუდულია, მას რუსთაველთა კამერუნელი ლეგიონერის, ჟოლივეტ ტუჯანის შავი ხელები აქვს შემოჯარული... ბარბაქაძემ შეტევის უკეთესი გაგრძელება ვერ მონახა და... „ჩემიანთაგან გახსნილი არავინ იყო, თან ამ დროს ხელში რაღაც ძალა ვიგრძენი — გაიხსენა ნამატჩევს — არ ვიცი, რატომ, მაგრამ რატომღაც დავიჯერე, რომ ჩავაგდებდი“. „ველურა“ ახტა, ჰაერში დატრიალდა და ტუჯანის ხელებიდან „მკვლელი“ სამქულიანი ჩააგდო...

ეს არ იყო უწინდელივით სირენის თანხლებით ჩაგდებული ბურთი, მაგრამ მნიშვნელობით წინამორბედს არ ჩამოუვარდებოდა. რუსთაველებს თავის გადასარჩენად 6 წამი ჰქონდათ და მათაც სამქულიანით სცადეს თსუ-ს დაშამათება, მაგრამ ანატოლი ბოისა „მკვლელი“ ვერ გამოდგა.

საერთოდ, ეს მატჩი თავიდან ბოლომდე დაძაბული იყო. თანაბარი ბრძოლა პირველივე წუთებზე რომ გაჩაღდა, ბოლო წამებამდე ასე გაგრძელდა. საოცარიც სწორედ ესაა — ყოვლად გამართულ, ჩემპიონატში მანამდე წაუგებელ და ამბიციურ გუნდს რიგითმა თსუ-მ თანაბარი ბრძოლა გაუმართა. შემთხვევით, რაღაც რეალური მიზეზის გამო რომ წაეგოთ რუსთაველებს, კიდევ ჰო, მაგრამ სტუდენტებმა მათ არაფერი დაუთმეს და ბოლო წუთებზე პრესინგის მარჯვედ გამოყენებით მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე.

საინტერესოა, საიდან აქვთ ამხელა რესურსი სტუდენტებს — მათ ზამთრის არდადეგებზე ლიდერები — რიჩარდ მათიაშვილი და მიხეილ ჩიტაშვილი გამოაკლდათ, თუმც დავით ბარბაქაძის სახით, ვინც ბოლო 10 დღეში ორჯერ დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი და წლეულს ევროპაზე გასული „ენერჯი-ინვესტი“, ნამდვილი მარგალიტი იპოვეს.

გუშინ კიდევ ერთი, არანაკლებ მოულოდნელი შედეგი აღინიშნა. იანვარში ქორქია-საკანდელიძის მემორიალისა და საქართველოს თასის მომგებმა „ავიამშენმა“ „დინამოსთან“ წააგო. ლევან მოსეშვილის გუნდი თითქოს გამოვიდა კრიზისიდან, რომელშიც ჩემპიონატის დასაწყისში იყო, თითქოს ყველაფერი საათივითააწყვეს „ავიატორებმა“, მაგრამ ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან მაინც წააგეს.

თამაშის სცენარი ისე მიდიოდა, გეგონებოდათ, „ავიამშენი“ „დინამოა“ და „დინამო“ „ავიამშენი“. აუტსაიდერი ნიადაგ წინ იყო და თავის ლიდერობას მეოთხედიდან მეოთხედამდე ზრდიდა. „ავიატორები“ ამაოდ ცდილობდნენ გაბათილებას, მათი სროლები უმისამართო იყო, შეტევები კი — ზანტი.

ისე, ვეჭვობთ, „ავიატორებს“ ამ თამაშში მთელი გული და სული ჩაექსოვათ, თორემ ბევრად სუსტ „დინამოსთან“ ასე უიმედოდ როგორ წააგებდნენ. ლევან მოსეშვილს უყვარს სტრატეგიების წინასწარ შერჩევა და ამას წინათ „სარბიელთან“ საუბარში ისიც კი თქვა, ვინ იცის, რუსთაველებთან შეხვედრა ნახევარფინალშივე გვიჯობდესო. ქვემოქართლურ გუნდს რომ პლეი ოფის პირველ რაუნდში შეხვდეს, „ავიამშენმა“ რეგულარული ჩემპიონატი მე-4 ადგილზე უნდა დაასრულოს, რადგან „ენერჯი-ინვესტს“ მყარად უპყრია ლიდერობა და ძალიან უნდა „მოინდომოს“, რომ ჩამოქვეითდეს.

**ირაკლი პერტაია**



# მოკრძალებული ქართველი მოლაღობე ვარსკვლავებში

**შაბათს** ბალტიის ლიგის ოლ სტარი გაიმართა, სადაც ლეგიონერთა ვარსკვლავ-გუნდის ხუთეულში ითამაშა გიორგი ცინცაძემ. ეს იყო ქართველი ლეგიონერის პირველი ბალტიური ოლ სტარი. ის შარშანაც იმსახურებდა იქ თამაშს, მაგრამ ორგანიზატორებმა ქართველის ნაცვლად სხვა ჩასვეს და...

ახლა კი ცინცაძის მეოლსტარეობა ეჭვს არ იწვევდა. ის უკანახაზელთა გამოკითხვაში მხოლოდ ჟალგირისელ მარკუს ბრაუნს ჩამორჩა და არაბალტიელი ვარსკვლავების გუნდის ხუთეულში დაიბევა ადგილი. აქვე ვთქვათ, რომ ბრაუნს ტრავმის გამო არ უთამაშია და მისი ადგილი მისივე თანაგუნდელმა მარკო პოპოვიჩმა დაიკავა. სხვათა შორის, პოპოვიჩი იყო ის იღბლიანი, რომელიც შარშანდელ ოლ სტარში ცინცაძის ნაცვლად ათამაშეს.

თამაში ჭეშმარიტად ოლსტარული, სალაღობო და უხვქულიანი გამოვიდა. არ არსებობდა დაცვა, ვისაც რა უნდოდა, იმას აკეთებდა, რასაც ვერ ვიტყვით ქართველ გამთამაშებელზე. ის შედარებით მოკრძალებული იყო და მხოლოდ 2 სამქულიანი ესროლა (ორივე ჩააგდო), ხოლო საშუალო დისტანციიდან ცინცაძემ სამჯერ მოისარა სამიზნე და ერთხელ იჯარიმა. გიორგიმ მთლიანობაში 21 წუთი ითამაშა და მოაგროვა 8 ქულა, 3 მოხსნითა და 1 პასით დატოვა.

ქართველის მარჯვენამ, მარკო პოპოვიჩმაც 21 წუთი ითამაშა, თუმცა ჩვენებურისგან განსხვავებით შორიდან სროლას მიეძალა და 10 ცდიდან 5 სამქულიანი ჩააგდო.

საბოლოო ანგარიში ევროპული კალათბურთისთვის სრულიად შეუფერებელი, მაგრამ ოლ სტარისთვის დამახასიათებელი გამოდგა: უცხოელმა ვარსკვლავებმა ბალტიელები 154:136 დაამარცხეს. მატჩის უძვირფასესი მოთამაშე გახდა ლატვიური „ვალმიერას“ 21 წლის სერბი ცენტრი ვლადიმირ შტიმაცი, რომელმაც 14-დან 12 ორიანი ჩააგდო და თამაში 25 ქულითა და 8 მოხსნით გაასრულა.

**ირაკლი პერტაია**

# სანიკიძის ბალტიამდე დინამოა

**დიდი** შანსია, ევროპული კლუბების მოძვლელმა ვიქტორ სანიკიძემ თბილისის „დინამოში“ ითამაშოს. თუმცა ეს დროებით, ფორმის შესანარჩუნებლად, სანამ სასურველ უცხოურ კლუბს გამონახავდეს.

სანიკიძეს ამ სეზონში საკლუბო დონეზე ჯერ არ უთამაშია. ის ბოლოს აგვისტოში, საქართველოს ნაკრების მაისურით ავსტრიის წინააღმდეგ გავიდა მოედანზე და სერიოზული ტრავმა მიიღო. მას შემდეგ [illegible] ვითომ მოირჩინა ნატკენი ფეხები, მაგრამ წყეულმა ტრავმამ გერმანულ „კიოლნთან“ გამზადებული კონტრაქტი ჩაუშალა. მას მოქმედი ხელშეკრულება აკავშირებდა ესპანური პრიმერადივიზიონის „ესტუდიანტესთან“, მაგრამ ამ გუნდმა შემადგენლობის გადახალისება ისურვა და ქართველ ფორვარდს „კიოლნში“ გაშვება დაუპირა, მაგრამ...

ეს იყო სექტემბერში და მას მერე სანიკიძე უქმადაა — ფეხს მკურნალობს, მისი აგენტი კი ახალი კლუბის ძიებითაა დაკავებული.

„მაქვს ბალტიურ ლიგაში მოთამაშე რამდენიმე გუნდის ვარიანტი და საბოლოო პასუხს ველოდები — გვითხრა გუშინ ვიქტორ სანიკიძემ — თუ უცხოური ვარიანტი არ გამომივიდა, მაშინ თბილისის „დინამოში“ ვითამაშებ გუნდის მონახვამდე, რათა ფორმაში შევიდე“.

დღესდღეობით სანიკიძემ სრულად მოირჩინა ტრავმა და „დინამოსთან“ ერთად დიღმის ბაზაზე ვარჯიშობს.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჩინური ბლოკი გორილა

## ჩინური ბლარძუნი

**1 თებერვალი**

**ტორონტო 101:121 ლეიკერსი**
ტორონტო: ბარნანი (28), ბოში (22 ქულა, 15 მოხსნა), კალდერონი (17)
ლეიკერსი: ბრაიანტი (46), ვუიაჩიჩი (22)

**ინდიანა 103:106 ჰიუსტონი**
ინდიანა: გრეინჯერი (22)
ჰიუსტონი: ლენდერი (22)

**ფილადელფია 106:108 ორლანდო**
ფილადელფია: მილერი (23)
ორლანდო: თურქოღლუ (23)

**მინესოტა 103:84 კლიპერსი**
მინესოტა: ჯეფერსონი (25)
კლიპერსი: კასელი (17)

**მაიამი 85:94 ნიუ ჯერსი**
მაიამი: ვეიდი (15)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (25)

**ვაშინგტონი 87:96 იუტა**
ვაშინგტონი: ჯემისონი (31)
იუტა: ოქური (27)

**საკრამენტო 112:103 ნიუ ორლეანი**
საკრამენტო: არტესტი (24)
ნიუ ორლეანი: სტოიაკოვიჩი (25)

**გოლდენ სტეიტი 127:96 შარლოტი**
გოლდენ სტეიტი: ელისი (21)
შარლოტი: ოკაფორი (20)

**პორტლენდი 94:88 ნიუ იორკი**
ძირითადი დრო 81:81
პორტლენდი: როი (20 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა)
ნიუ იორკი: რენდოლფი (25)

**2 თებერვალი**

**ატლანტა 104:92 ნიუ ჯერსი**
ატლანტა: ე. ჯონსონი (6), ჯ. ჯონსონი (10), მ. უილიამსი (24), სმიტი 23), ჰორფორდი (14); ჩილდერი (23), ლუ (9), ფაჩულია (7 წუთი, 0 ქულა, 4 მოხსნა, 1 დაფარება), ლოუ
ნიუ ჯერსი: კიდი (5 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), კარტერი (14 ქულა, 11 პასი), ჯეფერსონი (23), ბენი (14), კოლინზი (2); ნახბარი (16), რაიტი (9), უილიამსი (6), არმსტრონგი (3), კრსტიჩი

**მილუოკი 83:91 ჰიუსტონი**
მილუოკი: ბოგუტი (21)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (33 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), მინი (12 ქულა, 12 მოხსნა)

**ინდიანა 115:121 ორლანდო**
ინდიანა: გრეინჯერი (29)
ორლანდო: ჰოვარდი (24)

**კლივლენდი 98:84 კლიპერსი**
კლივლენდი: ჯეიმსი (28 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ილგაუსკასი (22)
კლიპერსი: ტორნსტონი (23)

**მემფისი 91:110 იუტა**
მემფისი: გაი (15 ქულა, 10 მოხსნა)
იუტა: ბუზერი (19 ქულა, 10 მოხსნა)

**დენვერი 114:101 შარლოტი**
დენვერი: ენტონი (25 ქულა, 10 მოხსნა), აივერსონი (24 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა, 5 ჩაჭრა), კლეიზა (23)
შარლოტი: რიჩარდსონი (38)

**სიეტლი 86:85 ნიუ იორკი**
სიეტლი: დურანტი (21), უილკოქსი (20)
ნიუ იორკი: რენდოლფი (24), კროუფორდი (23)

**საკრამენტო 105:101 ჩიკაგო**
საკრამენტო: არტესტი (28), მარტინი (26), მილერი (22 ქულა, 20 მოხსნა)
ჩიკაგო: გორდონი (33), ჰაინრიხი (18)

**ბოლო** დროს ზაზა ფაჩულიას და მის „ატლანტას" იდეალურად არ მისდით საქმე. ზაზას ნბა-ში ალბათ ყველაზე ცუდი სეზონი აქვს, რაც არ ითქმის „ატლანტაზე", მაგრამ ჯორჯიელებმა ცუდად ჩაატარეს დასავლური გასვლითი ტურნე, ბოლო 8 მატჩში 7 მარცხი იგემეს და შესამჩნევად გაიუარესეს პლუს-მინუს ბალანსი. ისინი აღმოსავლეთში მეექვე ადგილს მხოლოდ იმის გამო ინარჩუნებენ, რომ კონკურენტებიც ცუდ ფორმაში არიან.

ახლა, 2 თებერვალს, ცუდ ფორმაში მყოფ „ქორებს" სულზე მოუსწრო დაჩლუნგებულ „ნიუ ჯერსისთან" თამაშმა, მოუგო და ცხრილში ადგილი შეინარჩუნა. უშუალო კონკურენტთან პრინციპული თამაში ჩააფლავა ოლ სტარში მეორედ არჩეულმა „ატლანტას" ლიდერმა ჯო ჯონსონმა, ვინც თამაშიდან 15-ჯერ შეუტია ჯერსელთა კალათს და მხოლოდ ოთხჯერ იხეირა. თუმცა ხელი გამოიღეს სხვა წამყვანმა მოთამაშეებმა, ჯოშ სმიტმა, მარვინ უილიამსმა და სათადარიგო ჯოშ ჩილდრესმა. სამივემ ერთად 70 ქულა გააკეთა და მათი მეცადინეობით, თამაშის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა, რომელიც მასპინძლებმა 55:38 მოიგეს.

„ნიუ ჯერსის" რიგებში კვლავ საუკეთესო იყო რიჩი ჯეფერსონი, რომელიც კარიერის პიკზეა, მაგრამ ოლ სტარში წათამაშება წლეულსაც არ ეღირსება. რაც შეეხება „შტატიან" ვარსკლავებს, ჯეისონ კიდსა და ვინს კარტერს, მათ ერთობლივად 17 პასი და 12 მოხსნა კი გააზერხეს, მაგრამ რაღ გინდა, სროლები ჩაუფლავდათ, თამაშიდან 21-დან მხოლოდ მესამედი ჩააგდეს და ასე დაუთმეს უშუალო კონკურენტს ეს თამაში.

შაბათსავე საინტერესო მატჩს უმასპინძლა მილუოკიმ. კალათბურთის ადგილობრივი მოყვარულები დიდი ჩინური ორთაბრძოლის მოლოდინით მივიდნენ დარბაზში, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. „მილუოკი ბაქსის" 211-სანტიმეტრიანმა იი ძიანლიანმაც და „ჰიუსტონ როკიტსის" 226-სანტიმეტრიანმა იაო მინმაც ისე საზიზღრად ითამაშეს, რომ მათ ბლარძუნს ნამდვილად ვერ დაარქმევს კაცი ტიტანთა რკენას.

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 36 | 8 | 81,8 |
| ტორონტო | 25 | 21 | 54,3 |
| ნიუ ჯერსი | 20 | 27 | 42,6 |
| ფილადელფია | 18 | 29 | 38,3 |
| ნიუ იორკი | 14 | 33 | 29,8 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 33 | 13 | 71,7 |
| კლივლენდი | 26 | 20 | 56,5 |
| ინდიანა | 19 | 29 | 39,6 |
| ჩიკაგო | 18 | 28 | 39,1 |
| მილუოკი | 18 | 30 | 37,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 31 | 18 | 63,3 |
| ვაშინგტონი | 24 | 21 | 53,3 |
| ატლანტა | 19 | 24 | 44,2 |
| შარლოტი | 18 | 30 | 37,5 |
| მაიამი | 9 | 36 | 20,0 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 32 | 14 | 69,6 |
| დალასი | 31 | 14 | 68,9 |
| სან ანტონიო | 29 | 16 | 64,4 |
| ჰიუსტონი | 27 | 20 | 57,4 |
| მემფისი | 13 | 34 | 27,7 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 30 | 18 | 62,5 |
| დენვერი | 28 | 18 | 60,9 |
| პორტლენდი | 27 | 19 | 58,7 |
| სიეტლი | 12 | 35 | 25,5 |
| მინესოტა | 10 | 36 | 21,7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 33 | 14 | 70,2 |
| ლეიკერსი | 29 | 16 | 64,4 |
| გოლდენ სტეიტი | 29 | 19 | 60,4 |
| საკრამენტო | 22 | 24 | 47,8 |
| კლიპერსი | 14 | 30 | 31,8 |



## ლეიკერსის ახალი სოლი: გასოლი

**პაუ გასოლის** ტანჯვა დასრულდა. „მემფის გრიზლიზის" 27 წლის ლიდერს ბოლოს და ბოლოს ეღირსა ნორმალური გუნდი, რომლის რიგებშიც ის პლეი ოფში თავს ჩემპიონობისთვის მებრძოლ კაცად ჩათვლის და არა თავიდანვე გასავარდნად განწირულად.

„მემფისის" შეფებმა ველარ გაუძლეს მოთამაშის მხრიდან ზეწოლას და იძულებულები გახდნენ, გაეშვათ. გასოლი გაცვალეს „ლეიკერსში", საიდანაც მიიღეს უხეირო ცენტრი კვეიმ ბრაუნი, მთლად უვარგისი ჯავარის კრიტენტონი და 2008 და 2010 წლის დრაფტებზე პირველ წრეში არჩევანის გაკეთების უფლება.

„ლეიკერსისთვის" კი მართლა სერიოზული შენაძენია 211-სანტიმეტრიანი ესპანელი მეფარე, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა და პერსპექტიული ცენტრი ენდრიუ ბინამი დაემტვრა. გასოლი 2000 წლიდანაა ნბა-ში, 2000-01 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედადაც დასახელდა და მას შემდეგ აგერ შვიდნახევარი სეზონი ლიდერობდა მემფისურ „გრიზლიებს". მისი დახმარებით [illegible]რუკმა გუნდმა ძლიერ დასავლეთის დივიზიონში საშუალოებშიც კი დაიმკვიდრა ადგილი და 2003-06 წლებში ზედიზედ ოთხჯერ ითამაშა პლეი ოფში, თუმცა კი წარუმატებლად. ალალად რომ ითქვას, იქ მოხვედრაც გასოლის დამსახურება იყო. შემდეგ კი „მემფისმა" დაყვინთა, რაც ისევ და ისევ ესპანელის, უფრო ზუსტად კი მისი ტრავმების ბრალია.

გასოლისთვის საუკეთესო იყო 2005-06 წლების სეზონი, როცა ის ყველა ვარსკვლავის მატჩშიც მოხვდა. 2006 წლის ზაფხულში კი მან იმ ესპანეთის ნაკრებს ულიდერა, რომელიც იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

აღმართს დაღმართი მოჰყვა, თან უცბადვე. მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩის მოწყურულს, გასოლი ისე დაიმტვრა, რომ ნბა-ში მომდევნო სეზონის ნახევარი გაუცდა. „მემფისს" ეს ძვირად დაუჯდა.

ახლა კი გასოლი „ლეიკერსშია". იქ ის ითამაშებს კობი ბრაიანტის მხარდამხარ და ფილ ჯექსონის ხელქვეით. მისით გაძლიერებული „ლეიკერსი" კი პლეი ოფში უფრო თამამად გაიბრძოლებს და ვინ იცის, თუ ახალი ვარსკვლავი გუნდს კარგად შეეწყო, იქნებ ჩემპიონობაც არც ისე მიუწვდომელი ოცნება იყოს.

**კოტე ყირმია**

# თვის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი
**ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)**




## დასავლეთი
**იაო მინი (ჰიუსტონი)**



**გუშინწინ** ნბა-მ იანვრის ლაურეატები დაასახელა აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციებში.

აღმოსავლეთში თვის საუკეთესო მოთამაშე „კლივლენდ კავალიერზის" სუპერვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი გახდა. მას იმდენად კარგი პერიოდი ჰქონდა, რომ კონკურენცია ვერავინ გაუწია. ლებრონმა „კავალერიას" იანვარში 14 მატჩიდან 11 მოაგებინა, თავად კი საშუალოდ 32,8 ქულა, 7,8 მოხსნა და 7,2 პასი იხვეჭა. ქულების მხრივ მას იმდენად კარგი თვე ჰქონდა და ისე გაიყარა ლიგის ბომბარდირთა შორის პირველი ადგილი, რომ საეჭვოა, დარჩენილ სამ თვეში კობი ბრაიანტი, ალენ აივერსონი ან ვინმე სხვა დაეწიოს. გამოსარჩევია ლებრონის თამაში „შარლოტთან", როდესაც ლებრონმა 31 ქულასთან ერთად 19 მოხსნა, 8 პასი, 4 დაფარება და 3 ჩაჭრა გააკეთა და ოქმის მნახველებს პირი დააღებინა. ასევე გასახარებელია მისი მემფისური გმირობა — 51 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა.

დასავლეთს კი შედარებით „მჭლე" ლაურეატი ჰყავს. „ჰიუსტონ როკიტსის" ჩინელ ცენტრ იაო მინის ნაგროვები 22,4 ქულა, 10,9 მოხსნა და 2,4 პასი ისე შთამბეჭდავად ვერ გამოიყურება, როგორც ჯეიმსის სტატისტიკა, მაგრამ „ჩინურ კედელს" ესეც ეყო, დასავლეთში იანვრის რჩეული გამხდარიყო.

აღმოსავლეთში თვის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა ჯეიმსის და „კლივლენდის" დამრიგებელი მაიკ ბრაუნი (11 მოგება, 3 წაგება), დასავლეთში კი „ნიუ ორლეანის" კონფერენციაში გამლიდერებელი ბაირონ სკოტი (12 მოგება, 2 წაგება).

დასავლეთში თვის საუკეთესო ახალბედად მესამედაც „სიეტლის" ჯეელი ლიდერი კევინ დურანტი აღიარეს, აღმოსავლეთში კი — „ტორონტოს" ფორვარდი ჯამარიო მუნი.

**თვის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის" ვერსია):** დერონ უილიამსი (იუტა), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), კრის ბოში (ტორონტო), იაო მინი (ჰიუსტონი)

# იანვრის ოვეჩკინი



**იანვარი** ალექსანდრ ოვეჩკინისა გამოდგა. „ვაშინგტონთან“ გაფორმებული 13-წლიანი კონტრაქტის შემდეგ რუსი სუპერვარსკვლავი კიდევ უფრო შთამბეჭდავად ათამაშდა და გასულ თვეს მთელი ლიგა დააწიოკა.

ოვეჩკინმა იანვარში ყველაზე მეტი, 22 ქულა მოიხვეჭა (13+9) და თვე სარგებლიანობის +9 მაჩვენებლით დაასრულა. რუსის თავგამოდების ხარჯზე დედაქალაქურმა გუნდმა იანვარში 9 შეხვედრა მოიგო და საპლეიოფო ზონას მაქსიმალურად მიუახლოვდა. „ვაშინგტონს“ დივიზიონის მოგების შანსიც გაუჩნდა, რადგანაც ლიდერ „კაროლინას“ მხოლოდ სამი ქულითღა ჩამორჩება.

თავად ოვეჩკინმა კი იანვარში ჩატარებული 13 მატჩიდან 9-ში გამოიჩინა თავი. რუსმა სუპერთავდამსხმელმა განსაკუთრებით თვის მიწურულს, 31-ში „მონრეალთან“ შეხვედრაში იყოჩაღა, როცა პოკერი შეასრულა და ამას შედეგიანი გადაცემაც დაურთო. და ეს მაშინ, როცა მატჩის დასაწყისში მას ჯერ შაიბა მოხვდა სახეში, შემდეგ კი მეტოქის უხეშობის შედეგად ექიმებმა სახეზე და გატეხილ ცხვირზე რამდენიმე ნაკერი დაადეს.

ოვეჩკინისთვის ეს წლეულს გაკეთებული მეორე პოკერი იყო (29 დეკემბერს „ოტავასთან“ გამოიჩინა თავი), რის შემდეგაც რუსს სეზონში უკვე 43 შაიბა მოუგროვდა და ამით სნაიპერთა დავაში ლიდერის პოზიცია გაიმყარა, თანაც 70 ქულით კარიერაში პირველად ბომბარდირთა შორისაც დაწინაურდა.

ოვეჩკინის გარდა იანვარში ჩაუქობა „ნეშვილის“ თავდასხმელ ჟან-პიერ დიუმონსაც დაუფასეს. „მტაცებელთა“ წინახაზელმა გასულ თვეს თავისი გუნდის 14-ვე მატჩში გაახერხა მინიმუმ ერთი ქულა მაინც, მთლიანობაში კი 20 ქულა (6+14) მოიხვეჭა და ჯერჯერობით კარიერის საუკეთესო სეზონსაც ატარებს. ისე კი, დიუმონის შედეგიანი სერია 29 დეკემბერს დაიწყო და აგერ უკვე 16 შეხვედრაა, ყინულს უქულოდ არ ტოვებს.

სწორედ ამ სერიის დამსახურება უნდა იყოს, „ნეშვილმა“ დიუმონს ახალი კონტრაქტი რომ გაუფორმა — ჰოკეისტი და ტენესური გუნდი კიდევ 4 წელი ითანამშრომლებენ, დიუმონი კი პირად ანგარიშს 16 მილიონით შეივსებს.

თვის მოთამაშეებს შორის ადგილი მეკარისთვისაც გამოინახა. ეს პატივი „მონრეალის“ ფრანგ კარის დარაჯ კრისტობალ იუეს ერგო, რომელმაც 11-დან 8 შეხვედრაში იმარჯვა. იუე საშუალოდ მხოლოდ 2,4 შაიბას უშვებდა, რასაც ერთი შათაუტიც მიაშველა. „კანადელების“ კიპერმა სეზონური სტატისტიკაც გამოისწორა — ის საშუალოდ 2,34 შაიბას უშვებს და მისი კარისკენ დარტყმულის 92,3 პროცენტს იგერიებს.

**კახა ლომაშვილი**

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 1 თებერვალი

**რეინჯერსი 3:1 ნიუ ჯერსი**
*1:0 1:1 1:0*
1:0 დუბინსკი (4), 2:0 დრური (23), 2:1 პარიზე (26), 3:1 დრური (60)

**ვანკუვერი 3:4 ფლორიდა**
*1:0 1:2 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*
1:0 დ. სედინი (20), 1:1 ჰორტონი (26), 2:1 ჰ. სედინი (34), 2:2 შტუმპელი (35), 3:2 რეიმონდი (42), 3:3 უაიზი (54)

**ბუფალო 4:5 ატლანტა**
*0:2 3:0 1:2 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 რეკი (6), 0:2 ჰოლიკი (9), 1:2 ხეხტი (28), 2:2 პომინვილი (30), 3:2 [illegible], 3:3 სლეიტერი (43), 4:3 კალინინი (46), 4:4 ენსტრომი (60)

**დეტროიტი 2:0 კოლორადო**
*0:0 0:0 2:0*
1:0 ზეტერბერგი (58), 2:0 დრეიპერი (60)

**ანაჰაიმი 0:1 სენტ ლუისი**
*0:0 0:0 0:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

**დალასი 4:1 ედმონტონი**
*0:1 2:0 2:0*
0:1 სტორტონი (6), 1:1 მოროუ (28), 2:1 რობიდა (31), 3:1 იოკინენი (52), 4:1 ოტი (58)

### 2 თებერვალი

**სან ხოსე 3:2 ჩიკაგო**
*0:1 1:0 1:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*
0:1 შარპი (19), 1:1 ჩიჩუ (26), 2:1 ვლასიჩი (44), 2:2 კეიტი (46)

**ბოსტონი 1:3 დეტროიტი**
*1:0 0:1 0:2*
1:0 კობასიუ (8), 1:1 ზეტერბერგი (36), 1:2 დაციუკი (42), 1:3 რაფალსკი (55)

**ვაშინგტონი 0:2 ატლანტა**
*0:0 0:0 0:2*
0:1 უაიტი (52), 0:2 ჰოსა (60)

**კოლუმბუსი 1:4 მინესოტა**
*0:1 1:3 0:0*
0:1 ფოსტერი (10), 1:1 ბრაშარი (44), 1:2 როლსტონი (26), 1:3 გაბორიკი (31), 1:4 გაბორიკი (32)

**ნიუ ჯერსი 6:3 ლოს ანჯელესი**
*1:0 4:2 1:1*
1:0 კლარქსონი (5), 2:0 ელიაში (23), 2:1 ბოილი (29), 3:1 რახუნეკი (30), 3:2 ჯონსონი (33), 4:2 უაიტი (34), 5:2 ზეიჯაკი (40), 5:3 ვიშნოვსკი (55), 6:3 ბრილინი (57)

**ტორონტო 4:2 ოტავა**
*2:1 0:0 2:1*
1:0 მური (10), 2:0 ტლუსტი (15), 2:1 ფოლინო (16), 2:2 ნილი (42), 3:2 კოლაიაკოვო (45), 4:2 ბლეიკი (49)

**ფილადელფია 3:0 ანაჰაიმი**
*0:0 2:0 1:0*
1:0 კნუბლი (26), 2:0 კნუბლი (40), 3:0 კნუბლი (46)

**პიტსბურგი 4:1 კაროლინა**
*0:1 0:0 4:0*
0:1 სამსონოვი (9), 1:1 კრისტენსენი (41), 2:1 მელოუნი (48), 3:1 მალკინი (50), 4:1 სიკორა (54)

**ტამპა 2:3 ფლორიდა**
*0:1 2:0 0:2*
0:1 ბაუმისტერი (3), 1:1 გრეტონი (25), 2:1 პროსპალი (39), 2:2 იოკინენი (55), 2:3 ზედნიკი (59)

**ნეშვილი 3:2 ფინიქსი**
*1:0 1:1 0:1 1:0 (ოვერტაიმში)*
1:0 ლეგვანდი (4), 2:0 ერატი (26), 2:1 დოუნი (32), 2:2 რაინპრეხტი (58), 3:2 რადულოვი (65)

**სენტ ლუისი 4:6 კოლორადო**
*2:2 0:1 2:3*
0:1 ჰენსიკი (6), 1:1 ინო (7), 1:2 ჰლინკა (14), 2:2 კარია (15), 2:3 გუიტი (31), 2:4 ჰენსიკი (41), 3:4 მაკდონალდი (47), 3:5 არნასონი (52), 4:5 ტკაჩუკი (53), 4:6 ჰაიტი (60)

**კალგარი 1:2 დალასი**
*0:0 1:1 0:1*
1:0 ლენგკოუ (26), 1:1 მოროუ (34), 1:2 ჰაგმანი (43)

**მონრეალი 4:1 აილენდერსი**
*0:0 3:1 1:0*
1:0 პლეკანეცი (21), 1:1 კომო (46), 2:1 შტრაიტი (28), 3:1 კოვალიოვი (33), 4:1 დენდენო (58)

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა. 4 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 63 | კ. ცაისი-ალემანია | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | იტალია. სერია C1/A. 4 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 64 | პადოვა-ფოლინიო | 1.95 | 2.70 | 4.50 | 1.13 | 1.36 | 1.68 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა. 4 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 65 | სეტუბალი-ნავალი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| | | აფრიკის თასი 2008. 4 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 66 | ეგვიპტე-ანგოლა | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 23:30 | 67 | ტუნისი-კამერუნი | 3.30 | 3.10 | 2.10 | 1.59 | 1.28 | 1.25 |
| | | ამხანაგური მატჩები. 4 თებერვალი | | | | | | |
| 20:30 | 68 | სომხეთი-ბელარუსი | 6.10 | 3.80 | 1.43 | 2.34 | 1.15 | 1.03 |
| 22:45 | 69 | მალტა-ისლანდია | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| | | ჰოკეი. ფინეთი. 4 თებერვალი | | | | | | |
| 20:30 | 383 | ილვესი-ესპოო | 2.15 | 4.10 | 2.30 | 1.41 | 1.11 | 1.47 |
| 20:30 | 384 | კერპეტი-ლუკო | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10063 | კარლ ცაისი-ალემანია | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10065 | სეტუბალი-ნავალი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10066 | ეგვიპტე-ანგოლა | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10067 | ტუნისი-კამერუნი | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11063 | კარლ ცაისი-ალემანია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11065 | სეტუბალი-ნავალი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11066 | ეგვიპტე-ანგოლა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11067 | ტუნისი-კამერუნი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12063 | კარლ ცაისი-ალემანია | 1.80 | 1.80 |
| 12065 | სეტუბალი-ნავალი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13063 | კარლ ცაისი-ალემანია | 1.60 | 2.00 |
| 13065 | სეტუბალი-ნავალი | 1.80 | 1.80 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14063 | კარლ ცაისი-ალემანია | 2.00 | 1.80 |
| 14065 | სეტუბალი-ნავალი | 1.45 | 2.40 |
| 14066 | ეგვიპტე-ანგოლა | 1.65 | 2.30 |
| 14067 | ტუნისი-კამერუნი | 2.10 | 1.75 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15063 | კარლ ცაისი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | სეტუბალი-ნავალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15066 | ეგვიპტე-ანგოლა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | ტუნისი-კამერუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16063 | კარლ ცაისი-ალემანია | 1.80 | 1.80 |
| 16065 | სეტუბალი-ნავალი | 1.25 | 3.40 |
| 16066 | ეგვიპტე-ანგოლა | 1.30 | 3.00 |
| 16067 | ტუნისი-კამერუნი | 2.30 | 1.48 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17063 | კარლ ცაისი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17065 | სეტუბალი-ნავალი | 1.85 | 1.95 |
| 17066 | ეგვიპტე-ანგოლა | 1.85 | 1.95 |
| 17067 | ტუნისი-კამერუნი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

Africa Cup of Nations
GHANA 2008

### მეოთხედფინალი

**განა 2:1 ნიგერია**

0:1 აიეგბენი (35პ), 1:1 ესიენი (45), 2:1 აგოგო (83)
განა: კინგსონი, ადდო, მენსა, პანცილი, შარპე, ანანი, ესიენი, მუნტარი, ოვუსუ-აბეიე (დრამანი 74), ა. გიანი (კინგსტონი 62), აგოგო
მწვრთნელი: კლოდ ლე რუა
ნიგერია: ეჯიდე, ნვანერი, შიტუ, ტაივუ, იობო, ეტუჰუ (ერომოიგბე 71), მიკელი (ობინა 58), ოლოფინჯანა, ოდემვინგი, იკეჩუკვუ, აიეგბენი
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი


თამაში განელთა კარში გასული ამ გოლით დაიწყო

# არწივთა დაცემა
## განამ ნიგერიას უგანა

გაფრთხილება: ტაივუ, ნვანერი, გიანი, მიკელი, აგოგო
გაძევება: მენსა (60)
მსაჯი: მოჰამედ ბენუზა (ალჟირი)
35 000 მაყურებელი

**თბილისური** ყინვის გახსენებაზე: თამაში 34-გრადუსიან ხვატში ჩატარდა, თუმცა ესეც რომ არა, თამაში იყო ისეთი, მცხუნვარება არ აკლდა.

ერთი გახსენებაც: ზუსტად ერთი წლის წინ განამ ნიგერიას ამხანაგურ მატჩში 4:1 მოუგო.

თამაში კი ნიგერიელ „სუპერარწივთა" იერიშით დაიწყო. იაკუბუ აიეგბენის ჰქონდა გადასარევი შანსი, მაგრამ უცოდინარივით დაარტყა. განელებმა ორი არაფრის მომცემი კუთხურით და ასამოა გიანის კარგი იერიშით უპასუხეს. თანდათან უკეთესობაც დაეტყოთ...

თუმცა ყველა შეტევის ჩამოთვლას რა აზრი აქვს და მთავარი ამბები ვთქვათ. პირველი პენალტი იყო: აიეგბენი სელტელი კვინსი ოვუსუ-აბეიეს ფეხს გამოედო და გასამრჯელოდ პენალტი მიიღო. ევერტონელმა ფორვარდმა თავადვე დაარტყა, მეკარემ კუთხე ვერ გამოუცნო და თავში სიცხე რომ ვახსენეთ, მოედანზე კიდევ უფრო ჩამოცხა.

წუთები გარბიან, მეოთხე მსაჯმა ხალხს პირველი ტაიმისთვის სამი წუთის წამატების თაობაზე ამცნო. თითქოს სამეორეტაიმოდ ფიქრის დროა, ამ დროს კი...

კვინსი ოვუსუ-აბეიეს აკურატული პასი და განელთა კერპი მიკაელ ესიენი თავურით ათანაბრებს. ტრიბუნაზე ხალხის ღრიალი აი, ახლა უნდა ნახოთ. ისე კი, განას, თამაშიდან გამომდინარე, ეს გოლი ალალად ერგებოდა.

მეორე ტაიმში კი განას კაპიტანი ჯონ მენსა გაუგდეს. ძირითადი დროის გასრულებამდე მთელი ნახევარი საათია. ეს დროც ილევა, მაგრამ თამაშია ისეთი, ვერ იტყვი, რომელიმე გუნდს პენალტების სერიამდე მიჰყავს საქმეო.

რვა წუთით ადრე კი ყველაფერი დამთავრდა: სულეი ალი მუნტარის დაბალი პასი და... ეგებ ვინმემ იცოდეს, როგორ დარჩა ნოტინგემელი ჯუნიორ აგოგო კარის სიახლოვეს აბსოლუტურად უმეთვალყურეოდ?!

ეს კი ვიცით: ნახევარფინალში განა კამერუნს ან ტუნისს შეხვდება.

**ქოტე ქექელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერგიმ ფაბი გაამართლა

**მოგეხსენებათ,** ინგლისის ნაკრების თავკაცმა, ფაბიო კაპელომ შვეიცარიასთან ამხანაგური თამაშისთვის ეროვნული გუნდის ყოფილი კაპიტანი დევიდ ბექემი არ გამოიძახა. იტალიელის ასეთმა გადაწყვეტილებამ ქვეყანაში ფრიადი რეზონანსი გამოიწვია, თუმცა კაპელოს გავლენიანი მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ: პრემიერლიგის ჩემპიონის, „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა კოლეგა გაამართლა. მან ბრძანა, რომ მისი ძველი შეგირდი ბექემი დღეს ნამდვილად არ არის ისეთ ფორმაში, კაპელოს დებიუტისთვის რომ სჭირდება და დასძინა, კარგად მესმის, დევიდს მეასე სანაკრებო თამაშის ჩატარება გულით რომ სურდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი გამოძახება ამ ეტაპზე არ ივარგებდაო.

ფერგი: „ნაკრების თავკაცის გადაწყვეტილება ნამდვილად არ გამკვირვებია. ფაბიო ამბობს, რომ მან ბექემი ცუდი ფორმის გამო არ აიყვანა და ამაში ცამდე მართალია. ერთი წამით საკითხს კაპელოს პოზიციიდან შევხედოთ. მან შვეიცარიასთან აუცილებლად უნდა მოიგოს, რადგან ინგლისში დიდი რეკომენდაციითა და მქუხარე სახელით ჩამოვიდა, შვეიცარიასთან კი დებიუტი აქვს. ერთი სიტყვით, ეს შეხვედრა მისთვის მნიშვნელოვანია და აქედან გამომდინარე განაცხადა, რომ მხოლოდ კარგ ფორმაში მყოფ ფეხბურთელებს გამოიძახებს, ბექემი კი კარგ ფორმაში არ არის".

საქვეყნოდ გახლავთ ცნობილი, რომ „ლოს ანჯელეს გალაქსის" 32 წლის ნახევარმცველი დევიდ ბექემი ნოემბრის შემდეგ მოედანზე არ გასულა — ამერიკაში სეზონი დამთავრებულია.

სხვათა შორის, ინგლისისა და შვეიცარიის ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრა „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული გუნდის ავიაკატასტროფაში დაღუპვის 50 წლისთავს ემთხვევა. იმ ავბედით დღეს მიუნხენში დატრიალებულმა უბედურებამ 23 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მათ შორის 8 — ლეგენდარული მწვრთნელის, მატ ბასბის რჩეული ვარსკვლავი გახლდათ. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით, ინგლისისა და შვეიცარიის გუნდების თამაშის წინ „უემბლი" წუთიერი დუმილით მიაგებს დაღუპულთა ხსოვნას პატივს.

და კიდევ ერთი ამბავი ინგლისის ნაკრების ბანაკიდან, უფრო სწორად კი, ფაბიო კაპელოს მტკიცე ხასიათის კიდევ ერთი დასტური: „ჩელსისა" და ეროვნული გუნდის კაპიტანს, ჯონ ტერის იტალიელმა კატეგორიულად აუკრძალა თამაშის დღეს „უმბროს" ფორმით გუნდთან ერთად ყოფნა. როგორც ცნობილია, კაპელო, ჩვეულებრივ, მხოლოდ იმ მოთამაშეებთან იჭერს ურთიერთობას, რომლებიც სათამაშოდ მზად არიან, ტერის კი ფეხი აქვს მოტეხილი. ამის მიუხედავად, წინა მწვრთნელის სტივ მაკლარენის მიერ არჩეულ კაპიტანს იმედი ჰქონდა, რომ ახალ თავკაცთან პირველ კონტაქტს შვეიცარიასთან თამაშის დროსვე დაამყარებდა...

**პაპუნა ქედია**

# კანუტე საუკეთესო აფრიკელია

**აფრიკის** ფეხბურთის კონფედერაციამ კონტინენტის 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელად მალის ნაკრებისა და ესპანური „სევილიას" ფორვარდი ფრედერიკ კანუტე დაასახელა.

ჯერ კიდევ 15 დეკემბერს, კონფედერაციამ გამოკითხვის სამი ლაურეატის ვინაობა გაამხილა, ხოლო გამარჯვებულის დასახელება თებერვლის დასაწყისში გადაწყვიტა და ამისთვის ტოგოს დედაქალაქი ლომე შეარჩია. ხსენებული სამეული კანუტემ, განელმა მიკაელ ესიენმა და კოტდივუარელმა დიდიე დროგბამ შეადგინეს, შაბათს კი ლომეში მთავარი გაირკვა: „სევილიას" შემადგენლობაში 2007 წელს ესპანეთისა და უეფას თასის მომგებმა, ხოლო მალის ნაკრების აფრიკის ეროვნებათა თასზე გამყვანმა ფრედი კანუტემ აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მიიღო. საინტერესოა ისიც, რომ 30 წლის კანუტე პირველი მალელია, რომელსაც აფრიკის კონფედერაციამ ასეთი პატივი დასდო.

თუმცა, ვიდრე 1994 წელს შავი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენას კონტინენტური ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია გადაიბარებდა, ამ საქმეს „ფრანს ფუტბოლი" უძღვებოდა და პოპულარული ფრანგული ყოველკვირეულის პირველივე, 1970 წელს ჩატარებული გამოკითხვის გამარჯვებულად კანუტეს ლეგენდარული თანამემამულე, ფრანგული „სენტ ეტიენის" ლიდერი სალიფ კეიტა დასახელდა. ისიც აღვნიშნოთ, რომ დღედით ფრანგი კანუტე აღნიშნული გამოკითხვის ევროპაში დაბადებული პირველი გამარჯვებულია.

მეორე ადგილზე კოტდივუარელი „სპილოების" კაპიტანი დიდიე დროგბა გავიდა, ხოლო მესამეზე — განის ნაკრების ლიდერი მიკაელ ესიენი.

წლის საუკეთესო ახალგაზრდა აფრიკელ ფეხბურთელად ზამბიელი კლიფორდ მულენგა დაასახელეს.

**სლავა გასპაროვი**



### აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელები

| წელი | ფეხბურთელი | კლუბი | ქვეყანა |
|---|---|---|---|
| 1994 | ემანუელ ამუნიკე | სპორტინგი/ზამალექი | ნიგერია |
| 1995 | ჟორჟ ვეა | მილანი/პსჟ | ლიბერია |
| 1996 | ნვანკვო კანუ | აიაქსი/ინტერი | ნიგერია |
| 1997 | ვიქტორ იკპება | მონაკო | ნიგერია |
| 1998 | მუსტაფა ჰაჯი | დეპორტივო | მაროკო |
| 1999 | ნვანკვო კანუ | არსენალი | ნიგერია |
| 2000 | პატრიკ მბომა | პარმა | კამერუნი |
| 2001 | ელ-ჰაჯი დიუფი | ლანსი | სენეგალი |
| 2002 | ელ-ჰაჯი დიუფი | ლანსი/ლივერპული | სენეგალი |
| 2003 | სამუელ ეტოო | მალიორკა | კამერუნი |
| 2004 | სამუელ ეტოო | მალიორკა/ბარსელონა | კამერუნი |
| 2005 | სამუელ ეტოო | ბარსელონა | კამერუნი |
| 2006 | დიდიე დროგბა | ჩელსი | კოტ დივუარი |
| 2007 | ფრედერიკ კანუტე | სევილია | მალი |

## ბაიერნი გამოიკითხეს

**სააგენტო** LGF-მ ბუნდესლიგის გუნდების კაპიტნებში გამოკითხვა ჩაატარა. ვინ გახდება ჩემპიონი? ასეთი იყო კითხვა, რომელსაც 18-მა კაპიტანმა გასცა პასუხი და 15-მა ჩემპიონობა „ბაიერნს" უწინასწარმეტყველა. მათ შორის, ცხადია, ოლივერ კანიც გახლდათ, რომელმაც განაცხადა: „მთავარ კონკურენტად „ვერდერი" მიმაჩნია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატს დამაჯერებლად მოვიგებთ." ორმა კაპიტანმა ხმა „ვერდერს" მისცა, ერთმა კი „ჰამბურგს".

## ფეხი არ მოიცვალო!

**პორტუგალიის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟილბერტუ მადაილმა კრიშტიანუ რონალდუს „მანჩესტერში" დარჩენა ურჩია. „ლოგიკურია, რომ რონალდუს გადაბირება ბევრ სახელოვან კლუბს სურს, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი ბედნიერია იქ, სადაც ამჟამად თამაშობს. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო. გარდა ამისა, ამაგი არ უნდა დაუკარგოს „მანჩესტერს" და ალექს ფერგიუსონს, რომელმაც გზაზე დააყენა. თუკი ოდესმე მაინც გადაწყვეტს ინგლისიდან აბარგებას, კარგი იქნება, თუ კარიერას რომელიმე პორტუგალიურ კლუბში გააგრძელებს".

**გაგა ხუციშვილი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა XXV ტური

**ბლექბერნი 0:0 ევერტონი**

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ემერტონი, ოიერი, ხიზანიშვილი, უორნოკი, რიდი, დერბიშირი (თუგაი 73), ბენტლი, დანი (მაკკარტი 56), პედერსენი, სანტა კრუზი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, იაგიელკა, ლესკოტი, ბაინსი, არტეტა, კარსლი, ფერნანდეში, ოსმანი (ვუგანი 75), კეჰილი, ჯონსონი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: დანი, ხიზანიშვილი, ემერტონი, პედერსენი, ჰოვარდი, არტეტა
მსაჯი: ვაილი
27 946 მაყურებელი

**სიტი 1:3 არსენალი**

0:1 ადებაიორი (9), 0:2 ედუარდო (26), 1:2 ჟელსონი (28), 1:3 ადებაიორი (88)
**სიტი:** ჰარტი, ჩორლუკა, დანი, რიჩარდსი, ბოლი, აირლენდი (მპენზა 83), ჰამანი (ჯოვანი 75), ჟელსონი, პეტროვი, ელანო, სტარიჯი (ვასელი 55)
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
**არსენალი:** ლემანი, სანია, გალასი, სენდერსი, კლიჩი, დიაბი, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები (ჰოიტი 89), ადებაიორი, ედუარდო
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: პეტროვი, ელანო
მსაჯი: მარინერი
46 426 მაყურებელი

**ტოტენჰემი 1:1 მანჩესტერი**

1:0 ბერბატოვი (21), 1:1 ტევესი (90)
**ტოტენჰემი:** ჩერნი, ჩიმბონდა, დოუსონი, ვუდგეიტი, ჰატონი, ლენონი (ბოატენგი 79), ჯენასი, ჰადლსტოუნი, მალბრანკი, ბერბატოვი, კინი (ოჰარა 90)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, ჰარგრივსი (კარიკი 46), სქოულზი (ანდერსონი 60), გიგზი (ნანი 60), რუნი, ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ვუდგეიტი, ჰადლსტოუნი, ჩერნი, ვან დერ სარი, რონალდუ, ბრაუნი, ნანი, ვიდიჩი, რუნი, ტევესი
მსაჯი: კლატენბურგი
36 075 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:1 ჩელსი**

0:1 ანელკა (55), 1:1 დეფო (64)
**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, პამარო, ჰრეიდარსონი, დევისი (მვუემბა 68), დიარა, ჰიუზი, კრანჩარი, ბაროში, დეფო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
**ჩელსი:** ჩეხი, ბელეტი, ბენ ჰაიმი, ალექსი, ე. კოული, რაიტ-ფილიპსი, მაკელელე, ბალაკი, მალუდა (კ. პიზარო 74), ჯ. კოული, ანელკა
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
გაფრთხილება: დევისი, პამარო
მსაჯი: ვები
20 488 მაყურებელი

**ლივერპული 3:0 სანდერლენდი**

1:0 კრაუჩი (57), 2:0 ტორესი (69), 3:0 ჯერარდი (89პ)
**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ჰიიპია, შკრტელი, აურელიო (ფინანი 46), პენანტი, ჯერარდი, მასკერანო, ლეივა (ბენაიუნი 61), ფ. ტორესი, კრაუჩი (კუიტი 83)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
**სანდერლენდი:** გორდონი, ბერდსლი, ნოსვორთი, ევანსი, კოლინზი, ჩოპრა (უოგორნი 83), უიტიჰიდი, მილერი, რიჩარდსონი (პრიკა 7; ოდონოვანი 55), მერფი, ჯონსი
მწვრთნელი: როი კინი
გაფრთხილება: ფინანი, მილერი, გორდონი
მსაჯი: სტაილზი
43 244 მაყურებელი

**ფულემი 2:1 ასტონ ვილა**

0:1 ჰიუზი (69ს.კ.), 1:1 ს. დევისი (73), 2:1 ბალარდი (86)
**ფულემი:** ნიემი, ანდრეასენი, ბაირდი, ჰანგელანდი, ჰიუზი, კონჩესკი, ბალარდი, ს. დევისი, დემპსი (კამარა 79), მერფი, ნევლანდი (მაკბრაიდი 70)
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
**ასტონ ვილა:** კარსონი, კ. დევისი (ოსბორნი 90), მელბერგი, ლაურსენი, ბუმა (გარდნერი 87), ბერი, მელოუნი, პეტროვი, რეო-კოკერი, აგბონლაჰორი (ჰარვუდი 46), კარიუ
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ბუმა, კ. დევისი, ს. დევისი
მსაჯი: ფოი
38 935 მაყურებელი

**უიგანი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 კილბეინი (45)
**უიგანი:** კირკლანდი, მელხიოტი, ბოისი, შარნერი, კილბეინი, ვალენსია, პალასიოსი, ბრაუნი, ტეილორი (კუმასი 84), ჰესკი (მ. ბენტი 57), კინგი (სიბიერსკი 90)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
**ვესტ ჰემი:** გრინი, ნილი, ფერდინანდი, აპსონი, მაკკარტნი, ლიუნგბერგი, ნობლი (ბოიერი 73), მალინსი, ეზერინგტონი (სოლანო 48), კ. კოული (ბელამი 68), ეშტონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ტეილორი, აპსონი, ბოიერი, ნილი
მსაჯი: ატკინსონი
20 525 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:1 მიდლსბრო**

1:0 ოუენი (60), 1:1 ჰუთი (87)
**ნიუკასლი:** გივენი, კარი, კასაპა, ტეილორი, ბარტონი, ბათი, ემრე (მილნერი 65), დაფი, ნზოგბია, ოუენი, სმიტი (ვიდუკა 66)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
**მიდლსბრო:** შვარცერი, პოგატეცი, უიტერი, ჰუთი, იანგი, არკა, კეტერმოლი (ლი 71), დაუნინგი, ონილი, როჩემბაკი (ე. ჯონსონი 80), ალიადირი
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: უიტერი, ალიადირი, როჩემბაკი, ონილი, სმიტი
მსაჯი: დინი
51 105 მაყურებელი

**ბირმინგემი 1:1 დერბი**

1:0 ლარსონი (68), 1:1 ვილა (89)
**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, კელი, მარტინ ტეილორი, რიდგუელი, მერფი, ლარსონი (ზარატე 76), ჯონსონი, მუამბა, კაპო, ოკონორი, მაკფადენი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
**დერბი:** კეროლი, ლიკოკი, მური (ტოდი 67), სტაბსი, ედვორთი, ფაგანი, ჯალი, სევიჯი, რობერი (ბერნესი 60), ერნშოუ (ვილა 61), მილერი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: ლარსონი, რობერი, ედვორთი, ლიკოკი, მილერი, სევიჯი
მსაჯი: უოლტონი
25 924 მაყურებელი

**რედინგი 0:2 ბოლტონი**

0:1 ნოლანი (33), 0:2 ჰელგუსონი (58)
**რედინგი:** ჰანემანი, მარტი, ინგიმარსონი, სისე, შორი, დოილი, ჰარპერი (სონკო 73), მატეიოვსკი, ჰანტი, ლიტა (ლონგი 76), კიტსონი (ოსტერი 67)
მწვრთნელი: სტივ კოპელი
**ბოლტონი:** იასკელაინენი, სტეინსონი, ო'ბრაიენი, კეჰილი, გარდნერი, გუთრიე (კოჰენი 75), ნოლანი, კამპო, ტეილორი (სემუელი 67), ჰელგუსონი (დიუფი 67), კ. დევისი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ლიტა, კიტსონი, ინგიმარსონი, დევისი
მსაჯი: დოუდი
21 893 მაყურებელი

# ალექს ფერგიუსონს შვიდჯერ ესროლეს



ასე წააქციეს საპენალტედ ლივერპულელი ჯერმენ პენანტი

**უხეშობით** გაჯერებულ მატჩში „ტოტენჰემმა“ „მანჩესტერი“ დაამუხრუჭა და ცხრილის თავში „არსენალი“ გამოიჭიმა.

„პირველ ტაიმში ჯენასი რონალდუს წაქცევისთვის გასაძევებელი იყო — თქვა მსაჯზე გაბრაზებულმა ალექს ფერგიუსონმა — მარკ კლატენბურგს ნამეტანი მოუვიდა, შვიდი ყვითელი ბარათი აჩვენა ჩემს ფეხბურთელებს, არადა, მეტოქე არანაკლებ უხეშობდა. უეინ რუნი „ყვინთვისთვის“ გააფრთხილა, ჰადლსტოუნი კი მსგავსი საქციელისთვის არ დასაჯა. ეს ხომ უსამართლობაა“.

კლატენბურგმა და გვერდითმა მსაჯმა ისიც ვერ შეამჩნიეს, „მანჩესტერის“ საჯარიმოში წაქცეულმა ჯენასმა ლენონს პასი ხელით რომ მიაწოდა, რასაც ბერბატოვის გოლი მოჰყვა.

სტუმრებს პირველ ტაიმში ჩვეულად აგრესიული, მახრჩობელა თამაში არ გამოუვიდათ, მაგრამ შესვენების მერე ნელ-ნელა მოუმატეს. ბოლო 20 წუთის განმავლობაში მეტოქე ისე მიჭეჭყეს კართან, რომ ტოტენჰემელებს ბურთის მოგერიების მეტი არაფერი უკეთებიათ. ნანისა და ანდერსონის შესვლამ „მანჩესტერის“ შეტევებს სილაღე შემატა და ფერგიუსონის შეგირდებს ოფლისღვრა დაუფასდათ. ნანის ჩაწოდებულ კუთხურს ახლო ძელთან ჩასაფრებული ტევესის დარტყმა მოჰყვა, ბურთი დოუსონს მოხვდა და კარში შევარდა. გახარებულმა ტევესმა კი მაისურას გახდა არ დაიზარა, რის გამოც ყვითელი ბარათი „აიკრა“.

ლონდონში „მანჩესტერის“ მატჩამდე ლონდონის „არსენალმა“ მანჩესტერში „სიტის“ იოლად მოუგო. მიჯრით სამი ტურია, „მეთოფეებს“ მატჩში სამზე ნაკლები არ გააქვთ. ემნუელ ადებაიორს ვაზნები არ ელევა და ამ სეზონში 21-ე გოლი მიითვალა, მათ შორის პრემიერლიგაში — 16. სიტელებთან გამარჯვებაც ადებაიორმა მიიწერა, რაკი დუბლი შეასრულა და ერთიც საგოლე პასი გაიფორმა.

ტოგოელის ორ გოლს შუა ედუარდომ მაკრატელათი საუცხოო შეაგდო: კარისკენ ზურგით მდგომმა ამოსცხო ბურთს და მეკარე გაოგნებული დატოვა. მასპინძელთა გოლი კი კლიჩის შეცდომას მოჰყვა, რომელსაც ჩორლუკამ ბურთი მოჰპარა, ჟელსონს უპასა და მანაც ახლოდან გაიტანა.

„ჩელსიმ“ ზედიზედ მეათე მატჩის მოგება, ავრაამ გრანტმა კი ჟოზე მაურინიუს რეკორდის გაუმჯობესება ვერ შეძლო. ნიკოლა ანელკამ მეორე ტაიმში დააწინაურა სტუმრები, მაგრამ „ტოტენჰემიდან“ „პორტსმუთში“ სამი დღის წინ გადასულმა დეფომ სადებიუტო მატჩშივე გაიტანა და მასპინძლებს ქულა გადაურჩინა.

ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა „ლივერპულმა“, რომელსაც დაცვაში კარგად მოთამაშე „სანდერლენდთან“ პირველ ტაიმში კი გაუჭირდა, მაგრამ შესვენების მერე პიტერ კრაუჩმა თავურით გახსნა ანგარიში და ფერნანდო ტორესმა მალე მეორე მიაყოლა. მატჩის ბოლოს ჯერმენ პენანტის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი სტივენ ჯერარდმა გამოიყენა.

მიყოლებით მეექვსე წაგო „რედინგმა“ და ასე თუ გაგრძელა, მომავალ სეზონს ჩემპიონლიგაში დაიწყებს. ბოლტონელმა ტეილორმა 24-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ მისი შეცდომა მოგვიანებით ნოლანმა გამოასწორა და სტუმრები დააწინაურა. მეორე ტაიმის დასაწყისში ჰელგუსონმა სხვობა ორამდე გაზარდა, უსუსურ მასპინძლებს კი ერთი ხეირიანი მომენტიც არ შეუქმნიათ. აღსანიშნავია, რომ „ბოლტონს“ უკვე სამი ტურია, გოლი არ გაუშვია.

წინა ტურში „ლივერპულის“ მძლეველი „ვესტ ჰემი“ უიგანში დამარცხდა, ხოლო სტუმართა მწვრთნელმა ალან კერბიშლიმ წაგება უხარისხო მოედანს დააბრალა. „ეს საშინელებაა — თქვა მან — ბურთს ვერ გააგორებ, პასს ვერ მისცემ და ვერ მიიღებ. აქ სათამაშოდ გუნდებს საგანგებო მომზადება სჭირდებათ“. მასპინძელმა კევინ კილბეინმა პირველი ტაიმის მიწურულს რაიან ტეილორის შესრულებული საჯარიმოთი გაიტანა და „უიგანი“ ქვედა სამეულიდან ამოძვრა.

უკვე ხუთი ტურია, ალექს მაკლიშის „ბირმინგემი“ ვერ იგებს — ამჯერად „დერბის“ ვერ სძლია და გასავარდნთა ზონაში აღმოჩნდა. სებასტიან ლარსონმა მასპინძლები დააწინაურა, მაგრამ სტუმართა დებიუტანტმა ემანუელ ვილიამ თამაშის დასრულებამდე წუთით ადრე გაათანაბრა. დერბელებს ცოტა უკეთესობა დაეტყოთ, რაკი მიჯრით მეორე მატჩში ფრე გაახერხეს, თუმც პრემიერლიგიდან ჩაქვეითებას ალბათ მაინც ვერ ასცდებიან.

ევერტონელმა ენდრიუ ჯონსონმა 85-ე წუთზე გაუტანა „ბლექბერნს“, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალა, არადა, გამეორებისას გამოჩნდა, რომ გოლი ალალი იყო.

გუშინ „კაჭკაჭები“ კევინ კიგანის ხელში პირველ გამარჯვებასთან ახლოს იყო, მაგრამ „ბოროს“ გერმანელმა მცველმა რობერტ ჰუთმა მაიკლ ოუენის გოლი ბოლო 87-ე წუთზე გაქვითა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### კონფერენსლიგა. XXX ტური

ალტრინჩემი — უოქინგი 2:2; ექსეტერი — სტივენეიჯი 4:0; კიდერმინსტერი — ნორსვიჩი 0:0; სალისბერი — ფორესტ გრინი 0:0. ექსეტერი — ფერსლი, გრეისი — სტაფორდი, კიდერმინსტერი — ებსფლიტი, სტივენეიჯი — იორკი და ვეიმუთი — დროილსდენი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 25 | 18 | 6 | 1 | 52:18 | 60 |
| მანჩესტერი | 25 | 18 | 4 | 3 | 49:12 | 58 |
| ჩელსი | 25 | 16 | 6 | 3 | 38:17 | 54 |
| ევერტონი | 25 | 13 | 5 | 7 | 40:23 | 44 |
| ლივერპული | 24 | 11 | 10 | 3 | 40:17 | 43 |
| ასტონ ვილა | 25 | 11 | 8 | 6 | 44:33 | 41 |
| სიტი | 25 | 11 | 8 | 6 | 32:28 | 41 |
| ბლექბერნი | 25 | 10 | 9 | 6 | 32:31 | 39 |
| პორტსმუთი | 25 | 10 | 8 | 7 | 35:26 | 38 |
| ვესტ ჰემი | 24 | 10 | 6 | 8 | 29:22 | 36 |
| ტოტენჰემი | 25 | 7 | 8 | 10 | 45:41 | 29 |
| ნიუკასლი | 25 | 7 | 7 | 11 | 28:43 | 28 |
| მიდლსბრო | 25 | 6 | 8 | 11 | 22:38 | 26 |
| ბოლტონი | 25 | 6 | 7 | 12 | 26:34 | 25 |
| უიგანი | 25 | 6 | 5 | 14 | 24:40 | 23 |
| სანდერლენდი | 25 | 6 | 5 | 14 | 24:45 | 23 |
| რედინგი | 25 | 6 | 4 | 15 | 30:52 | 22 |
| ბირმინგემი | 25 | 5 | 6 | 14 | 24:37 | 21 |
| ფულემი | 25 | 3 | 10 | 12 | 25:43 | 19 |
| დერბი | 25 | 1 | 6 | 18 | 13:52 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდუ (მანჩესტერი) | 19 |
| ადებაიორი (არსენალი) | 18 |
| მვარუვარი (პორტსმუთი) | 12 |
| ტორესი (ლივერპული) | 12 |
| კინი (ტოტენჰემი) | 11 |
| სანტა კრუზი (ბლექბერნი) | 11 |
| ტევესი (მანჩესტერი) | 11 |
| ანელკა (ბოლტონი/ჩელსი) | 10 |

### XXVI ტური

9 თებერვალი

არსენალი : ბლექბერნი
ასტონ ვილა : ნიუკასლი
ბოლტონი : პორტსმუთი
ჩელსი : ლივერპული
დერბი : ტოტენჰემი
ევერტონი : რედინგი
მანჩესტერი : სიტი
მიდლსბრო : ფულემი
სანდერლენდი : უიგანი
ვესტ ჰემი : ბირმინგემი

### ჩემპიონატი. XXX ტური

სტოკი — კარდიფი 2:1; ბლექპული — ლესტერი 2:1; კოლჩესტერი — შეფილდი 2:2; ქოვენთრი — ბარნსლი 4:0; კრ. პალასი — საუთჰემპტონი 1:1; ნორვიჩი — პრესტონი 1:1; პლიმუთი — ჰალი 0:1; ქუინზ პარკი — ბრისტოლი 3:0; სკანთორპი — ჩარლტონი 1:0; უენსდი — იფსვიჩი 1:2; ვესტ ბრომვიჩი — ბარნსლი 2:1; უოტფორდი — ვულვზი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 30 | 16 | 6 | 8 | 65:38 | 54 |
| უოტფორდი | 30 | 15 | 7 | 8 | 49:37 | 52 |
| ბრისტოლი | 30 | 14 | 9 | 7 | 36:37 | 51 |
| სტოკი | 30 | 13 | 11 | 6 | 48:37 | 50 |
| ჩარლტონი | 30 | 13 | 8 | 9 | 42:34 | 47 |
| იფსვიჩი | 30 | 12 | 9 | 9 | 47:38 | 45 |
| კრ. პალასი | 30 | 11 | 12 | 7 | 37:29 | 45 |
| ჰალი | 29 | 12 | 8 | 9 | 35:32 | 44 |
| კარდიფი | 30 | 11 | 10 | 9 | 41:38 | 43 |
| ბარნლი | 30 | 11 | 10 | 9 | 39:38 | 43 |
| ვულვზი | 30 | 11 | 10 | 9 | 28:30 | 43 |
| პლიმუთი | 30 | 10 | 10 | 10 | 36:32 | 40 |
| ნორვიჩი | 30 | 10 | 8 | 12 | 29:35 | 38 |
| საუთჰემპტონი | 30 | 10 | 8 | 12 | 38:47 | 38 |
| ბლექპული | 30 | 9 | 10 | 11 | 38:38 | 37 |
| შეფილდი | 30 | 9 | 10 | 11 | 34:36 | 37 |
| ბარნსლი | 30 | 9 | 10 | 11 | 35:45 | 37 |
| ქუინზ პარკი | 30 | 9 | 9 | 12 | 37:43 | 36 |
| ქოვენთრი | 29 | 10 | 5 | 14 | 34:45 | 35 |
| ლესტერი | 30 | 7 | 13 | 10 | 29:29 | 34 |
| უენსდი | 29 | 9 | 4 | 16 | 32:38 | 31 |
| პრესტონი | 30 | 8 | 6 | 16 | 29:38 | 30 |
| სკანთორპი | 30 | 7 | 9 | 14 | 29:45 | 30 |
| კოლჩესტერი | 29 | 5 | 12 | 12 | 41:49 | 27 |

### I ლიგა. XXX ტური

სუონსი — ოლდემი 2:1; ბორნმუთი — ნოტინგემი 2:0; ბრაიტონი — ქრიუ 3:0; როვერსი — პორტ ვეილი 3:2; კარლაილი — უოლსოლი 2:1; ჯილინგემი — ჩელტენემი 0:0; ჰარტლპული — ლუთონი 4:0; ლიდსი — ტრანმერი 0:2; ლეიტონი — საუთენდი 2:2; მილუოლი — დონკასტერი 0:3; სუინდონი — ნორთჰემპტონი 1:1; იოვილი — ჰადერსფილდი 0:2

### II ლიგა. XXX ტური

რექსემი — დარლინგტონი 2:0; აკრინგტონი — უიკომბი 0:0; ბარნეტი — მორეკემბი 0:1; ბერი — დონსი 1:5; ჩესტერფილდი — ჩესტერი 1:1; დაგენემი — სტოკპორტი 0:1; მაკლსფილდი — ბრედფორდი 0:1; მენსფილდი — ბრენტფორდი 2:3; ნოტსი — გრიმსბი 1:1; როჩდეილი — პიტერბორო 0:2; როტერჰემი — ჰერეფორდი 0:1; შრიუსბერი — ლინკოლნი 1:2

## გერმანია
### ბუნდესლიგა XVIII ტური

**შალკე 4:1 შტუტგარტი**
1:0, 2:0 კურანი (32, 52), 2:1 და სილვა (61), 3:1 ვესტერმანი (76), 4:1 ზე რობერტუ (90)
**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, ფ. ერნსტი, რაკიტიჩი (ზე რობერტუ 90), **ქობიაშვილი**, ასამოა (სანჩესი 86), კურანი (ლარსენი 77)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
**შტუტგარტი:** რ. შეფერი, ბეკი, ფ. მეირა, დელპიერი, ტრეში (მანინი 59), ხედირა, ჰილბერტი (და სილვა 46), ჰიცლშპერგერი, ბაშთურქი, მარიკა, გომესი
მწვრთნელი: არმინ ფეჰ
გაფრთხილება: კურანი, ჰილბერტი, ბეკი
მსაჯი: ბრიხი
61 482 მაყურებელი

**კარლსრუე 2:0 ნიურნბერგი**
1:0 აიხნერი (66), 2:0 კენედი (74)
**კარლსრუე:** მ. მილერი, ა. გიორლიცი, ფრანცი, ეგიმენი, აიხნერი, მუტცელი, ადუბე, ტიმი, ჰაინალი (შტაფელდტი 90), **იაშვილი** (ფრაისი 88), კენედი (კაპლანი 84)
მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი
**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი (ნ. ადლერი 75), პინოლა, გალაშეკი, კლუგე (რ. შმიდტი 25), ხარისტიასი, მინტალი (ბუჩამპი 61), ენგელჰარდტი, კოლერი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ჰაინალი, კოლერი, ვოლფი, ადუბე, რაინჰარდტი, შტაფელდტი, ვოლფი, გალაშეკი
გაძევება: ვოლფი (57)
მსაჯი: კინჰოფერი
29 000 მაყურებელი

**ჰანზა 1:2 ბაიერნი**
0:1 რიბერი (10), 0:2 ტონი (42), 1:2 კერნი (52)
**ჰანზა:** ვეხტერი, დ. ლანგენი, ორესტესი, გლედსონი, მ. შტაინი, რატგები, ბარტელსი, კერნი, იელენი (დორნი 83), რანი (ცეტკოვიჩი 83), აგალი (მენგე 88)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო, სოსა, რიბერი (ჰამიტ ალტინტოპი 46), კლოზე (ოტლი 77), ტონი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: აგალი, ვან ბომელი, შტაინი, სანიოლი, რანი
მსაჯი: მეიერი
29 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:2 ბოხუმი**
1:0 იენსენი (44), 1:1 აუერი (68), 1:2 იაია (84)
**ვერდერი:** ვიზე, პასანენი, მერტესაკერი, ნალდო, ტოშიჩი, ბაუმანი, დ. იენსენი, ბოროვსკი, დიეგო, როზენბერგი, ჰუნტი
მწვრთნელი: თომას შააფი
**ბოხუმი:** ლაშტუვკა, პფერცელი, მალტრიცი, იაია, პ. ბიონიგი (დრშეკი 88), იმჰოფი, ცდებელი (ო. შრიოდერი 75), დაბროვსკი, აზაუაგი (ონო 67), შესტაკი, აუერი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: იენსენი, ცდებელი, ბოროვსკი, დაბროვსკი, იმჰოფი
გაძევება: ნალდო (70)
მსაჯი: ვაინერი
37 149 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:1 ჰანოვერი**
0:1 ჰუშტი (41პ), 1:1 ოლიჩი (71)
**ჰამბურგი:** ფ. როსტი, დემელი, კომპანი, ბ[illegible]რიისენი, ჟ. ბოატენგი (ბენჯამინი 77), იაროლიმი (ბ. რაინჰარდტი 46), დე იონგი, ჩუპო-მოტინგი (გერერო 59), ტროხოვსკი, ვან დერ ვაარტი, ოლიჩი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
**ჰანოვერი:** ენკე, ჩერუნდოლო, ფარენჰორსტი, ვინისიუსი, კ. შულცი, ლალა, ბალიტჩი (როზენტალი 69), შტაინერი (ს. პინტო 75), ბრუგინკი, ჰუშტი (ლაუტი 87), ჰანკე
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: ვან დერ ვაარტი
გაძევება: პინტო (90)
მსაჯი: პერლი
57 000 მაყურებელი

**კოტბუსი 2:3 ლევერკუზენი**
1:0 პაპადოპულოსი (15), 1:1 როლფსი (59), 1:2 ბულიკინი (69), 2:2 ბასილა (77), 2:3 როლფსი (86პ)
**კოტბუსი:** ტრემელი, იჰსა, ი. მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ს. ანგელოვი, ბასილა, ვასილიევიჩი (რივიჩი 63), ტ. როსტი (ალონეფტისი 89), შკელა, პაპადოპულოსი (ბ. იელიჩი 70), დ. სორენსენი
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
**ლევერკუზენი:** რ. ადლერი, კასტრო, მ. ფრიდრიხი, კალსენ-ბრაკერი, გრეშკო, ბარნეტა (ვიდალი 90), როლფსი, ბ. შნაიდერი (შვეგლერი 81), ბარბარეზი, კისლინგი, გეკასი (ბულიკინი 46)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ვასილიევიჩი, კასტრო, ბარნეტა
მსაჯი: ვაგნერი
13 000 მაყურებელი

**დუისბურგი 3:3 დორტმუნდი**
1:0 ფილიპესკუ (18), 2:0 ვილი (30), 2:1 კელი (51), 3:1 ტარარახე (59), 3:2, 3:3 კლიმოვიჩი (68, 90)
**დუისბურგი:** ბიუკერტი, ლამეი, ფილიპესკუ, შლიკე, ვილი (ვებერი 59), ტარარახე, გრლიჩი, გეორგიევი, ტიფერტი (ვრუცინა 87), ლავრიჩი, ნიკულესკუ (მიოლდერსი 76)
მწვრთნელი: ედუარდ ბომერი
**დორტმუნდი:** მ. ციგლერი, რუკავინა, ამედიკა, ვიორნსი, დედე (ბაკლი 62), კელი, კრინგე (კლიმოვიჩი 65), ტინგა, ფედერიკო, ნ. ვალდესი (ფრაი 65), პეტრიჩი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ვილი, კელი, ნიკულესკუ
მსაჯი: კემპტერი
29 120 მაყურებელი

**ჰერტა 0:3 აინტრახტი**
0:1, 0:2, 0:3 ფენინი (39, 60, 90)
**ჰერტა:** დრობნი, ჩაჰედი (პიშჩეკი 72), შიმუნიჩი, ფატი, ბილერი, დარდაი, კაჩარი (არგუესი 63), ებერტი, ედუ (ს. ოკორონკვო 68), რაფაელი, პანტელიჩი
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
**აინტრახტი:** ნიკოლოვი, პ. ოხსი, გალინდო, კირიაკოსი, შპიხერი, კრისი, მ. ფინკი (რუსი 89), კიოლერი, ფენინი, ვაისენბერგერი (მაჰდავიკია 75), ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
მსაჯი: გაგელმანი
40 000 მაყურებელი

**არმინია 0:1 ვოლფსბურგი**
0:1 გრაფიტე (27)
**არმინია:** ჰაინი, კირხი, მიატოვიჩი (ბოლმანი 60), კუჩერა, შულერი, კაუფი, ტ. მარქსი, კამპერი, ნკოსი, ბიომე (აიგლერი 46), ვიშნიარეკი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
**ვოლფსბურგი:** ბენალიო, რიტერი, შიმუნეკი, მადლუნგი, კარიმოვი, გენტნერი, ჟოსუე (ჰასებე 46), სანტანა, მარსელინიო (დეჯაგა 88), ძეკო, გრაფიტე (ლიუბოია 61)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: კაუფი, ჟოსუე, სანტანა
მსაჯი: დრეესი
18 100 მაყურებელი

# ფენინი თუ ფენომენი?




აინტრახტელმა მარტინ ფენინმა ბუნდესკარიერა ბრწყინვალედ დაიწყო

**ასეთი** დებიუტით ბუნდესლიგაში ბევრი ვერ დაიკვეხნის — 20 წლის ჩეხმა მარტინ ფენინმა, რომელიც „ტეპლიცედან" „აინტრახტში" იანვარში გადავიდა, პირველივე მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა. ამ ბიჭს შარშან ზაფხულს მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატისასაც აქებდნენ და არაერთი ბობოლა კლუბი ეპოტინებოდა. ფენინმა სამშობლოდან შორს წასვლას მეზობელ ბუნდესლიგაში გადასვლა არჩია და „აინტრახტს" ისე მოერგო, თითქოს ამ გუნდისთვის იყო დაბადებული.

ჩეხმა გერმანული ანგარიში „ჰერტასთან" პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა. ბენიამინ კოლერისგან პასი მიიღო და ათი მეტრიდან გაიტანა. შესვენების შემდეგ მანვე იყოჩაღა — იოანის ამანატიდისს გარჯა ორჯერვე დაუფასა და ბერძენის პასები გოლებად აქცია.

პარასკევს კი „ბაიერნმა" მეორე წრე როსტოკში გამარჯვებით დაიწყო, თუმც ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, რომ მისი გუნდი მომდევნო მატჩებში თუ არ მოუმატებს, პირველი ადგილის შენარჩუნება გაუჭირდება. „კარგი იყო, გუნდმა რომ იბრძოლა, მაგრამ თამაშის ხარისხი არ მომეწონა — განაცხადა მწვრთნელმა — პირველ ტაიმში მეტის გატანაც შეგვეძლო, მეორეში კი, როგორც კი გავუშვით, ავირიეთ და თამაში ველარ დავალაგეთ". ზე რობერტოსა და კლოზეს კომბინაციის შედეგად, რიბერიმ ხუთი მეტრიდან შეაგდო, ხოლო ტონიმ ტაიმის მიწურულს საჯარიმოდან ჩაწოდებული ბურთი მოათვინიერა და სხვაობა გაზარდა. ენრიკო კერნმა შესვენების შემდეგ გაქვითა — ძელიდან უკუგდებულს დაამატა.

„ლევერკუზენმა" „კოტბუსს" იანვარში მიხალ პაპადოპულოსი ათხოვა და მეთხუთმეტე წუთზე სწორედ მისგან მიიღო გოლი. კოტბუსელებმა პირველი ტაიმი მოიგეს, მაგრამ მეორის დასაწყისში როლფსმა ორი მეტრიდან გაათანაბრა. ამას მოჰყვა ბულიკინის გოლი და „ლევერკუზენი" დაწინაურდა. მასპინძლებმა მალევე გაქვითეს — მეკარის მოგერიებულს ბასილამ დაამატა. თამაში ფრისკენ მიდიოდა, მაგრამ შვეგლერის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი როლფსმა შეირგო და სტუმრებმა სამი ქულა წაიღეს. „ლევერკუზენმა" ამ გამარჯვებით მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

მესამე საფეხურიდან კი „ჰამბურგი" ჩამოქვეითდა, რადგან „ჰანოვერთან" ფრეს დასჯერდა. მასპინძელთა ლიდერი რაფაელ ვან დერ ვაარტი მცველებმა შესვენებამდე ისე ამოკეტეს, რომ „ჰამბურგმა" სახეირო ვერაფერი შექმნა. ტაიმის ბოლოს ჰანოვერელმა ჰუშტიმ პენალტი შეაგდო და სტუმრები დააწინაურა. მეორე ნახევარში ვან დერ ვაარტი „გაცოცხლდა" და იმდენი მოახერხა, რომ გუნდს ქულა გადაურჩინა. ჰოლანდიელს პასი ფრანკ როსტმა უბოძა, ნახევარმცველმა კარში დაარტყა, ენკემ მოიგერია და მოგერიებულს ოლიჩმა ბადეში მიუჩინა ადგილი.

„დუისბურგი" გამარჯვებასთან ახლოს იყო და სამი ქულა რომ მიეთვალა, ბოლო ადგილს თავს დააღწევდა, მაგრამ დიეგო კლიმოვიჩმა არ დაანება. დუისბურგელთა პირველი გოლი ახალწვეულმა რუმინელებმა შექმნეს — ნიკულესკუს პასით ფილიპესკუმ ათი მეტრიდან გაიტანა. თხუთმეტი წუთის შემდეგ მასპინძლები ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ, მეპასე კვლავ ნიკულესკუ იყო, გოლი კი ტობიას ვილიმ გაიფორმა. მეორე ტაიმის დასაწყისიც გოლუხვი გამოვიდა, დედეს ჩაწოდებული ბურთი სებასტიან კელმა მასპინძელთა კარში მიაბრძანა, მაგრამ ტარარაჩემ მალევე პენალტით იხეირა და 3:1. აი, აქ კი დუისბურგელებმა საქმე დასრულებულად ჩათვალეს და ამ დროს თომას დოლმა დიეგო კლიმოვიჩი შეუშვა. არგენტინელმა მოედანზე ფეხის შედგმიდან სამ წუთში ერთი გაქვითა, ბოლოს კი მეკარის დოყლაპიობით ისარგებლა და „დორტმუნდისთვის" ქულა გამოჭედა.

ბილეფელდში „ვოლფსბურგმა" ცხრილის მეზობელ „არმინიას" მოუგო და მეათე ადგილზე გადაბრძანდა. მასპინძელთა მარცხენა მცველს მარკუს შულერს შეცდომა მარსელინიომ არ აპატია, ბრაზილიელმა ბურთი სანტანას მიაწოდა, მისი პასით კი გრაფიტემ გაიტანა.

„კარლსრუემ" „ნიურნბერგს" მანამდე ვერ მოუხერხა ვერაფერი, სანამ სტუმრები კაცნაკლულნი არ დარჩნენ. ანდრეას ვოლფმა ყვითელი ბარათი შესვენებამდე მიიღო, მეორე ტაიმში კი მეორეც გამოსტყუა მსაჯს და მოედნიდან მიაბრძანეს. ამის მერეღა გაყოჩაღდნენ მასპინძლები და აიხნერის გოლით დაწინაურდნენ, რასაც ყოფილმა ნიურნბერგელმა ჯოშუა კენედიმ მალე მეორე მიამატა.

კვირას კი ორი მატჩი გაიმართა, რომელთაგან ერთერთში სენსაციური შედეგი დაფიქსირდა — საჩემპიონო რბოლაში „ბაიერნის" უმთავრესმა კონკურენტმა „ვერდერმა" შინ „ბოხუმთან" წააგო. აი, „შალკემ" კი მოქმედი ჩემპიონი „შტუტგარტი" სასტიკად გაამწარა — 4:1.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 18 | 11 | 6 | 1 | 33:9 | 39 |
| ვერდერი | 18 | 11 | 3 | 4 | 43:26 | 36 |
| ლევერკუზენი | 18 | 10 | 3 | 5 | 35:18 | 33 |
| ჰამბურგი | 18 | 9 | 6 | 3 | 25:14 | 33 |
| შალკე | 18 | 8 | 8 | 2 | 30:18 | 32 |
| კარლსრუე | 18 | 9 | 4 | 5 | 21:21 | 31 |
| ჰანოვერი | 18 | 8 | 4 | 6 | 28:29 | 28 |
| აინტრახტი | 18 | 6 | 8 | 4 | 22:23 | 26 |
| შტუტგარტი | 18 | 8 | 1 | 9 | 25:29 | 25 |
| ვოლფსბურგი | 18 | 6 | 5 | 7 | 31:30 | 23 |
| ბოხუმი | 18 | 6 | 4 | 8 | 27:28 | 22 |
| დორტმუნდი | 18 | 6 | 4 | 8 | 29:33 | 22 |
| ჰერტა | 18 | 6 | 2 | 10 | 19:27 | 20 |
| არმინია | 18 | 5 | 3 | 10 | 19:39 | 18 |
| ჰანზა | 18 | 5 | 2 | 11 | 17:28 | 17 |
| ნიურნბერგი | 18 | 4 | 3 | 11 | 21:30 | 15 |
| კოტბუსი | 18 | 3 | 6 | 9 | 19:30 | 15 |
| დუისბურგი | 18 | 4 | 2 | 12 | 17:29 | 14 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტონი (ბაიერნი) | 10 |
| დიეგო (ვერდერი) | 9 |
| კლოზე (ბაიერნი) | 9 |
| ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი) | 9 |

### XIX ტური
9 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| დორტმუნდი | : | შალკე |
| ბაიერნი | : | ვერდერი |
| ლევერკუზენი | : | ჰამბურგი |
| შტუტგარტი | : | ჰერტა |
| აინტრახტი | : | არმინია |
| ბოხუმი | : | კოტბუსი |
| ჰანოვერი | : | კარლსრუე |
| ნიურნბერგი | : | ჰანზა |
| ვოლფსბურგი | : | დუისბურგი |

### მეორე ბუნდესლიგა
XVIII ტური

კიოლნი — ზანქტ პაული 1:1; გლადბახი — ლაუტერნი 1:1; ვეჰენი — ჰოფენჰაიმი 0:2; ფრაიბურგი — ოსნაბრიუკი 1:1; ფიურტი — აუე 2:0; ოფენბახი — პადერბორნი 2:1; კობლენცი — მაინცი 1:1; მიუნხენი — აუგსბურგი 0:3. კარლ ცაისი — ალემანია დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლადბახი | 18 | 10 | 7 | 1 | 37:19 | 37 |
| მაინცი | 18 | 9 | 5 | 4 | 32:17 | 32 |
| ფიურტი | 18 | 9 | 5 | 4 | 31:21 | 32 |
| კიოლნი | 18 | 9 | 4 | 5 | 33:24 | 31 |
| ფრაიბურგი | 18 | 8 | 7 | 3 | 28:21 | 31 |
| მიუნხენი | 18 | 7 | 7 | 4 | 29:21 | 28 |
| ჰოფენჰაიმი | 18 | 6 | 7 | 5 | 26:27 | 25 |
| აუგსბურგი | 18 | 6 | 5 | 7 | 26:28 | 23 |
| ვეჰენი | 18 | 5 | 8 | 5 | 26:28 | 23 |
| კობლენცი | 18 | 5 | 8 | 5 | 22:26 | 23 |
| ზანკტ პაული | 18 | 6 | 5 | 7 | 21:25 | 23 |
| ალემანია | 17 | 5 | 6 | 6 | 22:23 | 21 |
| ოსნაბრიუკი | 18 | 5 | 6 | 7 | 26:33 | 21 |
| ოფენბახი | 18 | 5 | 6 | 7 | 19:30 | 21 |
| ლაუტერნი | 18 | 3 | 7 | 8 | 18:22 | 16 |
| აუე | 18 | 4 | 4 | 10 | 21:32 | 16 |
| კარლ ცაისი | 17 | 3 | 4 | 10 | 23:33 | 13 |
| პადერბორნი | 18 | 1 | 9 | 8 | 11:21 | 12 |

# შეგონება: სახე ხელი არ არის!



პატოს გოლის სიხარული ტრავმამ ჩაუშწარა

## იტალია

### სერია A XXI ტური

**ფიორენტინა 0:1 მილანი**

0:1 პატო (77)
ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, გამბერინი, კროლდრუპი, პასკუალი, იორგენსენი (გობი 81), კუზმანოვიჩი, სანტანა, მონტოლივო (ვიერი 78), მუტუ, პაცინი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
მილანი: კალაჩი, ოდო, ნესტა, კალაძე, მალდინი, ბროკი (ემერსონი 72), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (პატო 66), კაკა (ფავალი 81), ჯილარდინო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ოდო, ჯილარდინო, ნესტა, პირლო
მსაჯი: საკანი
40 000 მაყურებელი

**ინტერი 1:0 ემპოლი**

1:0 იბრაჰიმოვიჩი (34პ)
ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, ბურდისო, მატერაცი, კივუ, სტანკოვიჩი (რივასი 49), კამბიასო, ვიეირა, ლ. ხიმენესი (მაქსველი 46), კრუზი (სუაზო 55), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ემპოლი: ბასი, რაჯი, მარცორატი (აბატე 59), პიკოლო, ანტონინი, ბუშე, მარიანინი, მორო (საუდატი 55), ბუდელი, ვანუკი, პოცი
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: ვანუკი, ვიეირა, კამბიასო, აბატე, პიკოლო, ჟულიო სეზარი, პოცი, საუდატი
გაძევება: ვიეირა (39)
მსაჯი: ტალიავენტო
40 000 მაყურებელი

**სიენა 3:0 რომა**

1:0 ვერგასოლა (11), 2:0 ტონეტო (42ს.კ.), 3:0 ფრიკი (83)
სიენა: მანინგერი, როსეტინი, ლორია, პორტანოვა, დე ჩელიე, იაროლიმი, ვერგასოლა, კოდრია, ხარეჯა (კოპოლა 63), ფრიკი (ალბერტო 90), მაკარონე (რიგანო 80)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
რომა: ა. დონი, კასეტი, ფერარი, მექსეში, ტონეტო, დე როსი (აკვილანი 80), დ. პიზარო, ტადეი (ჟუჩინიჩი 51), პეროტა (ჟიული 63), მანსინი, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: მანინგერი, ტოტი, დე როსი, მანსინი, დე ჩელიე
მსაჯი: დონდარინი
15 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:1 კალიარი**

0:1 ბიანკო (55), 1:1 ნედვედი (56)
იუვენტუსი: ბელარდი, სალიჰამიჯიჩი, ლეგროტალიე, გრიგერა, მოლინარო, პალადინო (კამორანეზი 46), ნოჩერინო, ტიაგუ (სისოკო 67), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
კალიარი: სტორარი, ფერი, დ. ლოპესი (კანინი 16), ბიანკო, აგოსტინი, ფინი, კონტი, პაროლა, ჟედა, ფოჯა (კოსუ 46), ლარივეი (აკვაფრესკა 71)
მწვრთნელი: დავიდე ბალარდინი
გაფრთხილება: ჟედა, კონტი, ნოჩერინო, ფინი
მსაჯი: ჯანნოჩარო
13 000 მაყურებელი

**ნაპოლი 3:1 უდინეზე**

1:0 საპატა (3ს.კ.), 1:1 პეპე (8), 2:1, 3:1 ლავეცი (74, 75)
ნაპოლი: ჯანელო, გრავა, პ. კანავარო, კონტინი, გარიკსი (სანტაკროჩე 50), ბლაზი, გარგანო, ჰამშიკი (პაზიენცა 74), მანინი, ზალაიეტა, ლავეცი (ბოლიაჩინო 85)
მწვრთნელი: ედუარდო რეხა
უდინეზე: ჰანდაროვიჩი, საპატა, ფელიპე (ფლორო ფლორესი 78), ლუკოვიჩი, ფერონეტი (კოლომბო 69), დაგოსტინო (ერიომენკო 88), ინლერი, დოსენა, პეპე, კვალიარელა, დი ნატალე
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
გაფრთხილება: პეპე, ფელიპე, მანინი, დოსენა, პეპე, საპატა
გაძევება: კანავარო (36), პეპე (59)
მსაჯი: აიროლდი
30 000 მაყურებელი

**პარმა 2:3 ატალანტა**

0:1 პელეგრინო (18), 1:1 ლუკარელი (39), 1:2 ბელინი (55), 1:3 ფლოკარი (68), 2:3 გასბარონი (90პ)
პარმა: ბუჩი, დ. ძენონი, ფალკონე, მ. როსი, კასტელინი, რეჯინალდო (გასბარონი 69), მარიგა, ჩიგარინი, პიზანუ, კ. ლუკარელი, კორადი (ბუდანი 64)
მწვრთნელი: დომენიკო დი კარლო
ატალანტა: კოპოლა, რივალტა, კარონციერი (კაპელი 58), პელეგრინო, ბელინი, ფერეირა პინტუ, დე აშენტისი, გუარენტე, ლანჯელა (ს. ინძაგი 46), კ. დონი, ფლოკარი (პადოინი 83)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: მარიგა, ფალკონე, პელეგრინო, ბელინი, დე აშენტისი, პიზანუ, დონი
მსაჯი: დამატო
13 567 მაყურებელი

**ლაციო 2:1 სამპდორია**

1:0 მაური (37), 1:1 კასანო (45), 2:1 როკი (77)
ლაციო: ბალოტა, ბეჰრამი, სივილია, კრიბარი, რადუ, მუდინგაი, ლედესმა, დაბო (მანფრედინი 50), მაური (როზენალი 85), პანდევი, როკი (ტარე 90)
მწვრთნელი: დელიო როსი
სამპდორია: კასტელაცი, კამპანარო, გასტალდელო, აკარდი, მაჯო, პალომბო, ვოლპი (დელვეკიო 16), ფრანჩესკინი (ბონაცოლი 80), პიერი (ციგლერი 86), კასანო, ბელუჩი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: გასტალდელო, დაბო, მუდინგაი, პალომბო, ბეჰრამი, აკარდი, კასანო
მსაჯი: ორზატო
20 000 მაყურებელი

**პალერმო 1:0 ლივორნო**

1:0 მიკოლი (76)
პალერმო: ფონტანა, ძაკარდო, ბარძალი, ბიავა, ბალძარეტი, გუანა, მილიაჩო, კაზერტა, კავანი (ბრეშიანო 63), მიკოლი (კასანი 90), ამაური
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ლივორნო: ამელია, პავანი, კნეჟევიცი, გალანტე, ბალერი (ე. ალვარესი 80), ვიდიგალი, პულცეტი, ლოვიზო (ე. ფილიპინი 63), პასკუალე, ტავანო, ბოგდანი (როსინი 77)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: ძაკარდო, პავანი, ლოვიზო, ვიდიგალი
მსაჯი: ბერგონცი
23 033 მაყურებელი

**ჯენოა 2:1 კატანია**

1:0 დანილო (13), 1:1 ბოვო (59ს.კ.), 2:1 ბორიელო (71პ)
ჯენოა: სკარპი, კონკო, ბოვო, სანტოსი, კრიშიტო, მ. როსი (ა. ლუკარელი 79), პარო, იურიჩი, დანილო, ბორიელო (სკული 84), ფიგეროა (დი ვაიო 74)
მწვრთნელი: ჯანპიერო გასპერინი
კატანია: პოლიტო, სარდო, ტერლიცი, სტოვინი, სილვესტრი, ბაიოკო, ბიაჯანტი (იცკო 53), ტედესკო (მორიმოტო 53), კოლუჩი, სპინეზი (ინასიო პია 80), მასკარა
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: კოლუჩი, სტოვინი, ბიაჯანტი, ბაიოკო
მსაჯი: ველოტო
10 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:3 ტორინო**

0:1 როზინა (23პ), 0:2 სტელონე (80), 1:2 ამორუზო (59), 1:3 როზინა (66პ)
რეჯინა: კამპანოლო, ლანძარო, ვალდესი, ჩირილო, ვიჯანი (ამორუზო 52), ტონიოცი (ჰალფრედსონი 52), კოცა, მისიროლი, მოდესტო, ბრინცა, კერავოლო (სტუანი 64)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ტორინო: სერენი, მოტა (კომოტო 55), დი ლორენტო, ნატალი, პიზანო, დიანა, კორინი (ბოტონე 78), გრელა, ლაზეტიჩი, სტელონე (დი მიკელე 63), როზინა
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კორინი, გრელა, ჩირილო, ნატალი, სტელონე, ვალდესი, დიანა
მსაჯი: მორგანტი
12 000 მაყურებელი

„**ინტერმა**“ გაიმარჯვა — ჩემპიონმა და ლიდერმა „სან სიროზე“ „ემპოლი“ დაამარცხა, მაგრამ გამარჯვებაც ჭრის და გამარჯვებაც: „შავ-ლურჯებმა“ ბოლოსწინა ადგილზე მყოფ გუნდთან ერთადერთი გოლის წყალობით მოახერხეს მოგება და, ვაგლახ, ის ერთი გოლიც ფრიად საეჭვო პენალტით გავიდა. თან, თამაშის მიწურულს მილანელთა გოლკიპერმა ჟულიო სეზარმა პენალტი მოიგერა. ერთი სიტყვით, რობერტო მანჩინის გუნდი გადარჩა.

...გასულ კვირას „უდინეზესთან“ ფრედ ნათამაშებ და ამით განაწყენებულ „ინტერს“ ცხრილში ხუთქულიანი უპირატესობის შენარჩუნება უნდოდა. თითქოსდა, პრობლემებიც არ უნდა ჰქონოდა: „ემპოლი“ ხომ ცხრილის ფსკერზე მოფართხალე გუნდია, რომელსაც დეკემბრის შემდეგ თამაში არ მოუგია. კიდევ, ამ თამაშისთვის მილანელებს პატრიკ ვიეირა დაუბრუნდათ.

ცნობისთვის: „ინტერისა“ და „ემპოლის“ დაპირისპირება ფრედ არასდროს დამთავრებულა. „ინტერმა“ შვიდჯერ გაიმარჯვა, „ემპოლიმ“ კი 2004-ში მოიგო და დღემდე იმას ზეიმობს. გოლები — 23:6. ერთი სიტყვით, „შავ-ლურჯებს“, ყველა პროგნოზის თანახმად, იოლად უნდა გაემარჯვათ.

მაგრამ, 2008 წლის ჯერ, მართალია, ხანმოკლე, მაგრამ მაინც უკვე ჩამოყალიბებული ტრადიციის შესაბამისად, თავიდან მილანელებმა ინიციატივა დათმეს, თუმცა ნელნელა ყველაფერი გამოსწორდა, ხოლო 34-ე წუთზე ასეთი რამ მოხდა: მსაჯმა ტალიავენტომ სტანკოვიჩის დარტყმულისთვის ხელის აფარების გამო ვანუკი პენალტით დასაჯა, თუმცა სატელევიზიო გამეორებებმა აჩვენა, რომ ამ უკანასკნელს ბურთი სახეში მოხვდა. პენალტი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შეაგდო.

39-ე წუთზე უფალი ტალიავენტო ისევ გამოჩნდა საქმეში: ვიეირა საკმაოდ სულელურ სიტუაციაში დაჯარიმდა და როდესაც მსაჯმა ყვითელი აუფრიალა, ერთი ლაზათიანად შეაგინა — შესაბამისად, ყვითელიც წითლად იქცა.

ცნობისთვის: ბოლო ოთხ თამაშში „ინტერს“ პირველ ტაიმში უკვე მესამედ უგდებენ კაცს.

ვიეირას გაძევებამ ვითარება დაძაბა და „ემპოლის“ ნახევარზე ერთი კარგი ჯგუფური გაწევ-გამოწევაც მოეწყო. მატერაცი იძახდა, მარიანინიმ წაქცევა გააფორმაო.

და მეორე ტაიმის პირველი მნიშვნელოვანი ამბავიც „ინტერისთვის“ უსიამოვნო გახლდათ: სტანკოვიჩმა კუნთი გაიჭიმა და შეცვალეს.

ამის შემდეგ „ემპოლი“ ყოჩაღობდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დავიდ სუასომ ორჯერ აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

ბოლოს კი მატერაცის მიერ საუდატის წაქცევისთვის უკვე მესამედ ნახსენებმა ტალიავენტომ კიდევ ერთი პენალტი დანიშნა, ამჯერად მილანელთა კარში, მაგრამ წაქცეულს ჟულიო სეზარმა აუღო.

და „რომას“ რაღა ღმერთი გაუწყრა? მეორე ადგილზე ამაყად მიმავალმა „ჯალოროსიმ“ მე-18 ადგილზე მყოფ „სიენასთან“ 0:3 წააგო. რაღ უნდა ლაპარაკი, რომ ეს რომაელთა უარესი მატჩი გახლდათ მიმდინარე სეზონში.

„იუვენტუსმა“ შინ 1:1-ზე უკეთესი ვერაფერი მოახერხა „კალიარისთან“. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში ორივე კარში გოლები ერთ წუთში გავიდა.

მთავარი მატჩი ფლორენციულ „არტემიო ფრანკიზე“ გაიმართა, სადაც „მილანმა“ ადგილობრივი „იები“ პატოს კინკილა გოლის წყალობით დაამარცხა და სატურნირო ცხრილში ზევით კიდევ ერთი საფეხურით წაიწია. ერთადერთი, რაც „წითელ-შავებს“ სიხარულს წაუხდენდა, მატჩის გმირი ბრაზილიელის მძიმე ტრავმა იყო...

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 21 | 16 | 5 | 0 | 44:13 | 53 |
| რომა | 21 | 13 | 6 | 2 | 38:22 | 45 |
| იუვენტუსი | 21 | 11 | 8 | 2 | 40:18 | 41 |
| ფიორენტინა | 21 | 10 | 7 | 4 | 32:19 | 37 |
| მილანი | 20 | 9 | 6 | 5 | 32:16 | 33 |
| უდინეზე | 21 | 9 | 6 | 6 | 24:25 | 33 |
| ატალანტა | 21 | 7 | 8 | 6 | 32:30 | 29 |
| სამპდორია | 21 | 8 | 4 | 9 | 27:26 | 28 |
| პალერმო | 21 | 7 | 7 | 7 | 28:34 | 28 |
| ჯენოა | 21 | 7 | 7 | 7 | 22:28 | 28 |
| ნაპოლი | 21 | 7 | 6 | 8 | 33:32 | 27 |
| კატანია | 21 | 5 | 8 | 8 | 19:24 | 23 |
| ლაციო | 21 | 5 | 8 | 8 | 24:30 | 23 |
| ტორინო | 21 | 3 | 12 | 6 | 20:25 | 21 |
| ლივორნო | 20 | 5 | 6 | 9 | 23:32 | 21 |
| სიენა | 21 | 4 | 8 | 9 | 25:31 | 20 |
| პარმა | 21 | 4 | 7 | 10 | 24:32 | 19 |
| რეჯინა | 21 | 3 | 9 | 9 | 18:32 | 18 |
| ემპოლი | 21 | 3 | 7 | 11 | 15:29 | 16 |
| კალიარი | 21 | 3 | 5 | 13 | 16:38 | 14 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 15 |
| იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) | 14 |
| მუტუ (ფიორენტინა) | 13 |
| ბორიელო (ჯენოა) | 12 |
| კრუზი (ინტერი) | 10 |
| ტოტი (რომა) | 10 |
| ბელუჩი (სამპდორია) | 9 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 9 |
| ტავანო (ლივორნო) | 9 |

### XXII ტური

10 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | : | ფიორენტინა |
| ლივორნო | : | ჯენოა |
| კატანია | : | ინტერი |
| უდინეზე | : | იუვენტუსი |
| ემპოლი | : | ლაციო |
| სამპდორია | : | ნაპოლი |
| ტორინო | : | პალერმო |
| კალიარი | : | პარმა |
| რომა | : | რეჯინა |
| მილანი | : | სიენა |

### სერია B

**XXIII ტური**

ალბინოლეფე — ვიჩენცა 0:0; ასკოლი — რავენა 5:0; ბარი — რიმინი 0:1; ბოლონია — სპეცია 3:2; ბრეშა — გროსეტო 4:1; ჩეზენა — მესინა 1:0; ფროზინონე — პიზა 1:5; მანტოვა — აველინო 2:0; მოდენა — პიაჩენცა 2:0; ტრევიზო — ლეჩე 0:0; ტრიესტინა — კიევო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლონია | 23 | 14 | 7 | 2 | 31:12 | 49 |
| კიევო | 23 | 14 | 5 | 4 | 43:27 | 47 |
| ლეჩე | 23 | 13 | 7 | 3 | 37:14 | 46 |
| პიზა | 23 | 13 | 7 | 3 | 41:27 | 46 |
| ალბინოლეფე | 23 | 13 | 6 | 4 | 35:18 | 45 |
| ბრეშა | 22 | 12 | 5 | 5 | 35:20 | 41 |
| მანტოვა | 23 | 12 | 4 | 7 | 36:27 | 40 |
| მოდენა | 23 | 9 | 7 | 7 | 33:26 | 34 |
| რიმინი | 23 | 9 | 6 | 8 | 29:24 | 33 |
| მესინა | 23 | 9 | 5 | 9 | 19:26 | 32 |
| ასკოლი | 22 | 7 | 9 | 6 | 32:22 | 30 |
| ტრიესტინა | 23 | 7 | 8 | 8 | 29:37 | 29 |
| ფროზინონე | 23 | 7 | 6 | 10 | 28:37 | 27 |
| პიაჩენცა | 23 | 8 | 2 | 13 | 18:28 | 26 |
| გროსეტო | 23 | 6 | 7 | 10 | 20:32 | 25 |
| ტრევიზო | 23 | 5 | 6 | 12 | 23:33 | 21 |
| აველინო | 23 | 5 | 6 | 12 | 23:34 | 21 |
| ბარი | 23 | 4 | 9 | 10 | 24:36 | 21 |
| ჩეზენა | 23 | 3 | 10 | 10 | 24:35 | 19 |
| სპეცია | 23 | 4 | 6 | 13 | 25:37 | 18 |
| ვიჩენცა | 23 | 3 | 9 | 11 | 20:36 | 18 |
| რავენა | 23 | 4 | 5 | 14 | 27:44 | 17 |

### სერია C1/A

**XXII ტური**

პრო სესტო — პაგანეზე 3:0; კრემონეზე — ტერნანა 1:0; ფოჯა — პრო პატრია 3:2; ლენიანო — მანფრედონია 3:0; მონცა — ლეკო 2:1; ნოვარა — ჩიტადელა 2:2; სასუოლო — ვენეცია 1:0; ვერონა — კავეზე 0:1. პადოვა — ფოლინო დღეს გაიმართება

### სერია C1/B

**XXII ტური**

არეცო — პერუჯა 1:0; კროტონე — მარტინა 3:1; ლანჩანო — პოტენცა 1:1; ლუკეზე — სანჯოვანეზე 1:1; მასეზე — ანკონა 1:1; პესკარა — იუვე სტაბია 0:0; პისტოიეზე — გალიპოლი 0:3; სორენტო — სამბენედეტეზე 1:1; ტარანტო — სალერნიტანა 4:2

# მედიტერანეოსის ხაფანგში

## ესპანეთი
## პრიმერადივიზიონი XXII ტური

**ალმერია 2:0 რეალი**

1:0 ხუანიტო (15), 2:0 ნეგრედო (46პ)
ალმერია: დიეგო ალვეში, ბრუნო, რ. პულიდო, გ. კარლოსი, ხუანიტო, ფელიპე მელო, კრუსატი, კორონა (მ. ორტისი 64), ხ. ორტისი (სორიანო 81), მანე, ნეგრედო (კალუ უჩე 78)
მწვრთნელი: უნაი ემერი
რეალი: კასილიასი, სალგადო (ჟ. ბაპტისტა 63), ს. რამოსი, ფ. კანავარო, მ. ტორესი, გუტი, დიარა, სნეიდერი (ბალბოა 75), რობინიო, რაული, ვან ნისტელროოი (იგუაინი 46)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: ფელიპე მელო, კასილიასი, დიეგო ალვეში, სნეიდერი, რამოსი, გუტი, სორიანო
მსაჯი: კლოს გომესი
20 000 მაყურებელი

**ბარსელონა 1:0 ოსასუნა**

1:0 ხავი (87)
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, ტურამი, გ. მილიტო, აბიდალი, დეკუ (ხავი 80), მარკესი, ინიესტა, კრკიჩი, მესი (რონალდინიო 67), ანრი (დოს სანტოსი 62)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ოსასუნა: რიკარდო, მონრეალი, მ. ფლანიო (ასტუდილიო 46), კრუჩაგა, ხავი გარსია, პლასილი, პუნიალი (პანდიანი 89), ხუანფრანი, კოკე სოლა, ასპილისუეტა, ველა (ექტორ ფონტი 84)
მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა
გაფრთხილება: ხუანფრანი, პლასილი, რიკარდო
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
90 000 მაყურებელი

**ხეტაფე 0:1 ესპანიოლი**

0:1 ხონათანი (16)
ხეტაფე: აბონდანსიერი, კორტესი, კატა, ლიხტი, ბელენგერი (კეპა 78), სელესტინი, პაბლო ერნანდესი, გავილანი, დე ლა რედი (კასკერო 71), ალბინი (ბრაულიო 61), მანუ
მწვრთნელი: მიქაელ ლაუდრუპი
ესპანიოლი: კასილია, საბალეტა, ლაკრუსი, ტორეხონი, დავიდ გარსია (ჩიკა 37), დე ლა პენია, მოიზესი, რუფეტე, ვალდო (რიერა 76), ლუის გარსია, ხონათანი (ანხელი 65)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: საბალეტა, რუფეტე, მოიზესი, ანხელი, პაბლო ერნანდესი, დე ლა პენია
მსაჯი: პერეს ბურული
20 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 1:1 მურსია**

0:1 ხოფრე (51პ), 1:1 ლუის გარსია (62)
ატლეტიკო: აბიატი, პერეა, ელერი (ლუის გარსია 55), პაბლო, პერნია, მოტა, რაულ გარსია, მაქსი როდრიგესი, სიმაო (მიგელი 46), ფორლანი, აგერო (კ. სანტანა 71)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
მურსია: ნოტარიო, ოჩოა, დე კოსი, პენია, არზო, დე ლუკასი (მოვილია 89), ხოფრე (რეგეირო 66), პაბლო გარსია, გოიტომი, ივანი (ინიგო 80), რიჩი
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: პაბლო გარსია, სიმაო, პერეა, დე კოსი, მოტა, გოიტომი, რეგეირო
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
50 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 1:1 მალიორკა**

1:0 როსი (26პ), 1:1 ბასინასი (38პ)
ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, გონსალო, გოდინი, კაპდევილა, ანხელი, ხოსიკო (ჩანი 78), პირესი (ტომასონი 85), კაზორლა, ბრუნო, ნიჰათი, ჯ. როსი (გ. ფრანკო 69)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
მალიორკა: მოია, რამისი, სკალონი, ბალესტეროსი, ექტორი, ბასინასი, ვალერო, ტუნი (იბაგასა 67), არანგო, ხონასი, გიზა (ნსუე 86)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ექტორი, ვალერო, ხონასი, სკალონი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
18 000 მაყურებელი

**უელვა 1:2 სევილია**

0:1, 0:2 ლუიშ ფაბიანო (44, 84), 1:2 ბეტუ (87)
უელვა: სორენტინო, ედუ მოია (ბეტუ 46), მ. კასერესი, ი. ბუზონი, პ. ფერნანდესი, ხესუს ვასკესი, ბარბერი (მარტინში 61), ტორნავაკა, ა. კამუნიასი, სინამა-პონიოლი (მარტინი 73), ხავი გერერო
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
სევილია: პალოპი, დანი ალვეში, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, მოსკერა, რენატო, პოულსენი, მარესკა (დუდა 85), დ. კაპელი (კასადო 89), დე მული (ფაციო 46), ლუიშ ფაბიანო
მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი
გაფრთხილება: ედუ მოია, მოსკერა, მოსკერა, ტორნავაკა, კაპელი, ბეტუ, ფერნანდესი, ხესუს ვასკესი, დანი ალვეში
გაძევება: მოსკერა (40), მარტინი (81)
მსაჯი: პერეს ლასა
15 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 0:2 ვალენსია**

0:1 მატა (60), 0:2 ვილია (71)
ვალიადოლიდი: ალბერტო, მარკოსი, გარსია კალვო, რაფა, პედრო ლოპესი, სისი (კომე 59), კაპდევილა (ბორხა 68), ალვარო რუბიო (ოგბეჩე 73), ვიკარ დორადო, ხ. ლორენტე, ვიქტორი
მწვრთნელი: ხოსე ლუის მენდილიბარი
ვალენსია: ჰილდებრანდი, კანეირა, ალბიოლი, ელგერა, მარჩენა, მორეტი, მადურო, ბანეგა (სანი 67), ხოაკინი (არისმენდი 67), ვილია (ჟიგიჩი 85), მატა
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: მადურო, მარჩენა, პედრო ლოპესი, არისმენდი
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი
22 000 მაყურებელი

**სარაგოსა 1:0 ბილბაო**

1:0 ოლივეირა (27)
სარაგოსა: სესარი, დიოგო, აიალა, ხუანფრანი, სერხიო, ლუქსენი, გაბი (ოსკარი 70), სელადესი (საპატერი 59), სერხიო გარსია, რ. ოლივეირა (პარედესი 80), დ. მილიტო
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ბილბაო: არმანდო, ამორებიეტა, აიტორ ოსიო, გარმენდია (აიტორ რომოსი 59), კოიკილი, იესტე, ირაოლა, მუნიოსი (სუსაეტა 70), ხავი მარტინესი, დავიდ ლოპესი, ადურიცი (ფ. ლორენტე 46)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ამორებიეტა, დიოგო, ადურიცი, კოიკილი, სერხიო გარსია, სუსაეტა, აიტორ ოსიო, აიტორ ოსიო
გაძევება: აიტორ ოსიო (89)
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
40 000 მაყურებელი

**ბეტისი 0:1 დეპორტივო**

0:1 პაბლო ამო (35)
ბეტისი: რიკარდუ, მელი, ფ. ვეგა, ხუანიტო, დამია, არზუ, კაპი (სობისი 78), რივერა (ხისკო 46), კაფა (მ. გონსალესი 46), ედუ, პავონე
მწვრთნელი: პაკო ჩაპარო
დეპორტივო: ფაბრი, მანუელ პაბლო, ფილიპე, კოლოჩინი, ლოპო, პაბლო ამო, დე გუზმანი, გუარდადო (ვერდიუ 11), ხუან როდრიგესი, ანტონიო ტომაში (სერხიო 82), ხისკო (ბოდიპო 62)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ფაბრი, ანტონიო ტომაში, არზუ, მელი, ედუ, ფილიპე, სერხიო
მსაჯი: ონტანაია ლოპესი
35 000 მაყურებელი

**ლევანტე 1:1 რასინგი**

1:0 რიგა (57), 1:1 დუშერი (75პ)
ლევანტე: კუიოვიჩი, დავიდი, ალვარო, ხოსე სერანო, დესკარგა, რიგა, ბერსონი, მიგელ ანხელი, კურტუა (საული 79), ხუანმა (ეტიენი 79), იბორა (პ. ლეონი 69)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
რასინგი: კოლტორტი, ორიოლი, ს. სანჩესი, აიოზი, სესარ ნავასი, პ. ალვარესი (ხ. ვალე 77), დუშერი, კოლსა (მორატიონი 81), ტშიტე, ოსკარ სერანო (პინილიოსი 89), ზმოლარეკი
მწვრთნელი: მარსელინო გარსია ტორალი
გაფრთხილება: კოლსა, ხუანმა, მიგელ ანხელი, მორატიონი, ალვარო
მსაჯი: პარადას რომერო
15 000 მაყურებელი



ხავიმ „ბარსა“
„რეალს“ მიუახლოვა

**ესპანეთის** ჩემპიონატის 22-ე ტური ძალზე მოულოდნელად დაიწყო. მოკრძალებულმა ანდალუსიურმა „ალმერიამ“ თვით „რეალს“ მოუგო. იმ „რეალს“, რომელიც ჩემპიონობისკენ უზარმაზარი ნაბიჯებით მიექანებოდა, უახლოეს მდევარ „ბარსელონასთან“ 9-ქულიანი ჰანდიკაპით იწონებდა თავს, გასულ შაბათამდე მთელი სამი თვის განმავლობაში დაუმარცხებელი იყო და ამ ხნის განმავლობაში პრიმერადივიზიონის ბოლო 10 მატჩში 28 ქულა დაეგროვებინა. „სამეფო კლუბის“ მარცხს ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა და ივარაუდებდა, მაგრამ ყველა პროგნოზის საწინააღმდეგო კი მოხდა.

ალმერიას პატარა და კოხტა „ესტადიო დე ლოს ხუეგოს მედიტერანეოსზე“ პირველი სახიფათო მომენტი ტიტულოვანმა სტუმრებმა შექმნეს — მარცხენა ფლანგიდან ალმერიელთა საჯარიმოს მიახლოებულმა რაულმა მოედნის სიღრმიდან მიიღო გადაცემა და ორ მცველთან ათლეტურ ბრძოლაში ელეგანტური მოძრაობით ბურთი კარიდან უაზროდ შორს გამოსულ დიეგო ალვეშს თავზე გადაავლო. ბრაზილიელი კიპერის საბედნიეროდ, ბურთი ხარიხას სანტიმეტრებში გადაცდა.

ამ მომენტის შემდეგ ინიციატივას უნაი ემერის ბიჭები დაეუფლნენ და მე-16 წუთზე მათი სწრაფი იერიში იკერ კასილიასის კარის აღებით დაგვირგვინდა. თავისი კარის კუთხეში მდგომ ფაბიო კანავაროს ფეხი დაუცდა და ვეტერანმა იტალიელმა გასწვრივი ჩაწოდების ჩაჭრა უცნაური თავურით განიზრახა, მაგრამ არ გამოუვიდა და იქვე გაჩენილმა ხუანიტომ უძლიერესი დარტყმით ბურთი კარში გაგზავნა. კასილიასმა ფანტასტიკური რეაქცია გამოავლინა და მოგერიებაც თითქოსდა შეძლო, მაგრამ ბურთმა კარის ხაზის გადაკვეთა უკვე მოასწრო...

ტაიმის დარჩენილი დრო ასევე მასპინძელთა კარნახით წარიმართა, ხოლო დედაქალაქელებს შეტევაში პრაქტიკულად არაფერი გამოუვიდათ. მეორე ტაიმის დაწყება და კასილიასის კარის ბადის მეორედ აფრიალება ერთი იყო. მადრიდელები ამ ჯერზეც კანავარომ დაალალატა, რომელმაც საკუთარ საჯარიმოში ალვარო ნეგრედო უწესოდ შეაჩერა და არბიტრმაც პენალტი აბსოლუტურად სამართლიანად დანიშნა. დაზარალებულმა ნეგრედომ თერთმეტმეტრიანი მშვიდად და ზუსტად შეასრულა — 2:0. ბერნდ შუსტერმა სიტუაციის გამოსწორება შეცვლებით სცადა, მაგრამ იმ დღეს „სამეფო კლუბს“ ალმერიაში გოლის გატანა არ ეწერა. ის რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევა, რაც დედაქალაქელებმა შექმნეს, დიეგო ალვეშმა უპრობლემოდ უკუაგდო.

ეს იყო „ალმერიას“ ხანმოკლე ისტორიაში უდიდესი გამარჯვება და ამ გუნდის ახალგაზრდა დამრიგებელმა უნაი ემერიმ სტადიონი თავაწეულმა დატოვა...

ბუნებრივია, რომ რადგან „რეალმა“ წააგო და „ბარსას“ ჩამორჩენის შემცირების შანსი მიეცა, გუშინდელი პროგრამის უმთავრესი ნომერიც „ბარსელონას“ მონაწილეობით შედგა. კატალონიელებს უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუხდათ — „ოსასუნას“ ფეხბურთელები საკუთარ კარს გმირულად იცავდნენ და საწადელს თითქმის მიაღწიეს, მაგრამ თავსხმა წვიმისგან საცურაო აუზს დამსგავსებულმა „სანტიაგო ბერნაბეუმ“ გოლი მაინც იხილა. თამაშის დასრულებამდე ორიოდე წუთით ადრე ხავიმ თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუპოვა. „ბარსასა“ და „რეალს“ შორის დისტანცია 6 ქულამდე დავიდა.

საანგარიშო ტურამდე მესამე ადგილზე მყოფმა „ვილიარეალმა“ მშობლიურ „ელ მადრიგალზე“ „მალიორკას“ წინააღმდეგობა ვერ გატეხა — 1:1. იგივე ანგარიშით „ატლეტიკოსა“ და „მურსიას“ მადრიდული მატჩიც დასრულდა. 1:1 ვალენსიაშიც დაფიქსირდა — თითქოსდა წყალწაღებულმა „ლევანტემ“ ზედიზედ მესამე მატჩი არ წააგო და ამავდროულად „რასინგსაც“ გაუფუჭა საქმე — მე-6, საუეფასთასო ადგილზე გამაგრებულ სანტანდერელებს ტურის გმირი „ალმერია“ და „სევილია“ წამოეწივნენ — ამ უკანასკნელმა უელვადან 3 ქულა წამოიღო. კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა: რონალდ კუმანის „ვალენსიამ“ ნავსი გატეხა და გამარჯვება ვალიადოლიდში გამოადნო, არადა „ხოსე ზორილაზე“ ქულები ჩემპიონატის პრაქტიკულად ყველა მოწინავე გუნდმა დაკარგა.

**სლავა გასპაროვი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 22 | 17 | 2 | 3 | 46:18 | 53 |
| ბარსელონა | 22 | 14 | 5 | 3 | 41:14 | 47 |
| ესპანიოლი | 22 | 11 | 6 | 5 | 32:24 | 39 |
| ვილიარეალი | 22 | 12 | 3 | 7 | 40:34 | 39 |
| ატლეტიკო | 22 | 11 | 5 | 6 | 36:23 | 38 |
| რასინგი | 22 | 9 | 7 | 6 | 23:23 | 34 |
| სევილია | 22 | 10 | 2 | 10 | 41:30 | 32 |
| ალმერია | 22 | 9 | 5 | 8 | 20:21 | 32 |
| ვალენსია | 22 | 9 | 3 | 10 | 24:33 | 30 |
| სარაგოსა | 22 | 7 | 8 | 7 | 35:35 | 29 |
| მალიორკა | 22 | 6 | 9 | 7 | 32:34 | 27 |
| ვალიადოლიდი | 22 | 7 | 6 | 9 | 30:34 | 27 |
| ხეტაფე | 22 | 8 | 3 | 11 | 27:31 | 27 |
| ბეტისი | 22 | 6 | 7 | 9 | 23:31 | 25 |
| ბილბაო | 22 | 5 | 8 | 9 | 19:23 | 23 |
| ოსასუნა | 22 | 6 | 5 | 11 | 23:28 | 23 |
| დეპორტივო | 22 | 6 | 5 | 11 | 23:33 | 23 |
| მურსია | 22 | 5 | 8 | 9 | 20:31 | 23 |
| უელვა | 22 | 5 | 7 | 10 | 18:30 | 22 |
| ლევანტე | 22 | 3 | 4 | 15 | 17:40 | 13 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლ. ფაბიანო (სევილია) | 16 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 14 |
| ხ. ლორენტე (ვალიადოლიდი) | 12 |
| ვან ნისტელროოი (რეალი) | 12 |
| გიზა (მალიორკა) | 11 |
| ნიჰათი (ვილიარეალი) | 11 |
| ჯ. როსი (ვილიარეალი) | 10 |
| ტამუდო (ესპანიოლი) | 10 |
| აგერო (ატლეტიკო) | 9 |
| რაული (რეალი) | 9 |
| რ. ოლივეირა (სარაგოსა) | 9 |
| კანუტე (სევილია) | 8 |
| მესი (ბარსელონა) | 8 |
| რობინიო (რეალი) | 8 |

### XXIII ტური

10 თებერვალი

სევილია : ბარსელონა
ოსასუნა : სარაგოსა
ბილბაო : ლევანტე
რასინგი : ატლეტიკო
მურსია : ვილიარეალი
მალიორკა : ალმერია
რეალი : ვალიადოლიდი
ვალენსია : ბეტისი
დეპორტივო : ხეტაფე
ესპანიოლი : უელვა

### სეგუნდადივიზიონი
### XXIII ტური

მალაგა — ალავესი 1:0; ალბასეტე — ხერესი 1:0; კადისი — ტენერიფე 0:0; სელტა — კასტელიონი 1:2; სოსიედადი — ეიბარი 1:1; სევილია B — სალამანკა 2:1; სპორტინგი — ლას პალმასი 0:1; ხიმნასტიკი — კორდობა 2:2; ერკულესი — გრანადა 0:0; ნუმანსია — ელჩე 0:1; ფეროლი — პოლი ეხიდო 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 23 | 13 | 6 | 4 | 34:19 | 45 |
| ნუმანსია | 23 | 13 | 6 | 4 | 33:19 | 45 |
| სპორტინგი | 23 | 10 | 6 | 7 | 33:23 | 36 |
| ელჩე | 23 | 10 | 6 | 7 | 28:24 | 36 |
| სევილია B | 23 | 9 | 9 | 5 | 25:23 | 36 |
| სელტა | 23 | 9 | 8 | 6 | 32:26 | 35 |
| სოსიედადი | 23 | 9 | 8 | 6 | 25:21 | 35 |
| კასტელიონი | 23 | 9 | 7 | 7 | 23:18 | 34 |
| გრანადა | 23 | 9 | 7 | 7 | 27:26 | 34 |
| ტენერიფე | 23 | 7 | 11 | 5 | 28:27 | 32 |
| ერკულესი | 23 | 7 | 9 | 7 | 31:27 | [illegible] |
| ეიბარი | 23 | 8 | 6 | 9 | 24:29 | 30 |
| სალამანკა | 23 | 7 | 8 | 8 | 29:27 | 29 |
| კადისი | 23 | 8 | 5 | 10 | 21:23 | 29 |
| კორდობა | 23 | 5 | 12 | 6 | 27:32 | 27 |
| ლას პალმასი | 23 | 7 | 5 | 11 | 24:32 | 26 |
| ალავესი | 23 | 6 | 7 | 10 | 24:28 | 25 |
| ხიმნასტიკი | 23 | 5 | 9 | 9 | 24:28 | 24 |
| ალბასეტე | 23 | 6 | 6 | 11 | 17:24 | 24 |
| ფეროლი | 23 | 6 | 5 | 12 | 24:32 | 23 |
| ხერესი | 23 | 4 | 10 | 9 | 26:35 | 22 |
| პოლი ეხიდო | 23 | 5 | 6 | 12 | 19:35 | 21 |

Africa Cup of Nations
GHANA 2008

## მეოთხედფინალი

**კოტ დივუარი 5:0 გვინეა**

1:0 კეიტა (25), 2:0 დროგბა (70), 3:0, 4:0 კალუ (73, 81), 5:0 ბ. კონე (86)

კოტ დივუარი: ბარი, მეიტე, ბოკა, ზოკორა, ებუე, კოფი ნდრი, ი. ტურე, კეიტა (ფაე 74), კალუ, დინდანე (ა. კონე 70), დროგბა (ბ. კონე 76)

მწვრთნელი: ჟერარ ჟილი

გვინეა: კ. კამარა, ბა, ზაიატი (კალაბანე 82), ი. კამარა, ჟაბი, დიალო, ჯონსონი (სუმა 67), საკო, ბანგურა, მანსარე, იულა (კ. სისე 60)

მწვრთნელი: რობერ ნუზარე

გაფრთხილება: ზაიატი, ი. კამარა

მსაჯი: ჯამელ ჰაიმუდი (ალჟირი)

30 000 მაყურებელი

## ფინეთი

### ლიგის თასი
### B ჯგუფი. II ტური

**იარო 6:4 კტპ**

**ინტერი 2:0 ჰაკა**

## თურქეთი

### თასის მეოთხედფინალი
### პირველი მატჩები

ოფთა — ქაისერი 0:0; დემირი — გენჩლერი 0:1; რიზე — ბეშიქთაში 1:0; ფენერბაჩე — გალათასარაი 0:0

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XIX ტური

ატრომიტოსი — ქსანთი 2:3; ლევადიაკოსი — ლარისა 0:1; ვერია — ირაკლისი 1:2; კალამარია — ოლიმპიაკოსი 1:0; არისი — ერგოტელისი 2:0; ოფი — პაოკ 2:0; აეკ — პანიონიოსი 2:3; პანათინაიკოსი — ასტერასი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 19 | 13 | 4 | 2 | 28:7 | 43 |
| აეკ | 19 | 14 | 0 | 5 | 41:12 | 42 |
| ოლიმპიაკოსი | 19 | 12 | 5 | 2 | 33:14 | 41 |
| არისი | 19 | 9 | 5 | 5 | 20:11 | 32 |
| ასტერასი | 19 | 8 | 7 | 4 | 17:10 | 31 |
| ქსანთი | 19 | 8 | 4 | 7 | 22:18 | 28 |
| პანიონიოსი | 19 | 8 | 4 | 7 | 24:27 | 28 |
| პაოკ | 19 | 7 | 2 | 10 | 19:21 | 23 |
| ლარისა | 19 | 4 | 10 | 5 | 15:17 | 22 |
| ირაკლისი | 19 | 5 | 7 | 7 | 15:19 | 22 |
| ატრომიტოსი | 19 | 6 | 3 | 10 | 15:22 | 21 |
| ოფი | 19 | 5 | 4 | 10 | 23:32 | 19 |
| კალამარია | 19 | 4 | 6 | 9 | 19:33 | 18 |
| ლევადიაკოსი | 19 | 5 | 3 | 11 | 14:33 | 18 |
| ვერია | 19 | 4 | 5 | 10 | 14:26 | 17 |
| ერგოტელისი | 19 | 2 | 7 | 10 | 11:28 | 13 |

## ჩილე

### აპერტურა. II ტური

უნიონ ესპანიოლა — აუდაქს იტალიანო 1:0; ლა სერენა — რეინჯერსი 1:0; ევერტონი — უნივ. კათოლიკა 0:2; კოლო კოლო — მელიპილია 4:3; დეპ. კონსეპსიონი — სან მორნინგი 2:1; ო'ჰიგინსი — პალესტინო 0:2; კობრესალი — კობრელოა 1:0; ანტოფაგასტა — უნივ. კონსეპსიონი 3:3. ატლეტიკო — უნივ. დე ჩილე და უაჩიპატო — ოსორნო წუხელ გვიან დამთავრდა

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XXIII ტური

**ბრედა 1:0 ტვენტე**

1:0 ცვაანცვიიკი (22პ)

**ჰერენვენი 7:0 ვიტესი**

1:0 სულეიმანი (9), 2:0 პრანჯიჩი (14), 3:0 ბრედლი (50), 4:0 ზუივერლოონი (57), 5:0, 6:0 ბეერენსი (66, 79), 7:0 პრაგერი (82)

**ალკმაარი 0:2 პსვ**

0:1 ლაზოვიჩი (12), 0:2 აფელაი (25)

**ექსელსიორი 1:1 გრააფსხაპი**

0:1 ტარვაერვი (22), 1:1 ლუიქსი (83)

**ჰერაკლესი 0:2 ნაიმეგენი**

0:1, 0:2 ლენსი (25, 68)

**აიაქსი 3:0 ფეიენოორდი**

1:0 ჰეიტინგა (8), 2:0, 3:0 ჰუნტელაარი (45, 90)

**გრონინგენი 1:1 როდა**

1:0 პაუელი (14), 1:1 ოპერი (80)

**უტრეხტი 2:0 ტილბურგი**

1:0 ვან დერ გუნი (4), 2:0 ნელისე (55)

**სპარტა 2:0 ვენლო**

1:0 პრომესი (45), 2:0 როსე (49)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 23 | 16 | 4 | 3 | 50:17 | 52 |
| აიაქსი | 23 | 12 | 8 | 3 | 60:31 | 44 |
| ჰერენვენი | 23 | 13 | 4 | 6 | 63:28 | 43 |
| ფეიენოორდი | 23 | 12 | 5 | 6 | 41:23 | 41 |
| გრონინგენი | 23 | 12 | 5 | 6 | 39:36 | 41 |
| ბრედა | 22 | 11 | 5 | 6 | 28:26 | 38 |
| ტვენტე | 23 | 9 | 9 | 5 | 35:23 | 36 |
| უტრეხტი | 23 | 10 | 5 | 8 | 46:38 | 35 |
| როდა | 23 | 9 | 7 | 7 | 39:36 | 34 |
| ვიტესი | 23 | 9 | 5 | 9 | 30:37 | 32 |
| ალკმაარი | 23 | 8 | 5 | 10 | 35:38 | 29 |
| გრააფსხაპი | 23 | 7 | 5 | 11 | 26:42 | 26 |
| ჰერაკლესი | 23 | 6 | 4 | 13 | 22:45 | 22 |
| სპარტა | 22 | 5 | 6 | 11 | 33:49 | 21 |
| ნაიმეგენი | 23 | 5 | 6 | 12 | 23:39 | 21 |
| ტილბურგი | 23 | 5 | 4 | 14 | 26:31 | 19 |
| ვენლო | 23 | 4 | 7 | 12 | 25:51 | 19 |
| ექსელსიორი | 23 | 4 | 4 | 15 | 26:57 | 16 |

### II დივიზიონი. XXVI ტური

კამბური — ზვოლე 1:1; ემენი — ვოლენდამი 2:2; დორდრეხტი — სიტარდი 1:0; ეინდჰოვენი — როზენდალი 1:2; ალმერე — ჰელმონდი 3:1; იგლსი — მაასტრიხტი 2:1; ვალვაიკი — ჰაარლემი 2:0; ტელსტარი — ვეენდამი 2:1; ოსი — აპელდორნი 2:0; დენ ჰააგი — დენ ბოსხი 0:1

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XIX ტური

სიონი — გრასჰოპერი 0:2; ციურიხი — თუნი 1:0; აარაუ — სენტ გალენი 3:1; ქსამაქსი — ლუცერნი 0:1; იანგ ბოისი — ბაზელი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 19 | 12 | 3 | 4 | 38:21 | 39 |
| ციურიხი | 19 | 10 | 6 | 3 | 42:19 | 36 |
| იანგ ბოისი | 19 | 10 | 6 | 3 | 45:30 | 36 |
| აარაუ | 19 | 6 | 9 | 4 | 30:26 | 27 |
| გრასჰოპერი | 19 | 6 | 5 | 8 | 28:34 | 23 |
| ქსამაქსი | 19 | 5 | 7 | 7 | 27:29 | 22 |
| სიონი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:27 | 22 |
| ლუცერნი | 19 | 3 | 11 | 5 | 25:34 | 20 |
| თუნი | 19 | 4 | 5 | 10 | 17:28 | 17 |
| სენტ გალენი | 19 | 3 | 4 | 12 | 22:48 | 13 |

## მექსიკა

### კლაუსურა. III ტური

ვერაკრუსი — სანტოსი 1:1; კრუზ ასული — სან ლუისი 4:0; მონტერეი — ხაგუარესი 0:0; პაჩუკა — ატლასი 1:0; ატლანტე — ტეკოსი 1:2; გვადალახარა — მორელია 6:0; პუებლა — ნეკაქსა 1:1; ტოლუკა — ტიგრესი 2:0. ამერიკა — უნამი წუხელ გვიან დამთავრდა

## ბელგია

### იუპილერლიგა. XX ტური

**გენტი 1:0 მოლენბეკი**

1:0 ბ. გონსალესი (32)

**ანდერლეხტი 1:0 დენდერი**

1:0 შატელე (23პ)

**მეხელენი 1:0 შარლერუა**

1:0 იმშო (89)

**მონსი 2:0 მუსკრონი**

1:0 სტოლიცა (69), 2:0 დალმა (75)

**რუზელარე 0:0 გენკი**

**ვესტერლო 1:1 ზულტე-ვარეგემი**

1:0 მენესი (24), 1:1 როელანდტსი (81)

**სენტ ტრუიდენი 1:1 ბრიუგე**

0:1 ბლონდელი (67), 1:1 კანტალუპი (79)

**ბეერსხოტი 1:1 ლოკერენი**

0:1 გოლანი (34), 1:1 დეედენი (51პ)

**სერკლი 0:0 სტანდარდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 20 | 13 | 6 | 1 | 29:13 | 45 |
| სტანდარდი | 20 | 12 | 8 | 0 | 40:13 | 44 |
| სერკლი | 20 | 12 | 5 | 3 | 46:17 | 41 |
| ბეერსხოტი | 20 | 11 | 4 | 5 | 30:18 | 37 |
| გენტი | 20 | 9 | 7 | 4 | 40:26 | 34 |
| ანდერლეხტი | 20 | 9 | 7 | 4 | 27:20 | 34 |
| გენკი | 20 | 8 | 7 | 5 | 31:30 | 31 |
| ვესტერლო | 20 | 6 | 8 | 6 | 29:20 | 26 |
| ლოკერენი | 20 | 5 | 10 | 5 | 18:19 | 25 |
| ზულტე-ვარეგემი | 20 | 7 | 4 | 9 | 26:35 | 25 |
| შარლერუა | 20 | 7 | 3 | 10 | 22:28 | 24 |
| მუსკრონი | 20 | 6 | 5 | 9 | 23:28 | 23 |
| რუზელარე | 20 | 5 | 7 | 8 | 26:36 | 22 |
| მეხელენი | 20 | 5 | 6 | 9 | 25:32 | 21 |
| დენდერი | 20 | 5 | 4 | 11 | 18:32 | 19 |
| სენტ ტრუიდენი | 20 | 3 | 5 | 12 | 16:35 | 14 |
| მონსი | 20 | 3 | 4 | 13 | 20:34 | 13 |
| მოლენბეკი | 20 | 3 | 2 | 15 | 15:45 | 11 |

### II კლასი. XXIII ტური

ლიერსი — ვაასლანდი 4:2; ტურნუა — ვირტონი 2:0; ოსტენდე — ოუდ ჰევერლე 2:1; ბევერენი — ნამური 2:1; ოლიმპიკი — ეეელი 3:1; ტუბეკე — ეუპენი 0:0; ტინენი — ანტვერპენი 0:1

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**ლე ავრი 1:0 კლერმონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე ავრი | 22 | 13 | 7 | 2 | 38:18 | 46 |
| ნანტი | 22 | 12 | 6 | 4 | 33:18 | 42 |
| ტრუა | 22 | 11 | 8 | 3 | 30:19 | 41 |
| ბასტია | 21 | 10 | 6 | 5 | 31:19 | 36 |
| კლერმონი | 22 | 8 | 11 | 3 | 32:22 | 35 |
| გრენობლი | 22 | 9 | 7 | 6 | 29:23 | 34 |
| მონპელიე | 22 | 8 | 8 | 6 | 25:18 | 32 |
| ანჟერი | 22 | 8 | 8 | 6 | 21:19 | 32 |
| აიაჩო | 22 | 8 | 8 | 6 | 24:23 | 32 |
| სედანი | 22 | 7 | 9 | 6 | 26:25 | 30 |
| ბულონი | 22 | 7 | 6 | 9 | 25:31 | 27 |
| ბრესტი | 22 | 7 | 6 | 9 | 19:28 | 27 |
| გენგამი | 22 | 6 | 8 | 8 | 21:21 | 26 |
| რეიმსი | 21 | 7 | 4 | 10 | 24:34 | 25 |
| შატორუ | 22 | 5 | 8 | 9 | 21:26 | 23 |
| ნიორი | 22 | 6 | 4 | 12 | 20:26 | 22 |
| დიჟონი | 22 | 4 | 10 | 8 | 16:30 | 22 |
| ამიენი | 22 | 4 | 8 | 10 | 21:31 | 20 |
| ლიბურნი | 22 | 4 | 6 | 12 | 25:38 | 18 |
| გენიონი | 22 | 2 | 8 | 12 | 21:33 | 14 |

### თასის 1/16 ფინალი

ბულონი — ტუარი 1:2დ.დ.(1:1); სტრასბური — მეცი 0:3; არლე — ნიორი 0:0(პენ.9:8); ლიონ დუშერი — ლილი 0:1; სედანი — ნანტი 0:0(პენ.4:2); სოშო — მონპელიე 1:1(პენ.4:3); პუარი — პსჟ 1:3; ფკ პარიზი — დიჟონი 0:0(პენ.5:6); ამიენი — აიაჩო 1:0; ანჟერი — ნიცა 3:1; ბასტია — ოსერი 3:0; ლორიანი — რენი 0:0(პენ.3:1); ბორდო — ლე მანი 1:0; კარკეფუ — ნანსი 2:1დ.დ.(0:0); კრუა სავო — ლიონი 0:1; მარსელი — მონაკო 3:1

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XVIII ტური

**ამადორა 1:1 ბრაგა**

0:1 ჟორჟინიო (82), 1:1 რეგესი (90პ)

**პორტუ 4:0 ლეირია**

1:0 ბოსინგვა (19), 2:0 ფარიასი (25), 3:0 ლ. ლოპესი (44), 4:0 ფარიასი (63)

**ბენფიკა 0:0 ნასიონალი**

**აკადემიკა 1:0 მარიტიმუ**

1:0 ედგარი (5)

**ბოავიშტა 4:3 ფერეირა**

0:1 რიკარდინიო (8), 1:1, 2:1 ლაიონელი (18, 27), 2:2 ვესლი (37), 3:2 რიბეირუ (44), 3:3 კრიშტიანუ (47), 4:3 ლაიონელი (77)

**გიმარაეში 2:1 ლეიშოეში**

0:1 გონსალვეში (14), 1:1 მარკინიო (80), 2:1 რობერტუ (87)

**ბელენენსეში 1:0 სპორტინგი**

1:0 ზე პედრუ (39)

**სეტუბალი — ნავალი**

დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 18 | 14 | 2 | 2 | 32:7 | 44 |
| ბენფიკა | 18 | 9 | 7 | 2 | 29:10 | 34 |
| გიმარაეში | 18 | 9 | 4 | 5 | 22:22 | 31 |
| სპორტინგი | 18 | 8 | 6 | 4 | 25:16 | 30 |
| მარიტიმუ | 18 | 8 | 2 | 8 | 22:17 | 26 |
| ბელენენსეში | 18 | 6 | 8 | 4 | 17:16 | 26 |
| სეტუბალი | 17 | 5 | 10 | 2 | 22:16 | 25 |
| ბრაგა | 18 | 6 | 7 | 5 | 20:21 | 25 |
| ნასიონალი | 18 | 5 | 7 | 6 | 12:13 | 22 |
| ბოავიშტა | 18 | 5 | 7 | 6 | 21:28 | 22 |
| ლეიშოეში | 18 | 3 | 10 | 5 | 17:20 | 19 |
| აკადემიკა | 18 | 4 | 7 | 7 | 18:27 | 19 |
| ამადორა | 18 | 3 | 9 | 6 | 19:21 | 18 |
| ნავალი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:26 | 16 |
| ფერეირა | 18 | 4 | 3 | 11 | 18:28 | 15 |
| ლეირია | 18 | 1 | 5 | 12 | 13:31 | 8 |

### II დივიზიონი. XVIII ტური

რიუ ავე — ფატიმა 1:0; ვარზიმი — ჟილ ვისენტე 2:1; ბეირა მარი — ფრეამუნდე 1:1; ეშტორილი — ავეში 2:2; ტროფენსე — ვიზელა 0:0; გონდომარი — სანტა კლარა 4:0; ფეირენსე — პორტიმონენსე 0:2; ოლიალენსე — პენაფიელი 3:1

## შოტლანდია

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**კლაიდი 1:3 სტირლინგი**

### II დივიზიონი. XXIV ტური

ერდრი — რეითი 3:0; ქუინზ პარკი — ბრეჩინი 2:3. ბერვიკი — კოუდენბითი, პიტერჰედი — ალოა და როსი — ეარი გადაიდო

### III დივიზიონი. XXIV ტური

დამბარტონი — ელგინი 1:4; ისტ ფაიფი — ისტ სტირლინგი 1:0; მონტროუზი — ალბიონი 2:1; სტენჰაუზმური — არბროთი 0:3; სტრანრარი — ფორფარი 2:1

### ასოციაციის თასი
### მერვედფინალი

კილმარნოკი — სელტიკი 1:5; აბერდინი — ჰამილტონი 1:0; მორტონი — ქუინი 0:2; ლივინგსტონი — პარტიკი 0:0; სენტ მირენი — დანდი იუნ. 0:0; ჰიბერნიანი — რეინჯერსი 0:0. როსი — სენტ ჯონსტონი და მოზერუელი — დანდი გადაიდო

## ამხანაგური მატჩები

### 2 თებერვალი

ბელარუსი — ისლანდია 2:0; პოლონეთი — ფინეთი 1:0; მალტა — სომხეთი 0:1; ქაბიერგი — ფრედერისია 3:1; ოდენსე — ნესტვედი 3:2; ნორდსიელანდი — ლიუნგბიუ 1:2; მიდტიულანდი — უიპეშტი 0:1; ვოლერენგა — მიოლდე 1:3; რუსენბორგი — სტრიომსგოდსეტი 1:0

### 3 თებერვალი

სამხრეთ აფრიკა (U-21) — დანია (U-21) 2:0; აზერბაიჯანი — ყაზახეთი 0:0; გაის — ბრონდბიუ 0:2; ლეგია — კოპენჰაგენი 2:2

## გაკერილით ითამაშებს

**გერმანიის** ნაკრებს ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩში ოლივერ ნოივილი ტრავმის გამო დააკლდება, მიხაელ ბალაკი კი მსუბუქად დაშავებულია, მაგრამ მაინც ითამაშებს. შაბათს, „პორტსმუთთან“ შეხვედრისას, „ჩელსის“ გერმანელი ლეგიონერი მეტოქეს თავით შეეჯახა და გახეთქილ ადგილზე რამდენიმე ნაკერი დაადეს. მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ შემტევი ოლივერ ნოივილი პარასკევს „კაიზერსლაუტერნთან“ მატჩში დაშავდა და იოახიმ ლიოვმა მის შემცვლელს აღარ უხმო, რადგან მარიო გომესი, მიროსლავ კლოზე და კევინ კურანი ჰყავს. გერმანია ავსტრიას ოთხშაბათს ესტუმრება. შეგახსენებთ, რომ ბალაკს ბუნდესნაკრებში 24 მარტის შემდეგ არ უთამაშია.

## ბარძაყის გამო

**„მილანის“** საყრდენი ნახევარმცველი ჯენარო გატუზო „არსენალთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩს გამოტოვებს. ოთხშაბათს „რეჯინასთან“ შეხვედრისას დაშავებული ფეხბურთელი პარასკევს საფუძვლიანად შეამოწმეს და ბარძაყის ტრავმა დაუდგინეს. გატუზოს სავარაუდოდ სამ-ოთხკვირიანი მკურნალობა მოუწევს. „მილანი“ ლონდონში „მეთოფეებს“ 20 თებერვალს ეწვევა, საპასუხო მატჩი კი 4 მარტს გაიმართება. ნახევარმცველი ზეგ იტალიის ნაკრებსაც ვერ დაეხმარება პორტუგალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში. საინტერესოა, რომ გატუზომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ყველა მატჩი შეუცვლელად ითამაშა.

## მანუჩო ათენში გაუშვეს

**„მანჩესტერმა“** ანგოლელი ფორვარდი მანუჩო ათენის „პანათინაიკოსს“ ექვსი თვით ათხოვა. 24 წლის თავდამსხმელი ამჟამად აფრიკის ერთა თასზეა და როგორც კი მისი ნაკრები ტურნირს გამოეთიშება, ბიჭი საბერძნეთში ჩავა. „ვიმედოვნებ, რომ „პანათინაიკოსში“ კარგი თამაშით „მანჩესტერის“ ძირითად შემადგენლობაში გზას გავიკვალავ“ — განაცხადა ფეხბურთელმა. „იქ მას პორტუგალიელი მწვრთნელი დახვდება და ერთმანეთს იოლად გაუგებენ“ — დასძინა ალექს ფერგიუსონმა.

აფრიკის ერთა თასზე მანუჩომ სამი გოლი გაიტანა. ანგოლა დღეს მეოთხედფინალში ეგვიპტეს შეხვდება.

**ვაჟა ხუციშვილი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39-48-29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00